დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 15 - 21 ივლისი

N30 1548

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ტრამპს ამერიკელი ლაზარე გრიგორიადისი კლავდა!!! 3








## საქართველომ ნატომური ბომბი აიცილა!




კოლექტიური დასავლეთისათვის ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურისა და ბაია პატარაიას ფინანსური გაუმჭვირვალობა ბევრად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ყოფილა, ვიდრე ერაყსა და ავღანეთში დაღუპული და დასახიჩრებული ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლე და ჯანმრთელობა! 2

*ლია კრიალაშვილი:*

## ჩემი ძმა უცხოეთის ბაიდენის აგენტებმა მოკლეს! 8




## მოვააშაძევდნენ! 13




## დაცენტრილები 4

ახლადშექმნილი ორივე ოპოზიციური ცენტრი, სინამდვილეში, ერთი ძალაა და ორივეს ერთი კოდური სახელი აქვს — ნაცმოძრაობა! 5

*ოლეგ იაძე:*

## მოუთმენლად ველი ბაიდენის უკანასკნელ ამოხროტინებას!




## ბაიდენმა ზელენსკი გააპუტინა! 15

*თემურ მაისურაძე:*



ახლა დასავლეთს ერთადერთი შანსი რჩება —

**საქართველოში გადატრიალება მოახდინოს!** 17

*ლაზარე ჯორბენაძე:*



**დღევანდელი სასამართლო კლანის ბოსებთან ქრთამი არაერთხელ მაქვს მიტანილი!** 10

*იგორ კვესელავა:*



დროა, გაიხსნას შევარდნაძის არქივი და გასაჯაროვდეს ის დოკუმენტები, რომელიც ხუნტამ საქართველოს დაქცევის კვალდაკვალ შექმნა! 20-21

# საქართველოს ნატომური ბომბი აიცილა!

***2024 წლის 10-11 ივლისს აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში ნატო-ს სამიტი გაიმართა და მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელშიც აღარ წერია, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება.***

ამის გამო პოლიტიკური ვაიუშველებელი ატეხეს **ქართული ოპოზიციის წყალწაღებულმა წარმომადგენლებმა,** რომლებიც კოლექტიური დასავლეთის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებულ ნებისმიერ კრიტიკულ განცხადებასა თუ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებულ ვითომ სადამსჯელო გადაწყვეტილებებს ხავსივით ეჭიდებიან.

ჰოდა, ახლაც მოთქვამენ **კოლექტიური ნაცები — 2008 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ნატო-ს დეკლარაციაში საქართველოს გაწევრიანებაზე არ არის ლაპარაკიო; აი, სადამდე მიიყვანა საქართველო ივანიშვილის ხელისუფლებამო; ეს „ქართული ოცნების" იზოლაციონისტური პოლიტიკის შედეგიაო და სხვა ამისთანები.**

მარტო **კოლექტიური ნაცები** კი არა, **კოლექტიური ნაცების თანამოაზრე ზოგიერთი უცხოელი ექსპერტიც** საქართველოს ხელისუფლებას, კონკრეტულად კი, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გამჭვირვალობის კანონს აბრალებს, რომ ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციაში არ ჩაიწერა უკანასკნელი ორი ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე ყალბი, ფარისევლური და პროვოკაციული გზავნილი — **„საქართველო გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი".**

მაგალითად, ჰადსონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი **ლუკ კოფი** აცხადებს:

> ***„ნატოს დეკლარაციიდან ამოღებული იქნა საქართველოს ნატოს-კენ სწრაფვის ყოველგვარი ხსენება. 2008 წელს ბუქარესტის სამიტის შემდეგ გაწეული მძიმე შრომა „რუსული კანონის" წყალობით წყალში ჩაიყარა. ეს ნათელი, ტრაგიკული და უდავო მტკიცებულებაა, რომ „ქართულმა ოცნებამ" საქართველოს ევროატლანტიკური გზა შეაფერხა".***

გესმით, რას ამბობს **პატივცემული კოფი?** თურმე, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა **„რუსულ კანონს"** მოუკლავს!

ესე იგი, საქართველოს ნატოში გაწევრიანება იმაზე ყოფილა დამოკიდებული, რამდენად უკონტროლო და გაუმჭვირვალე იქნება უცხოური დაფინანსება, რომელსაც საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოელი დონორებისაგან იღებენ!

ესე იგი, საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება, რადგან საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გამჭვირვალობის კანონი **ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურსა და ბაია პატარაიას** უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების დეკლარაციაში ასახვას ავალდებულებს!

ესე იგი, საქართველო ნატოს წევრობის ღირსი აღარ არის, რადგან გამჭვირვალობის კანონი საქართველოს მოსახლეობას საშუალებას აძლევს, მიიღოს ინფორმაცია, რაში დახარჯა ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციამ ამა თუ იმ უცხოური ფონდიდან გადმორიცხული ფული.

**მერე რა, რომ** ბოლო 20 წლის განმავლობაში ნატო-ს თავის არაწევრ ქვეყნებს შორის არ ჰყოლია და არ ჰყავს იმაზე ერთგული, აქტიური და პროდუქტიული მოკავშირე, როგორიც საქართველოა!

**მერე რა, რომ** საქართველომ ნატო-ს ეგიდით სისხლი ღვარა და საკუთარი ჯარისკაცების სიცოცხლე შესწირა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფას!

ეს სულაც არ ყოფილა მთავარი!

მთავარი ყოფილან **ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური და ბაია პატარაია!**

კოლექტიური დასავლეთისათვის **ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურისა და ბაია პატარაიას** ფინანსური გაუმჭვირვალობა ბევრად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ყოფილა, ვიდრე ერაყსა და ავღანეთში დაღუპული და დასახიჩრებული ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლე და ჯანმრთელობა!

კი, სწორედ ამას და სხვას არაფერს ნიშნავს **ჰადსონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარის ლუკ კოფის** განცხადება — **„რუსული კანონის" მიღების ბრალია, რომ ნატო-ს დეკლარაციაში საქართველო ალიანსის პოტენციურ წევრად აღარ მოიხსენიესო!**

სინამდვილეში, **ლუკ კოფიმაც,** ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერებმაც და საქართველოს ჭკუათამყოფელმა მოქალაქეებმაც მშვენივრად უწყიან, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება პოლიტიკური ქიმერაა, რომელიც ვერასოდეს იქცევა რეალობად, რადგან ისეთი აგრესიული მონსტრი, როგორიც საქართველოს მეზობელი რუსეთია, საკუთარ საზღვრებთან არასოდეს დაუშვებს ნატო-ს რაკეტების განთავსებას!

**და თუ რისი გამკეთებელია რუსეთი საკუთარ საზღვრებთან ნატო-ს არმისაშვებად, ეს თვალნათლივ ჩანს უკრაინაში, რომელსაც ორ წელიწადზე მეტია, რუსული სამხედრო მანქანა ჯიჯგნის და აჩანაგებს!**

და თუ რისი გამკეთებელია ნატო რუსეთის სამხედრო აგრესიის შესაჩერებლად, ესეც თვალნათლივ ჩანს უკრაინაში, რომელსაც რუსული სამხედრო მანქანა სწორედ ნატო-სკენ სწრაფვის გამო ჯიჯგნის და აჩანაგებს!

თუმცა, რად გვინდა უკრაინის მაგალითის მოხმობა, **როცა**

## 2008 წლის აგვისტოში საქართველო რუსული სამხედრო აგრესიის მსხვერპლი სწორედ იმიტომ გახდა, რომ იმავე წლის აპრილში, ნატო-ს ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში ჩაწერეს – საქართველო ალიანსის წევრი გახდებაო!

შეიძლება, ასეც ითქვას, რომ ბუქარესტის სამიტის დეკლარაციის ჩანაწერი — **საქართველო ნატო-ს წევრი გახდებაო,** საქართველოს თავზე ჩამოკიდებული **ნატო**მური ბომბი იყო, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სამაჩაბლოში აფეთქდა!

შესაბამისად, სამწუხარო და სავიშვიშო კი არა, პირიქით, სასარგებლო და მისასალმებელია, რომ წლეულს ნატო-ს ვაშინგტონის სამიტზე 16 წლის წინანდელი ბუქარესტის სამიტის ბლეფი აღარ გაიმეორეს და დეკლარაციაში აღარ ჩაწერეს დიდი და პროვოკაციული ტყუილი, თითქოს საქართველო **ნატო**-ს წევრი გახდება!

ეს საქართველოსთვის, როგორც მინიმუმ, 2008 წლის აგვისტოს გამეორების საფრთხეს ამცირებს!

ეს, როგორც მინიმუმ, საქართველოსათვის **ნატო**მური ბომბის აცილებას ნიშნავს!

და თუ საქართველოსათვის **ნატო**მური ბომბის აცილება გამჭვირვალობის კანონის გამოისობით მოხდა, მაშინ ამ კანონს საქართველოსათვის უკვე მოუტანია იმაზე დიდი სიკეთე, ვიდრე მოსალოდნელი იყო!

***ჯაბა ხუბუა***










**კოლექტიური დასავლეთისათვის ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურისა და ბაია პატარაიას ფინანსური გაუმჭვირვალობა ბევრად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ყოფილა, ვიდრე ერაყსა და ავღანეთში დაღუპული და დასახიჩრებული ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლე და ჯანმრთელობა!**

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, პრეზიდენტობის კანდიდატი*



**მხოლოდ ღმერთმა შეუშალა ხელი** იმას, რომ წარმოუდგენელი რამ მომდარიყო. **ჩვენ არ შევშინდებით, არამედ მტკიცენი დავრჩებით რწმენაში და ქედმოუდრეკელნი უკეთურების წინაშე.** რაც მთავარია, მინდა, მივუსამძიმრო მოკლულის ოჯახს და ასევე მძიმედ დაშავებულის ოჯახს. წარმოუდგენელია, რომ ასეთი ქმედება შეიძლება ჩვენს ქვეყანაში მოხდეს. **მე მესროლეს ტყვია, რომელმაც მარჯვენა ყურის ზედა ნაწილი გამიხვრიტა.** როცა ზუზუნის და სროლის ხმა გავიგონე, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო და **მაშინვე ვიგრძენი ტყვია კანში.** დიდი სისხლდენა იყო, ამიტომ მივხვდი, რა ხდებოდა. **ღმერთმა დალოცოს ამერიკა!**

„ჯორჯიან თაიმსი"

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ღრმად შოკირებული ვარ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის **დონალდ ტრამპის** წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმით. **ძალადობას პოლიტიკაში ადგილი არა აქვს და ჩვენ მის ყველანაირ ფორმას ვგმობთ. პრეზიდენტ ტრამპს** ვუსურვებ სწრაფ და სრულ გამოჯანმრთელებას. ჩემი ფიქრები ახლა მისი და მისი ოჯახის გვერდითაა. **ჩვენ ვდგავართ ამერიკელ ხალხთან ერთად.**

„იმედინიუსი"

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



**ღრმად შეშფოთებული ვარ** ამერიკის 45-ე პრეზიდენტზე, პრეზიდენტობის კანდიდატ **დონალდ ტრამპზე** თავდასხმით. **მადლობა ღმერთს, ის სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და ჯანმრთელადაა.** მშვიდობას ვუსურვებ ამერიკას და ამერიკელ ხალხს, მთელ მსოფლიოს!

„ინტერპრესნიუსი"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობამ** და მასზე ჩვენი ოპოზიციის და მათი ენჯეოების რეაქციამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ **26 ოქტომბრის არჩევნები იქნება წყალგამყოფი ომსა და მშვიდობას შორის.**

„ინტერპრესნიუსი"

# ტრამპი, როგორც ცოცხალი კენედი

# გასროლა პენსილვანიაში





***თუ არ მოკლეს... თუ არ მოიშორეს... კენედის ბედი თუ არ გაიზიარა... ეს შიში, შფოთვა და ეჭვი ლაიტმოტივად გასდევს დონალდ ტრამპის მთელ საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიას.***

**თუ არ მოკლეს... თუ არ მოიშორეს... კენედის ბედი თუ არ გაიზიარა...** ეს არამხოლოდ ათეულობით მილიონი ამერიკელის, არამედ ყველა იმ ადამიანის შფოთვა, შიში და ეჭვია, ვისაც დიდი ხანია, ყელში ამოვიდა **ფაშიზმში გადაზრდილი უღმერთო ნეოლიბერალიზმის ბოგინი მთელ მსოფლიოში.**

**თუ არ მოკლეს... თუ არ მოიშორეს... კენედის ბედი თუ არ გაიზიარა...** შიშობს, ეჭვობს და შფოთავს ყველა, ვისთვისაც აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში **დონალდ ტრამპის** გამარჯვება მთელ მსოფლიოში ნეოლიბერალური ფაშიზმის დამარცხებას ნიშნავს.

**დონალდ ტრამპი** კი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას სულ უფრო უახლოვდება, რა თქმა უნდა, **თუ არ მოკლეს... თუ არ მოიშორეს... კენედის ბედი თუ არ გაიზიარა...**

არადა, **კინაღამ მოკლეს!**

**კინაღამ მოიშორეს!**

**კინაღამ კენედის ბედი გაიზიარა!**

ეს მოხდა 2024 წლის 13 ივლისს, როცა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი და პრეზიდენტობის მოქმედი კანდიდატი **დონალდ ტრამპი** პენსილვანიაში ამომრჩეველს ხვდებოდა. იგი ტრიბუნასთან იდგა და შეკრებილ ხალხს მიმართავდა, როცა სროლა ატყდა. როგორც უსაფრთხოების ნორმები ითვალისწინებს, ტრამპი უმალ ჩაიკუზა და ტრიბუნას ამოეფარა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ტყვია მაინც მისწვდა და მარჯვენა ყურის ზედა ნაწილი გაუხვრიტა.

და მერე მთელმა მსოფლიომ იხილა საუკუნის კადრი: **ტყვიით დაჭრილი, მარჯვენა ლოყაზე სისხლჩამომდინარი დონალდ ტრამპი უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს ტრიბუნიდან ჩაჰყავთ, მას კი პანიკაში ჩაცვენილი ხალხის დასანახად მარჯვენა მუშტი ზეაღუმართავს და ომახიანად გაჰყვირის** — „Fight! Fight! Fight!“ — „ბრძოლა! ბრძოლა! ბრძოლა!“

**ვერ მოკლეს!**

**ვერ მოიშორეს!**

**კენედის ბედი ვერ გააზიარებინეს!**

თუმცა, ტრაგედია მაინც დატრიალდა — სროლის შედეგად დაიღუპა ტრამპის წინასაარჩევნო შეხვედრის მონაწილე ერთი ადამიანი, ორი კი მძიმედ დაშავდა!

სპეცსამსახურის წარმომადგენლების მიერ ლიკვიდირებული იქნა ტერორისტიც, რომელმაც ღია ცის ქვეშ ამომრჩეველთა წინაშე სიტყვით წარმდგარ **დონალდ ტრამპს** ახლომდებარე შენობის სახურავიდან ესროლა.

ეს აღმოჩნდა ვინმე **მეთიუ თომას კრუქსი** — 20 წლის ახალგაზრდა, ანუ დღეს გავრცელებული და გაპოპულარულებული ტერმინით რომ ვთქვათ, **ე.წ. ჯენზი თაობის წარმომადგენელი,** რომელიც, როგორც ირკვევა, რადიკალი ნეოლიბერალი იყო და სოციალურ ქსელებში აქტიურად აფრქვევდა სიძულვილს დონალდ ტრამპის მიმართ.

სხვანაირად რომ ვთქვათ, 20 წლის **ე.წ. ჯენზიმ თომას მეთიუ კრუქსმა დონალდ ტრამპის** სახით ტყვია ესროლა მის მთავარ ლოზუნგს — **„ღმერთი, ოჯახი, სამშობლო“,** რათა ტრამპის მოკვლით გადაერჩინა ნეოლიბერალური ფაშიზმი, ანუ ლგბტ იდეოლოგია, რომელიც უღმერთობას, უოჯახობასა და უსამშობლობას გულისხმობს!

მოკლედ და კონკრეტულად, **თომას მეთიუ კრუქსი,** რომელიც დონალდ ტრამპის მოკვლას ცდილობდა, **ამერიკელი ლაზარე გრიგორიადისი** გახლდათ, მაგრამ, საბედნიეროდ, **ამერიკელი ლაზარე გრიგორიადისის** ნასროლმა ტყვიამ დონალდ ტრამპი ვერ მოკლა ისევე, როგორც **თბილისელი ლაზარე გრიგორიადისის** ნასროლმა „მოლოტოვის კოქტეილმა“ ვერ დაწვა ცოცხლად ქართველი პოლიციელები!

2024 წლის 13 ივლისს პენსილვანიაში ტრამპის ლიკვიდაციის მიზნით მომხდარი ტერორისტული აქტი არამხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ნეოლიბერალიზმი ტერორისტულ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა, არამედ მკაფიოდ მეტყველებს იმაზეც, თუ როგორი პოლარიზებული, სიძულვილით გაჟღენთილი, ფეთქებადსაშიში და სამოქალაქო ომის ზღვარზე მისული ვითარებაა ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხიოდე თვით ადრე.

ყოველივე ამის ფონზე, სასაცილო და სამარცხვინოა ამერიკელი პოლიტიკოსების — კონგრესმენებისა და სახდეპის მაღალჩინოსნების გაუთავებელი ნოტაციები საქართველოში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის, არაჯანსაღი საარჩევნო გარემოსა და თავისუფალი, დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნების აუცილებლობის შესახებ. არადა, სწორედ ამგვარ მოწოდებებსა თუ დირექტივებს ისროდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე **ეზრა ზეიაც,** რომელმაც თბილისში ორდღიანი ვიზიტი სწორედ იმ დღეს დაასრულა, როცა მის სამშობლოში პრეზიდენტობის კანდიდატ **დონალდ ტრამპს** ამომრჩეველთან შეხვედრაზე ტყვია ესროლეს!

**ესროლეს, მაგრამ ვერ მოკლეს!**

**ვერ მოიშორეს!**

**კენედის ბედს ვერ აზიარეს!**

დღეს უკვე შეიძლება, თამამად ითქვას, რომ **დონალდ ტრამპი — ეს არის ცოცხალი ჯონ კენედი!**

**100 წლის წინათ, 1914 წლის 28 ივნისს, სარაევოში მომხდარმა გასროლამ, როცა 19 წლის გავრილო პრინციპმა ავსტრო-უნგრეთის ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოკლა, კაცობრიობას პირველი მსოფლიო ომი დაატეხა,** ხოლო 100 წლის შემდეგ, 2014 წლის 13 ივლისს, პენსილვანიაში მომხდარი გასროლა, როცა 20 წლის მეთიუ თომას კრუქსმა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი ვერ მოკლა, კაცობრიობას, **დიდი ალბათობით, მესამე მსოფლიო ომს აცილებს!**

კი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად სწორედ **დონალდ ტრამპის** მოსვლა იქნება იმის გარანტია, რომ კაცობრიობა გადაურჩება მესამე მსოფლიო ომს, რომლის კონტურებიც სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება!

**დონალდ ტრამპი კი, ფაქტობრივად, უკვე გამარჯვებულია და მის გაპრეზიდენტებას წინ ვერაფერი დაუდგება, რა თქმა უნდა, თუ არ მოკლეს... თუ არ მოიშორეს... კენედის ბედი თუ არ გაიზიარა...**

**ღმერთმა დაიფაროს** დონალდ ტრამპი!

**ღმერთმა დალოცოს** ამერიკა!

**ღმერთმა დალოცოს** საქართველო!

**ჯაბა ხუბუა**

## ტრამპს ამერიკელი ლაზარე გრიგორიადისი კლავდა!





## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



გამაოგნებელია ის ფაქტი, რაც მსოფლიომ ახლახან იხილა — **საპრეზიდენტო კანდიდატ დონალდ ტრამპზე** თავდასხმა, რამაც შოკში ჩააგდო ცივილიზებული საზოგადოება. თავდასხმას შეეწირა უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, დაშავდნენ რიგითი მოქალაქეები.

**სასტიკად ვგმობთ დონალდ ტრამპზე თავდასხმას, სოლიდარობას ვუცხადებთ მას, ვუსურვებთ მალე გამოჯანმრთელებას და მთელი შემართებით საარჩევნო კამპანიაში ჩართვას!**

„ფეისბუქი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**გამაოგნებელი, აღმაშფოთებელი და საგანგაშო** — დემოკრატიის ფლაგმან სახელმწიფოში **პრეზიდენტობის კანდიდატზე თავდასხმა მისი ლიკვიდაციის მიზნით!** პოლიტიკური ძალადობა და მკვლელობის მცდელობა, ძირგამომთხრელი ქმედებები და სიცრუის პროპაგანდა, ომი და განადგურება **გლობალური ომის პარტიის და ლიბერალური ფაშიზმის ხელწერაა.**

**პრეზიდენტ ტრამპს** გამოჯანმრთელებას და საარჩევნო ბრძოლაში **სწრაფად დაბრუნებას** ვუსურვებთ, ამერიკელ ხალხს და მსოფლიოს კი — **მშვიდობას, დემოკრატიის და სამართლიანობის გამარჯვებას!**

„ინტერპრესნიუსი“

**რობერტ ფიცო**
*სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი*



**ტრამპის** პოლიტიკური ოპონენტები ცდილობენ მის შეჩერებას და როცა ვერ ახერხებენ, **ისე აღიზიანებენ საზოგადოებას, რომ ვიღაც ღარიბი ბიჭი იარაღს იღებს.** ახლა კი დავინახავთ საუბრებს შერიგების აუცილებლობაზე, დამშვიდებასა და პატიებაზე.

„ინტერპრესნიუსი“

# დაცენტრილები

***რაკი ზაფხულია და ზღვის სეზონიც დადგა, ქართული ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი ერთბაშად დაემსგავსა პლაჟზე მოთამაშე ბავშვებს, რომლებიც სილისაგან სახლებსა თუ კოშკებს აშენებენ, მაგრამ საკმარისია, ნიავმა წამოუბეროს ან ტალღის კუდი მისწვდეს და ბავშვების ნაწვალები უმალ მიწის პირთან მოსწორდება.***



**აფერუმ ნააღორძინებალი, ნამოქკავშირალი, ნაოცნებარი, ნალელოარი და აწ უკვე ნაცში თავშეყოფილი არმაზ ახვლედიანის პრინციპულობას!**

სწორედ ასე, ე.წ. ოპოზიციური ცენტრებიც, რომლებიც ახლა ერთმანეთის მიყოლებით იქმნება, ბავშვების მიერ პლაჟზე აგებულ ქვიშის სახლებს ჰგავს, ხოლო თავად იმ პოლიტიკანებს, რომლებიც ე.წ. ოპოზიციურ ცენტრებს ქმნიან, თამამად შეგვიძლია, **დაცენტრილები** ვუწოდოთ.

მოგეხსენებათ, **„დაცენტრილი“** საკმაოდ პოპულარული ქართული ჟარგონია, რომელსაც მრავალი სინონიმი მოეძებნება — დამთხვეული, შერყეული, დარტყმული, დარეტიანებული, ჭკუიდან გადასული, კრამიტდაცურებული და ა.შ. ყველა ეს ეპითეტი, ერთად და ცალ-ცალკე, სრულიად ზედგამოჭრილია კოლექტიური ნაცმოძრაობის თითოეული წარმომადგენლისათვის, რომელიც ახლა **ოპოზიციური ცენტრების** შექმნით არის დაკავებული, მაგრამ უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ მათ კრებსითი ტერმინის — **დაცენტრილების** ქვეშ გავაერთიანებთ.

ჰოდა, **დაცენტრილების ერთმა ჯგუფმა,** რომელიც ნაციონალური მოძრაობისა და მისი გამონაყოფის — **„სტრატეგია აღმაშენებლისაგან“** შედგება, 2024 წლის 8 ივლისს ვითომ ახალი ოპოზიციური ცენტრი ჩამოაყალიბა.

ვითომ ახალ ოპოზიციურ ცენტრს სახელად დაარქვეს **„ერთიანობა საქართველოს გადარჩენისათვის“,** საარჩევნო ნომრად კი ისევ ძველი **5-იანი** დაიტოვეს.

მართალია, ესენი **დაცენტრილები** არიან, მაგრამ იმდენი კი ესმით, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ნაციონალური მოძრაობის გაგონებაზე ერთიანად ეძალება ზიზღის, შიშისა და პროტესტის გრძნობა, რის გამოც გადაწყვიტეს, 26 ოქტომბერს საარჩევნო ბიულეტენში **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** მაგივრად **„ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის“** ჩაწერონ. ვინ იცის, ზოგიერთი ამომრჩეველი იქნებ მოტყუვდეს, გაბრიყვდეს ან დაიბნეს და ეგონოს, რომ ნაცებს კი არა, „საქართველოს გადამრჩენლებს“ აძლევს ხმას.

მაშ, ძველი საარჩევნო ნომერი რატომღა დაიტოვეს?

**დაცენტრილებმა** იციან, რომ საარჩევნო ბიულეტენიდან **ნაციონალური მოძრაობის** სახელთან ერთად 5-იანსაც თუ გააქრობენ, შეიძლება, ამომრჩევლის ის კატეგორია დაკარგონ, რომელიც ნაცებს მხოლოდ ბელადის — მიხეილ სააკაშვილის გამო აძლევს ხმას, ნომერი 5 კი სწორედ სააკაშვილთან ასოცირდება და მიშმადიდებელი სექტანტებისათვის საკრალურ მნიშვნელობას ატარებს.

მოკლედ, ასე წვალობენ და ხლაფორთობენ ახალი საარჩევნო სახელისა და ძველი საარჩევნო ნომრის მქონე **დაცენტრილები,** რომლებმაც პოლიტიკური ქვიშისაგან შეკოწიწებულ ვითომ ახალ ოპოზიციურ ცენტრში ვითომ ახალი სახეებიც შეიყვანეს.

და არ იკითხავთ, ვინ არიან ახალი სახეები ნაციონალური მოძრაობისა და **„სტრატეგია აღმაშენებლის“** ოპოზიციურ ცენტრში?

ერთია **თამარ კორძაია,** რომელიც საქართველოს პარლამენტში თავიდან „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ დეპუტატად მოხვდა, მერე „ქართული ოცნებიდან“ რესპუბლიკურ პარტიაში გადაბარგდა, ახლა კი უკვე ნაციონალურ მოძრაობაში ამოყო თავი.

მეორეა **არმაზ ახვლედიანი,** რომელსაც პარტიიდან პარტიაში მოგზაურობის ბევრად დიდი სტაჟი აქვს, ვიდრე თამარ კორძაიას, რადგან **ასლან აბაშიძის** „აღორძინებაშიც“ იყო, **ედუარდ შევარდნაძის** „მოქალაქეთა კავშირშიც“ იყო, **ბიძინა ივანიშვილის** „ქართულ ოცნებაშიც“ იყო, **მამუკა ხაზარაძის** „ლელოშიც“ იყო და ახლა უკვე **სააკაშვილის** ნაციონალურ მოძრაობაში იმყოფება.

**ახალი სახე** თუ გინდა, სწორედ ეს არის!

ვერაფერს იტყვი, აფერუმ და კიდევ ერთხელ აფერუმ ნააღორძინებალი, ნამოქკავშირალი, ნაოცნებარი, ნალელოარი და აწ უკვე ნაცში თავშეყოფილი „ახალი სახის“ — **არმაზ ახვლედიანის** პრინციპულობას!

კიდევ ერთი „ახალი სახე“, რომელიც დაცენტრილებმა დაიმატეს, ქართული ლიბერალური სექტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი **ლაშა ბაქრაძე** გახლავთ, რომელიც აცხადებს — პოლიტიკურ ბრძოლაში იმიტომ ვებმები, რომ საქართველოს პროდასავლური მომავალია გადასარჩენიო!

მართლა **დაცენტრილი** უნდა იყო, რომ შენი ქვეყნის „პროდასავლური მომავლის გადასარჩენად“ ყველაზე ანტიდასავლურ, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ პარტიასთან გაერთიანდე, თუმცა, **ლაშა ბაქრაძისაგან** არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ეს ის **ლაშა ბაქრაძეა,** რომელმაც თავის მიერ შედგენილ და ლიტერატურის მუზეუმის ეგიდით გამოცემულ წიგნში ანა კალანდაძის ლექსები **ელენე ბაქრაძეს, იგივე ელენე დარიანს** მიაწერა, რის გამოც კულტურის სამინისტროს წიგნის მთელი ტირაჟი თავიდან გაუხდა დასაბეჭდი.

შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ

**ლაშა ბაქრაძეს, რომელსაც ანა კალანდაძე და ელენე დარიანი ერთმანეთში აერია, ერთმანეთისაგან ვერც პროდასავლურობა და ნაცობა, პროდასავლელები და სისხლიანი რეჟიმის შემქმნელები გაურჩევია.**

სხვათაშორის, **ლაშა ბაქრაძის მამამ აკაკი ბაქრაძემ,** თავის დროზე, უარი თქვა ზვიად გამსახურდიას შეთავაზებაზე, ყოფილიყო **„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“** საარჩევნო სიის პირველი ნომერი, ხოლო **ლაშა ბაქრაძემ** უარი არ თქვა **ჭიჭე ვაშაძის შეთავაზებაზე,** გაწევრიანებულიყო მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ბლოკში!

კაცმა რომ თქვას, სიმბოლურიც არის: **ლაშა ბაქრაძის მამა აკაკი ბაქრაძე საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლობას არ დათანხმდა, ლაშა ბაქრაძე კი დათანხმდა, გამხდარიყო მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილის თანამებრძოლი!**

მოკლედ, ასეთია ნაცმოძრაობისა და მისი გამონაყოფი **ჭიჭე ვაშაძის** მიერ შექმნილი ოპოზიციური ცენტრი და ასეთი „ახალი სახეები“ ჰყავთ დაცენტრილებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ, თუ საარჩევნო ბიულეტენში სხვა სახელს დაირქმევენ, ამომრჩეველს მათი ნაცობა დაავიწყდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაცენტრილების მიერ ვითომ ახალი ოპოზიციური ცენტრის შექმნისა და მასში ვითომ ახალი სახეების თავმოყრის კვალდაკვალ, ნაციონალური მოძრაობა ძველმა სახეებმა დატოვეს.







**ლაშა ბაქრაძის მამა აკაკი ბაქრაძე საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლობას არ დათანხმდა, ლაშა ბაქრაძე კი დათანხმდა, გამხდარიყო მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილის თანამებრძოლი!**

# ახლადშექმნილი ორივე ოპოზიციური ცენტრი, სინამდვილეში, ერთი ძალაა და ორივეს ერთი კოდური სახელი აქვს – ნაცმოძრაობა!



## ყველა ეს დაცენტრილი თავის დროზე სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ორგანული ნაწილი გახლდათ!

**ჯაფარიძესა** და ჯერჯერობით შარვალჩაუხდელ ძმას — **გია ჯაფარიძეს** „დათა თუთაშხიაობა" და „მუშნი ზარანდიობა" არ მოუწევთ, რადგან ორივე ოპოზიციური ცენტრი, რომელშიც ისინი გაერთიანდნენ, სინამდვილეში, ერთი ძალაა და ორივეს ერთი კოდური სახელი აქვს — ნაციონალური მოძრაობა!

კი, მეორე ოპოზიციური ცენტრიც, რომელიც **ნიკა გვარამიას** „ახალის", **ელენე ხოშტარიას** „დროასა" და **ზურაბ ჯაფარიძის** „გირჩი — მეტი თავისუფლებისაგან" შედგება, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ქვეგანყოფილებაა, რადგან ყველა ეს დაცენტრილი თავის დროზე სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ორგანული ნაწილი გახლდათ.

ამდენად, **მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი ნაციონალური მოძრაობა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ორი ცენტრით იქნება წარმოდგენილი და ისინი ერთმანეთს ნაცური ამომრჩევლის ხმებს შეეცილებიან, რათა „მთავარი ოპოზიციური ძალის" სტატუსი დაისაკუთრონ, თორემ არჩევნებში გამარჯვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის მისხალი შანსიც რომ არა აქვთ, ეს ამ დაცენტრილებმაც მშვენივრად იციან!**

ისე კი, ერთ და მეორე ოპოზიციურ ცენტრში გაერთიანებული **დაცენტრილების** შესახებ ყველაზე კარგი და ლაკონიური კომენტარი თბილისის მერმა **კახა კალაძემ** გააკეთა, კერძოდ, ნაცმოძრაობიდან წავიდა ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების ძარცვაში მხილებული ოლიგარქის **დავით კეზერაშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანი,** რომელიც პარტიის ხაზინადარად ითვლებოდა და ძებნილი სიძის მიერ გადმორიცხულ შავ ფულს აკონტროლებდა. როგორც ჩანს, ნაცმოძრაობის თავმჯდომარის პოსტიდან მისი პირადი მარიონეტის **ლევან ხაბეიშვილის** გაშვებისა და სააკაშვილის პირადი ფავორიტის **თინა ბოკუჩავას** დანიშვნის შემდეგ ძებნილმა ოლიგარქმა პარტიაში ჩრდილოვანი გავლენა დაკარგა და გადაწყვიტა, ნაცები აღარ დააფინანსოს.

**კეზერაშვილის ცოლისძმის** მსგავსად, ნაციონალური მოძრაობა დატოვა **გენერალმა ზაზა გოგავამ,** რომლის შესახებაც „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი **გია ვოლსკი** აცხადებს — **მას ქვეყნის ერთგულ, პატრიოტ კაცად ვიცნობ და რაკი ნაცმოძრაობიდან წავიდა, ესე იგი, შუბლის ძარღვი ბოლომდე არ ჰქონია გაწყვეტილიო!**

თუმცა, **გია ვოლსკის,** რომელიც **ზაზა გოგავას** პატრიოტობაზე ლაპარაკობს, შევახსენებთ, რომ **ეს ის გენერალი გოგავაა, რომელმაც 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის დანაშაულებრივი ბრძანება აღასრულა, საქართველოს კონსტიტუცია ფეხქვეშ გათელა და მშვიდობიანი მომიტინგეების დასარბევად ჯარის ნაწილები გამოიყვანა!**

აქვეა მოსატანი **ძმები ჯაფარიძეების** ამბავიც, რომლებიც **დაცენტრილების** სხვადასხვა ბანაკში, ანუ სხვადასხვა ოპოზიციურ ცენტრში აღმოჩნდნენ. სახელდობრ, ჯერჯერობით **შარვალჩაუხდელი ძმა — გია ჯაფარიძე** ნაცმოძრაობისა და **ჭიჭე ვაშაძის პარტიის** გაერთიანებას შეუერთდა, ხოლო **შარვალჩახდილი ძმა — ზურაბ გირჩი ჯაფარიძე ნიკა მელიასთან, ნიკა გვარამიასთან და ელენე ხოშტარიასთან** გაერთიანდა. თუმცა, შარვალჩახდილ ძმას — **ზურაბ გირჩი** როცა მათ შესაფასებლად ცნობილი ქართული ანდაზა მოიხმო — **მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მათრიეო!**

თუმცა, ეს ერთმანეთს აკიდებული პოლიტიკური მკვდრები ისეთი დაცენტრილები არიან, ერთმანეთს იმ პოლიტიკურ სამარემდეც ვერ მიათრევენ, რომელსაც 2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველი ხალხი გაუთხრის!



**პოლიტიკური კულისებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, სალომე ზურაბიშვილთან შექმნილ ოპოზიციურ ცენტრში მამუკა ხაზარაძე, გიორგი გახარია, ალეკო ელისაშვილი და ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გაერთიანდებიან!**







**გია ვოლსკის, რომელიც ზაზა გოგავას პატრიოტობაზე ლაპარაკობს, შევახსენებთ, რომ ეს ის გენერალი გოგავაა, რომელმაც 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის დანაშაულებრივი ბრძანება აღასრულა და მშვიდობიანი მომიტინგეების დასარბევად ჯარის ნაწილები გამოიყვანა!**

## დაცენტრილებს ჰგონიათ, რომ თუ საარჩევნო ბიულეტენში სხვა სახელს დაირქმევენ, ამომრჩეველს მათი ნაცობა დაავიწყდება!

### ბოლოთქმის მაგიერ

როგორც **გურამ დოჩანაშვილის** ერთი პერსონაჟი იტყოდა, **„დაიარება მოსაზრება",** რომ უახლოეს ხანში კიდევ ერთი ოპოზიციური ცენტრი პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ეგიდით შეიქმნება. კერძოდ, პოლიტიკური კულისებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, სალომე ზურაბიშვილთან შექმნილ ოპოზიციურ ცენტრში **მამუკა ხაზარაძე, გიორგი გახარია, ალეკო ელისაშვილი** და ყოფილი პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** გაერთიანდებიან.

თუ ხსენებული პერსონების რეიტინგებსა და პოლიტიკურ წონას გავითვალისწინებთ, აქაც მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რაც **კახა კალაძემ** უკვე შექმნილ ორ ოპოზიციურ ცენტრზე თქვა — **მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მათრიეო!**

**ჯაბა ხუბუა**

***ახალი ამბავი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია თავს ყოველთვის მეტროპოლიებად მიიჩნევენ, ხოლო სხვა ქვეყნებს, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს პატარა სახელმწიფოებს, ვასალებად და კოლონიებად განიხილავენ. მათი მთელი ისტორია სისხლის მდინარეშია ჩაძირული და არა — დემოკრატიულ ფასეულობებში.***



# არნო ხიდირბეგიშვილი

# „ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეწყვიტოს ლეგენდების მოყოლა „კარგი დასავლეთისა“ და „ცუდი გლობალური ომის პარტიის“ შესახებ და მოიპოვოს რუსეთის მხარდაჭერა!



**განა ვინმეს დაავიწყდა, რომ** არცთუ დიდი ხნის წინათ ამერიკასა და ევროპაში ხალხს თეთრებად და შავებად, არიელებად და ქვეადამიანებად ყოფდნენ?!

**განა ფაქტი არ არის, რომ** კაცობრიობას სწორედ დასავლურმა ცივილიზაციამ მოუვლინა კუ კლუქს კლანი, გილიოტინა, ელექტროსკამი, რასიზმი, ინკვიზიცია და ფაშიზმი?!

დღეს კი აშშ-სა და ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ მათ ერთ-ერთ კოლონიაში — საქართველოში უკონტროლო იყოს **უცხოური გავლენის აგენტთა დაფინანსება,** რათა მათ, პატრონების მითითებისთანავე, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ და დასავლეთისათვის არასასურველი ხელისუფლება დაამხონ!

**საქართველოს ხელისუფლება ამას ძალიან გვიან მიხვდა და უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დასავლეთს მისი განდევნა და რადიკალურ ოპოზიციაში თავშეყრილი ათასი ჯურის ვიგინდარით ჩანაცვლება სურს.**

და მაინც, როდიდან და რატომ გახდა მიუღებელი დასავლეთისათვის საქართველოს ხელისუფლება?

პირდაპირ ვთქვათ — **„ქართული ოცნების“ მთავრობა დასავლეთის თვალში დამხობის კანდიდატად იქცა მაშინვე, როგორც კი უარი თქვა უკრაინის დასახმარებლად მეორე ფრონტის გახსნაზე, ანუ რუსეთთან ომზე!**

„თუ ქართველებს რუსეთთან ომი არ სურთ, მათ ჯარს 30 მილიონი ევრო რაში უნდა მივცეთ?!“ — თქვეს „მშვიდობის ევროპულ ფონდში“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული დაფინანსება დაბლოკეს. ყველა ტრანში, რომელიც ქართულ სახელმწიფოს დასავლეთიდან უნდა მიეღო, ამიერიდან საქართველოში მოქმედი უცხოეთის გავლენის აგენტების ყულაბაში წავა, რათა მათ 2024 წლის ოქტომბრის ბოლოს სახელმწიფო გადატრიალება მოახდინონ.

**პრინციპში, უკვე გაშიფრული და ყველასათვის ცხადია, რა „სიურპრიზს“ გვიმზადებს გლობალური დასავლეთი 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თავისი „მეხუთე კოლონის“ — რადიკალური ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ტელევიზიებისა და იმ ე.წ. სამხედრო ექსპერტების ხელით, რომლებიც დიდი ხანია, ციხეში უნდა ეყარონ, რადგან სააკაშვილის რეჟიმის სამხედრო დამნაშავეები, უცხოეთის სპეცსამსახურების ჯაშუშები და სამშობლოს გამყიდველები არიან.**

შემოდგომაზე დაგეგმილ სახელმწიფო გადატრიალებაში ერთ-ერთი მთავარი როლი ექნება პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს,** რომელიც, უცხოელი პატრონების გეგმით, სათავეში უნდა ჩაუდგეს **„თბილისურ მაიდანს!“**



**შემოდგომაზე დაგეგმილ სახელმწიფო გადატრიალებაში ერთ-ერთი მთავარი როლი ექნება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, რომელიც, უცხოელი პატრონების გეგმით, სათავეში უნდა ჩაუდგეს „თბილისურ მაიდანს!“**

*ემანუელ მაკრონი და სალომე ზურაბიშვილი*

ზურაბიშვილის დასავლური ვოიაჟებიც, რაც საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით განხორციელდა, სწორედ ამ გეგმის ნაწილი გახლდათ — **მადამ სალომემ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ კოალიციის შეკვრაზე იმუშავა და მთავარ იმედს თავის მეგობარზე, საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონზე ამყარებს, თუმცა, მას დღეს სალომეზე უარესად აქვს საქმე და საქართველოსათვის ნამდვილად არ სცხელა!**

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, მან თავისი **„ნაფტალინიანი“ სპიკერები** უნდა გამოცვალოს და არჩევანი გააკეთოს — იქნება დასავლეთის მონა თუ რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის, ირანისა და მსოფლიოს სხვა დიდი ქვეყნების ღირსეული მეგობარი და პარტნიორი?

და კიდევ: **„ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეწყვიტოს ლეგენდების მოყოლა „კარგი დასავლეთისა“ და „ცუდი გლობალური ომის პარტიის“ შესახებ და მოიპოვოს რუსეთის მხარდაჭერა, რისთვისაც აუცილებელია, კრემლის ლიდერებთან დაამყაროს მოქნილი წინასწარი კონტაქტები უმაღლესი დონის არაფორმალური შეხვედრების მოსამზადებლად!**

## კვირგვინოსნები

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



მე დიდი ხანია, ვფიქრობ, რომ **ირაკლი კობახიძეს ბიძინა ივანიშვილმა მიაღებინა ისეთი გადაწყვეტილებები რუსულ კანონთან დაკავშირებით,** რაზედაც შეიძლება, ბევრი სხვა არ დათანხმებულიყო. ახლა, რასაკვირველია, **კობახიძე არის სრულიად უსარგებლო კადრი მისთვის** და ახალ ვერსიასა და კომბინაციაში, რომელიც **ბიძინა ივანიშვილს** სჭირდება, იქ **კობახიძე** აღარ მოიაზრება. ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ **ივანიშვილმა კობახიძე ჩაანაცვლოს.** ალბათ, **ლილუაშვილია საუკეთესო კანდიდატურა.** რეალურად, მისთვისაც და მე არ გამოვრიცხავ, რომ ქვეყნისთვისაც.

„ახალი თაობა“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



ერთი ხელისუფლება დავამთავრე **შევარდნაძის** სახით, **სააკაშვილის** ხელისუფლებაც მე დავანგრიე. როცა **სააკაშვილი და ივანიშვილი** ერთმანეთს აფინანსებდნენ და ერთად იყვნენ, **მე ვებრძოდი მაგათ ქუჩაშიც და საერთაშორისო არენაზეც.**

„ახალი თაობა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ზურაბიშვილი, მარგველაშვილი, ახვლედიანი, კორძაია** და უამრავი სხვა — **არსით მოღალატეები,** რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი პრინციპები, გარდა მონობისა. **დაბადებიდან ლაქიობისთვის არიან შექმნილები.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ზალკალიანი**
*აშშ-ში საქართველოს ელჩი*



ნატოს საიუბილეო სამიტზე **საქართველოს მიწვევა** არის მნიშვნელოვანი გზავნილი!

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ევროკავშირმა ქართულ ჯარს ლომჯარია ამჯობინა!

***იმას, რაც ახლა საქართველოს თავს ხდება, ერთადერთი სახელი ჰქვია: ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ორგანიზებული მცდელობა, უხეშად ჩაერიონ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში და ზეგავლენა მოახდინონ მის შედეგებზე!***

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, **აშშ-ის მიერ საქართველოსთან ერთობლივი სამხედრო წვრთნების გაუქმება და ევროკავშირის წევრი ქვეყნების — გერმანიის, საფრანგეთისა და დანიის მიერ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისათვის ფინანსური ტრანშების შეწყვეტა ორ მთავარ მიზანს ემსახურება:**

**1.** ქართველი ამომრჩევლის თვალში შექმნან მოდელირებული რეალობა, თითქოს არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო კოლექტიური დასავლეთის მხრიდან იზოლაციისათვის არის განწირული!

**2.** საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ არცთუ დიდ დროში როგორმე მიაღწიონ ხელისუფლების შიდა რღვევასა და სახელმწიფო სისტემის ჩამოშლას!

ცხადზე უცხადესია ის უმთავრესი მიზეზიც, რის გამოც კოლექტიურ დასავლეთს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა სურს: **ივანიშვილმა და მისმა გუნდმა უარი თქვეს, საქართველოს შეესრულებინა ვაშინგტონის მიერ მისთვის დაკისრებული ტრადიციული როლი, რაც რუსული დათვის უკანალში ხიჭვის შერჭობასა და წყობილებიდან მის გამოყვანას გულისხმობს, ანუ „ოცნების“ ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა და ხელი არ მოაწერა საქართველოს უკრაინიზაციის სცენარს!**

აქედან გამომდინარე, აშკარაა კოლექტიური დასავლეთის გენერალური მიზანიც: **საქართველოს ხელისუფლებაში მოიყვანოს საკუთარი მარიონეტები, რომლებიც უსიტყვოდ შეასრულებენ ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან წამოსულ ნებისმიერ დირექტივას, ქვეყნის ომში ჩაბმის ჩათვლით!**

უფრო მარტივად რომ ვთქვათ,

**კოლექტიურ დასავლეთს საქართველოს ხელისუფლებაში სჭირდება ახალი სააკაშვილები, რომლებიც ოკეანის გაღმიდან ხელის ერთ აქნევაზე ახალ 2008 წლის აგვისტოებს მოაწყობენ,**



პაველ ჰერჩინსკი

სანაცვლოდ კი მიიღებენ ყველაფრის უფლებას, ქუჩებში უდანაშაულო ახალგაზრდების ხოცვისა და ციხეებში პატიმრების წამება-გაუპატიურების ჩათვლით!

კი, სულ ეს არის მთელი ალია-ბალია, რის გამოც აშშ-იდან და ევროკავშირიდან ღვარცოფივით მოედინება განცხადებები საქართველოს ხელისუფლების მიერ პროდასავლური კურსის შეცვლის შესახებ და თბილისში ერთმანეთის მიყოლებით ჩამოდიან პოლიტიკური რევიზორები ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან!

საქართველოსთან დაკავშირებით კოლექტიური დასავლეთის რეალურ მიზნებსა და გეგმებს ყველაზე კარგად ააშკარავებს ევროკავშირის გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი 30 მილიონი ევროს გაყინვის შესახებ.

**კოლექტიურ დასავლეთს მართლა საქართველოს ინტერესები, საქართველოს უსაფრთხოება და საქართველოს მშვიდობა რომ ადარდებდეს, 30 მილიონ ევროს არ გაუყინავდა იმ ქვეყნის ჯარს, რომლის 20 პროცენტიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და რომლის დედაქალაქიდან 40 კილომეტრში რუსული ჯარი დგას!**

გარდა ამისა, კოლექტიურ დასავლეთს საქართველოსადმი პატივისცემა რომ ჰქონდეს და ქართველ ხალხს აფასებდეს, **30 მილიონი ევროს დაფინანსებას არ შეუჩერებდა ქართულ ჯარს, რომელსაც ნატოს საერთაშორისო მისიებში ბევრი სისხლი აქვს დაღვრილი და დიდი მსხვერპლი აქვს გაღებული!**

თუმცა, ევროკავშირმა სწორედ საქართველოს თავდაცვისათვის გამოყოფილი დაფინანსება გაყინა და ამით პირდაპირ თქვა: **რატომღა უნდა დავეხმაროთ ქართულ ჯარს, თუ მას რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად ვეღარ ვიყენებთ?! რაში გვჭირდება საქართველოს შეიარაღებული ძალები, თუკი საქართველოს ხელისუფლება მეორე ფრონტის გახსნაზე უარს ამბობს და თავის ჯარისკაცებს დასავლეთის ინტერესების სამსხვერპლოზე არ გზავნის?!**

განსაკუთრებით სიმპტომატური კი ის გახლავთ, რომ ქართული ჯარისათვის გაყინული 30 მილიონით ევროკავშირი საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს დააფინანსებს.

ევროკავშირის ელჩმა **პაველ ჰერჩინსკიმ** პირდაპირ განაცხადა:

## დღეს საქართველოში კოლექტიური დასავლეთის მთავარი ჯარისკაცები კოლექტიური ლომჯარიები არიან!

*„ფული, რომლის გადარიცხვასაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ვგეგმავდით და რომელიც 30 მილიონ ევროს შეადგენს, გაყინულია. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, იქნება სხვა ნაბიჯებიც. **ჩვენი პირდაპირი მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მიმართ შეიზღუდება და შევეცდებით, რომ საქართველოს მთავრობის პირდაპირი მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოებისკენ და მედიისკენ მივმართოთ.** ეს გამოცხადდა ლუქსემბურგში საგარეო საქმეთა საბჭოს შემდეგ. ჩვენი პირდაპირი მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მიმართ თანდათან შემცირდება და ფოკუსირებული იქნება სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიაზე“.*

„სამოქალაქო საზოგადოებაში“ ვინც იგულისხმება, ყველასათვის გასაგებია — **კოლექტიური ლომჯარიები და გიგაურები,** რომლებიც უცხოური გავლენის აგენტურას წარმოადგენენ და „მეხუთე კოლონის“ ფუნქციას მეტ-ნაკლები წარმატებით ასრულებენ!

ამიტომაც არის, რომ ევროკავშირმა ქართულ ჯარს **კოლექტიური ლომჯარია** ამჯობინა, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოში კოლექტიური დასავლეთის მთავარი ჯარისკაცები კოლექტიური ლომჯარიები არიან!



ნინო ლომჯარია

**ამდენად, ყველაფერი ხელისგულზე დევს და ქართველი ხალხიც მარტივი არჩევანის წინაშე დგას — 2024 წლის 26 ოქტომბერს საარჩევნო ურნებთან ან მშვიდობასა და სუვერენიტეტს აირჩევს, ან ძალაუფლებას ჩააბარებს კოლექტიურ ლომჯარიას, რომელსაც სულ ცოტა დროღა დასჭირდება იმისათვის, რომ აღასრულოს საქართველოს უკრაინიზაციის გეგმა, რომლის ერთადერთი შედეგი ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურება იქნება!**

ისე კი, ვინ იცის, კოლექტიურ დასავლეთსა და მის ჯარისკაცებს — **კოლექტიურ ლომჯარიებს** იქნებ მადლობაც ეკუთვნით იმისათვის, რომ ქართველი ხალხი ასეთი მარტივი და მკაფიო არჩევანის წინაშე დააყენეს!

## ევროკავშირმა საქართველოს თავდაცვისათვის გამოყოფილი დაფინანსების გაყინვით პირდაპირ თქვა:

## რატომღა უნდა დავეხმაროთ ქართულ ჯარს, თუ მას რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად ვეღარ ვიყენებთ?!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*

ნაციონალებთან ვინც მომიაზრებს, მას პოლიტიკა საერთოდ არ ესმის. **ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლისთვის არ ვარ მე საინტერესო** და არც ჩემი ამომრჩევლისთვის არაა საინტერესო ნაციონალური მოძრაობა.

„ახალი თაობა“



**ნიკა მელია**
*პარტია „ახალის“ თავმჯდომარე*

ჩვენ **არა უბრალოდ ცვლილებისთვის,** არამედ ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ვიბრძოლებთ.

შემოდგომით, **როცა ხმები დაითვლება,** ყველა კარგად ნახავს ჩვენი გაერთიანების რეალურ შედეგს, ჩვენ ძალიან დიდ როლს ვითამაშებთ **ბიძინა ივანიშვილის** დამარცხებაში.

„ინტერპრესნიუსი“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

ამნისტია შეეხება 2024 წლის 1 ივლისამდე ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულებს. **ამნისტია არ შეეხება: მკვლელობისთვის ნასამართლევ პირებს; ნარკორეალიზატორებს; სქესობრივ დანაშაულებს; ყაჩაღობას; ტერორიზმს; კორუფციულ და სამოხელეო დანაშაულებს; ქურდულ სამყაროს; კონვენციურ დანაშაულებს; ტრეფიკინგს** და სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს.

„ახალი თაობა“



**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*

რა უცნაური კაცი ხარ, **მიშა სააკაშვილო!** უამრავი საქმე გაქვს გაკეთებული, ძალიან კარგიც და ძალიან ცუდიც, მაგრამ **წვრილმანი ტყუილებისა და ბაქიბუქის გამო არასერიოზულად გიყურებენ** და ვისაც არ ეზარება, „ქოცები“ და ყოფილი მეგობრებიც, **ყველა გეკაიფება.**

„რეზონანსი“

# ლია კრიალაშვილი: ეგრეთ წოდებულ ოპოზიციაში ჩემი ძმის მკვლელები არიან!



„ჩემი ძმის საქმე ისევ თაროზეა შემოდებული!“

*არჩევნების წინ სააკაშვილის დანაყოფები ახალ-ახალ პოზიციებს იკავებენ და ახალ-ახალ სახელებს ირქმევენ. როგორც თავად ამბობენ, ცოტა დრო რჩებათ გამარჯვებამდე. ნაციონალების ამ მუქარას პასუხობს მუხროვანის ე.წ. ამბოხის დროს მოკლული გია კრიალაშვილის და* ***ლია კრიალაშვილი*** *და „ქართულ ოცნებას“ დანაპირების შესრულებისკენ მოუწოდებს:*

— უპირველეს ყოვლისა, **მადლობა თქვენ, „ასავალ-დასავალის“ მთელ კოლექტივს, ლაშა ნადარეიშვილის თავკაცობით,** რომ კვლავ სიმართლის სადარაჯოზე დგახართ და ერთი წამითაც არ გიღალატიათ, მეტიც, იბრძვით იმ დღისთვის, როდესაც პოლიტიკიდან სამუდამოდ წაშავდებიან ნაციონალები და მათი ახლად გამოჩეკილი პარტიები!

დღეს გამიშვი-დამაკავე რომ აქვთ ატეხილი და საეჭვოდ ერთიანდებიან, ნუთუ მართლა ჰგონიათ, რომ ამ სიჭრელით და გადასკუპება-გადმოსკუპებით ხალხს თვალებს აუხვევენ?! პირდაპირ ვამბობ — **ესენი ყველანი, აქეთაც და იქითაც, ახლებიც და ძველებიც ერთი გველეშაპის სხვადასხვა თავებია, ყველანი გია კრიალაშვილის მკვლელები არიან!**

თუ გონებასუსტი არ ხარ და გიყვარს შენი სამშობლო, როგორ შეიძლება, დაიჯერო გახარიას თვალების პაჭუნის, მითუმეტეს, ამ გამყიდველს სიტყვაზე ენდო?! **კაცმა საჯაროდ ჩამოიხსნა ნიღაბი და საკუთარი ფეხით მივიდა იქ, სადაც რეალურად მისი ადგილია — ნაცების ბუნაგში!** ქალ-კაცა **ელენე ხოშტარია** საღებავებით რომ დარბის წინ და უკან და სხვას ამუნათებს რუსეთუმეობაზე, ვინ არის თავად? ნაციონალების უბეში გამოზრდილი გველის წიწილი, რომლის ოჯახიც დღემდე რუსეთიდან იღებს დახმარებებს! ქათამი გვარამია არ იყო, 2007 წლის 7 ნოემბერს გენერალური პროკურორის მოადგილის რანგში ბრალდებებს რომ უყენებდა ოპონენტებს, ხოლო მოგვიანებით ფიზიკურად საჯაროდ გაუსწორდა ქალბატონს?! ჯერ დედა ამოუტრიალა სალომე ზურაბიშვილს, ახლა, თურმე, კარგი პრეზიდენტია. ვინ უნდა მოხიბლოს მისი ინტელექტუალობით, როცა სააკაშვილის და მის უკან მდგომი ძალების ჩვეულებრივი მონაა!

ღარაფერს ვამბობ „გირჩზე“. მათი რეალური სახეა ის, რაც საოკუპაციო ზოლთან გააკეთეს — შარვალჩახდილი, წაკუზული ყოფნა! **კიდევ კარგი რუსმა სამხედროებმა არ იკადრეს ის, რასაც წაკუზულ ადამიანებს უშვრებიან. იმათ ადგილზე ბევრი სხვანაირად მოიქცეოდა — სამუდამოდ დატოვებდა ჩახდილებს.**

აქეთ — სააკაშვილი და ხოშტერიები, იქით — გახარიები, ჭიჭე ვაშაძეები და ხაზარაძეები! კიდევ ერთხელ ვამბობ, ყველანი სააკაშვილის ხელის თითები, ქვეყნის მტრები და ჩემი ძმის მკვლელები არიან! ზოგმა პირდაპირ გასცა ბრძანება, ზოგმაც ირიბად მოაწერა ხელი უდანაშაულო ადამიანების ჩაცხრილვას!

**— ხაზარაძე გეტყვით, მე რა შუაში ვარო?**

— შუაში კი არა, თავშია! **სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს სწორედ ხაზარაძის დახმარებითართმევდა ქონებებს. მაშინ, როდესაც ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვდა, ხაზარაძე ქონებებს იფორმებდა და მდიდრდებოდა.** ეს უსინდისო და შუბლძარღვგაწყვეტილი რა ნამუსით საუბრობს ხელისუფლებაში მოსვლაზე?! მსგავსი ნაგავი ადამიანი ძნელად თუ მოიძებნება. ვისაც ქვეყნის ბედი აინტერესებს და არა პირადი კეთილდღეობა, როგორ უნდა მისცეს ამ გარეწრებს ხმა?!

კაცის პროვოკაცია **ზურაბ ჭიაბერაშვილი** წერს — 26 ოქტომბერი ერთადერთი მბჟუტავი სინათლეა გრძელი 12-წლიანი გვირაბის ბოლოსო. მინდა, თქვენი გაზეთიდან ვუპასუხო — ზუსტად თქვენთვის დაბნელდება პოლიტიკურად 12-წლიანი ლოდინის შემდეგ და გათენდება ის ნანატრი დღე, როდესაც საბოლოოდ წაეთრევით და წაშავდებით პოლიტიკიდან!

ერთადერთი, რაც დღეს ამის იმედს მაძლევს, არის ის, რომ ხელისუფლება და, შესაბამისად, ქვეყანაც ამერიკული მარწუხებისგან თავისუფლდება.

**— მარწუხებისგან?**

— საქართველო კი არა, ამერიკას მთელი ევროპა თავის კლანჭებში ჰყავს მოქცეული და ბურთივით ათამაშებს. ასე რომ არ იყოს, არ გამოვიდოდნენ ჩვენ წინააღმდეგ და სამარცხვინო განცხადებებს არ გააკეთებდნენ, არ შეიფარებდნენ თავიანთ ქვეყნებში **კეზერაშვილ-ადეიშვილს** და არ დაგვიანონსებდნენ ფერად რევოლუციას.



„ქათამი გვარამია არ იყო, 2007 წლის 7 ნოემბერს გენერალური პროკურორის მოადგილის რანგში ბრალდებებს რომ უყენებდა ოპონენტებს, ხოლო მოგვიანებით ფიზიკურად საჯაროდ გაუსწორდა ქალბატონს?!“



„ქალ-კაცა ელენე ხოშტარია საღებავებით რომ დარბის წინ და უკან და სხვას ამუნათებს რუსეთუმეობაზე, ვინ არის თავად?“



„გამყიდველმა გახარიამ საჯაროდ ჩამოიხსნა ნიღაბი და საკუთარი ფეხით მივიდა იქ, სადაც რეალურად მისი ადგილია — ნაცების ბუნაგში!“

## როგორ შეიძლება ფსიქიკურად განონასწორებულ «მძულს ამერიკა და მისი

### კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



**ნაცებს უნდათ სრული სახელისუფლებო სადავეები ხელში!** გიჟის, მანიაკის სული აქვს ყველას ჩადგმული, **უნდა იყვნენ უმრავლესობაში, უნდა ჰქონდეთ რეპრესიული მანქანა** და ყველაფერი, რაც მათ ავადმყოფურ თავებში მოიხარშება, ის ყველაფერი უნდა მოახვიონ საზოგადოებას.

„TV იმედი“

**მრეტა ნინევა**
*პარლამენტარი*



ისღა დარჩენიათ, ერთმანეთს შეეჯიბროთ, ოქტომბრის არჩევნებში რომელი აიღებთ **„პირველი ოპოზიციონერის“** ადგილს — „ქართული ოცნება“ კი ღირსეულად და შთამბეჭდავი **უმრავლესობით მოიგებს** არჩევნებს!

„აიპრესი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



პოლიტიკურად ჩამონგრეული „სახლის“, **ნაცმოძრაობის მორჩეული „განჯინა“** ვითომ გადაღებეს და ამას **გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძის** ე.წ. პოლიტიკური ალიანსი დაარქვეს.

„იმედინიუსი“

**ზაალ მიქელაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ნაცობა ტეხავს!** ეს ქვეყანა არ ჩაგყვებათ ჭაობში — **ქართველ ხალხს ვერ დაავიწყებთ უახლოეს ისტორიას.**

„აიპრესი“



# «ჩემი ძმა უცხოეთის გავლენის აგენტებმა, ანუ უცხოური ძალების ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოკლეს!»



„კაცის პროვოკაცია ზურაბ ჭიაბერაშვილი წერს — 26 ოქტომბერი ერთადერთი მბჟუტავი სინათლეა გრძელი 12-წლიანი გვირაბის ბოლოსო. მინდა, თქვენი გაზეთიდან ვუპასუხო — ზუსტად თქვენთვის დაბნელდება პოლიტიკურად 12-წლიანი ლოდინის შემდეგ!“

**ადამიანს ბაიდენის ამერიკა მოსწონდეს ან ევროსაბჭოს ზოგიერთი წარმომადგენლის საქციელს დემოკრატიულს უწოდებდეს?**

მძულს ამერიკა და მისი ყალბი დემოკრატია! როცა საქართველოში სისხლიანი კალო ტრიალებდა და იმ სისხლზე ნაციონალები სატანებივით როკავდნენ, ამერიკა და ევროპა დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ სააკაშვილს. დღეს, როდესაც მკვლელი სააკაშვილი „ვივამედში“ კოტრიალობს, თურმე, ეს ხელისუფლება არის მონსტრი და დესპოტი. **რომ არა ამერიკა-ევროპის მიერ ანთებული მწვანე შუქი, იქიდან წამოსული ფულები და სააკაშვილის შავი საქმეების გათეთრება, დღეს ჩემი ძმა გია ქრიალაშვილი ცოცხალი იქნებოდა!** დიახ, ჩემი ძმა უცხოეთის გავლენის აგენტებმა, ანუ უცხოური ძალების ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოკლეს! მათი დანაშაულებრივი წილი დევს **ზურამ შარაძის** მკვლელობაშიც და იმ ახალგაზრდა ბიჭების სიკვდილში, ქუჩაში უმოწყალოდ რომ ჩაცხრილეს! **დასავლეთის ე.წ. დემოკრატიის დამსახურებაა, რომ დამნაშავეები დღესაც ჭილყვავებივით დაძრწიან და გაიძახიან, 26 ოქტომბერს ხელისუფლებაში მოვდივართო!**

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამჯერად იმედი მაქვს, პარლამენტში მათი ნიშანწყალი აღარ იქნება. რახან ხელისუფლებამ გაბედა და წინააღმდეგობა გაუწია მონსტრს, დიდი ალბათობით, უკან აღარ დაიხევს და გვირაბის ბოლოს ის სინათლეც გამოჩნდება, რასაც სამართალი ჰქვია! **„ქართული ოცნების“ არჩეული ეს გზა პირდაპირ კავშირშია სამართლიანობის აღდგენასთან. ამჯერად არავისთან აღარ მოუწევთ შეთანხმება, დასაჯონ თუ არა გია ქრიალაშვილისა და ზურამ შარაძის მკვლელები!**

**— ანუ ეთანხმებით „ოცნების“ მიერ ბოლო დროს გადადგმულ ნაბიჯებს?**

— დიახ, მადლობელი ვარ, რომ ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნეს და მორჩილად აღარ უქნევენ თავს ამერიკა-ევროპის ნებისმიერ ბრძანებას, მაგრამ ნუ ჰგონიათ, რომ ასე ადვილად მოიგებენ არჩევნებს. ჯერ მთავარ კითხვაზე აქვთ პასუხი გასაცემი — **რატომ არ არიან დასჯილი გია ქრიალაშვილის, ზურამ შარაძის, იური ვაზაგაშვილის და ბევრი უდანაშაულოდ მოკლული ადამიანის მკვლელები?!** ხარაზიშვილი, რომელიც გიას მკვლელობის დროს ჩვეულებრივი სპეცრაზმელი იყო და სააკაშვილის ბრძანება შეასრულა, არ შეიძლება მოწმის სახით მაინც დაიკითხოს? ამ ხელისუფლების სასარგებლოდ რომ ვამბობ რამეს, მომიტრიალდებიან და მეუბნებიან — რა გაგიკეთესო? ხმას ვერ ვიღებ. რა ვთქვა, ჩემი ძმის საქმე ისევ თაროზეა შემოდებული-მეთქი?! არაერთხელ მითქვამს, როგორ თაღლითურად წამართვეს ბინა. სამწუხაროდ, არც ეს საქმეა გამოძიებული. ერთი თვეა, ველოდები ზარს რაიონის პროკურატურიდან, მაგრამ ამაოდ. ყველგან ნაცებია, „ოცნების“ მხარდამჭერები კი, რომელთა მხრებზეც მოვიდა ეს ხელისუფლება, უმუშევრები სხედან.

**ბატონო ბიძინა,** ვინ იცის, **სააკაშვილ-მერაბიშვილი** როგორ ქირქილებს გულის სიღრმეში — **გია ქრიალაშვილი** კვლავ რუსეთის აგენტად რომ არის შერაცხილი და „ორი გვამის“ საქმე ისევ თაროზეა შემოდებული! სირცხვილია, ბევრი უბრალო ჩხუბის გამო იხდის სასჯელს, მაშინ, როცა მკვლელი „ვივამედში“ გულაობს! მოთმინებით ველოდებით, როდის შეასრულებთ 29 აპრილს ქართველი ხალხისთვის მიცემულ პირობას და გაანთავისუფლებთ სტრუქტურებს დამნაშავე ნაციონალებისგან! **ბევრი სწორედ ამ დაპირების გამო გაძლევთ ხმას!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***





„ალარაფერს ვამბობ „გირჩზე“, მათი რეალური სახეა ის, რაც საოკუპაციო ზოლთან გააკეთეს – შარვალჩახდილი, ნაკუზული ყოფნა!“

# ყალბი დემოკრატია!»

## კვირგვინოსნები

**ნინო ფორჩხუა**
*ექსპერტი*



**ნაცების გუნდის ახალი წევრებიო?** ამაზე მეტი ანეკდოტი რა გინდათ, **მთვრალი პრეზიდენტი** დაიყენეთ სათავეში, **თინა ბოკუჩავასთან** ხელჩაკიდებული და ეგაა, **1 პროცენტი განაღდებული გაქვთ.**

„იმედინიუსი“

**ბაჩო ოდიშარია**
*ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსი*



ამერიკულ ფილმებში სერიულ მკვლელებზე, **დამნაშავეები საჯარო ტუალეტში რომ იკეტებიან და გარეგნობას იცვლიან,** მაგრამ მაინც იგივე დამნაშავეები გამოდიან კაბინიდან, **ეგ იყო ნაცები რომ შეიკრიბნენ და „ერთობა“ დაირქვეს.**

„იმედინიუსი“

**დავით ჩიხელიძე**
*ექსპერტი*



ნაცების რიგებს ისეთი **ბუმბერაზი ადამიანები შეემატნენ,** როგორებიც არიან **დავით ქაცარავა, არმაზ ახვლედიანი, გიორგი მარგველაშვილი, ლაშა ბუღაძე** და ა.შ. მოკლედ ყველა რჩეული მოღალატე ნაციონალურ მოძრაობაში შეიკრიბა.

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ბიძინა ივანიშვილმა** ფეხბურთელებს **30 მილიონი აჩუქა** ქვეყნის ღირსეულად წარმოჩინებისთვის — **ევროკავშირმა 30-მილიონიანი დაფინანსება შეაჩერა ჯარისთვის** — ახლა მაინც დაინახეთ, ვის უყვარს საქართველო და ვინ არის მტერი.

„იმედინიუსი“

**ადვოკატთა კავშირ „ვექილის“ დამფუძნებელი, უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე სასამართლოსა და პროკურატურაში შექმნილ იმ მანკიერ სისტემას ამხელს, რომელიც სააკაშვილისა და ადეიშვილის მიერ ჩამოყალიბდა და, საუბედუროდ, დღესაც ფუნქციონირებს:**



# ლაზარე ჯორბენაძე: დღევანდელი სასამართლო კლანის ბოსებთან ქრთამი არაერთხელ მაქვს მიტანილი!

— ჩემი ძმა **ომარ ჯორბენაძე** 2004 წლიდან სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე იყო და თითქმის 2014 წლამდე წარმოადგენდა იმ დანაშაულებრივი სისტემის ნაწილს, რომელიც **სააკაშვილმა და ადეიშვილმა** შექმნეს. ომარი ხუთი წელია, არ მინახავს, იმიტომ კი არა, რომ მძულს... უბრალოდ, მას დღემდე სჯერა, რომ ნაცები, რომლებმაც სინამდვილეში სასიკვდილოდ გაიმეტეს, მოწამლეს, დააავადმყოფეს და გააუბედურეს, ქვეყანას გადაარჩენენ. ჩემი ძმა — ცნობილი მოსამართლე **ომარ ჯორბენაძე** ზურაბ ადეიშვილმა და დავით საყვარელიძემ 2009 წელს მოწამლეს და პარკინსონის დაავადება დამართეს!

**— ეს უმძიმესი ბრალდებაა, მაინც ვინ მოწამლა ომარ ჯორბენაძე?**

— ექიმმა, პროფესორმა მოწამლა, რომელსაც ამის გამო კაბინეტში შევუვარდი და ფანჯრიდან ვაგდებდი. სწორედ იქ, ფანჯრის რაფაზე, სიკვდილის შიშით მითხრა მაშინ მკვლელმა პროფესორმა — **შენს ძმას შეცდომით „იუმექსი“ და „პრონორანი“ დავუნიშნე, რადგან მეგონა, რომ პარკინსონის დაავადების სიმპტომები ჰქონდა გამოხატული!** საქმე ის გახლავთ, რომ 2009 წელს **ომარ ჯორბენაძე,** ზურაბ ადეიშვილის მოადგილე **დავით საყვარელიძე** და ეს გათახსირებული **ნიკა გვარამია** ამერიკაში იყვნენ, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემას ეცნობოდნენ. ჩემი ძმა იყო გადაღლილი, ჰქონდა ნევროზი და **დავით საყვარელიძემ** ურჩია — ამა და ამ ექიმთან მიდი თბილისში და ამ დაღლილობას ის გაგიქრობსო! მართლაც მივიდა ომარი იმ პროფესორთან, რომელიც ნაცებთან შეკრული აღმოჩნდა და აიკიდა პარკინსონის დაავადება. ზემოხსენებული ორი ტრანკვილიზატორი — **„იუმექსი“ და „პრონორანი“ პარკინსონის დაავადების სამკურნალო საშუალებებია, მაგრამ, თუ მათ ჯანმრთელ ადამიანს მისცემ, მაშინ ის პარკინსონით დაავადდება!** სწორედ ეს დამართეს ჩემს ძმას.

**— ექიმი დღესაც ცოცხალია?**

— ექიმი ცოცხალია, ქართველია და სპეციალურად არ ვასახელებ მის გვარსა და სახელს, რადგან უდანაშაულობის პრეზუმფციის თანახმად, ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, თანაც, იმის შემდეგ გასულია თხუთმეტი წელი. ის ექიმი პროფესორია და დღესაც იმავეს აგრძელებს... — დამავალეს და გავაკეთე!

## თუ მომკლავ, რას მიიღებო?! – პირდაპირ მითხრა ჩია ტანის მკვლელმა პროფესორმა, როცა ვაკეში მდებარე ერთ-ერთი საავადმყოფოს ფანჯრიდან ვაგდებდი.

**— თქვენ რა იცით, რომ თქვენი ძმა სწორედ დავით საყვარელიძემ მოაწამვლინა?**

— ომარმა თვითონ მითხრა — **დავით საყვარელიძემ** გამიშვა იმ პროფესორთანო! ბოლოს და ბოლოს, პროფესორმაც ყველაფერი აღიარა, მაგრამ, საუბედუროდ, ამის მტკიცებულება, ჩანაწერი არ მაქვს!

**— კი მაგრამ, რატომ უნდა მოეწამლათ ომარ ჯორბენაძე, რომელიც სააკაშვილისა და ადეიშვილის სასამართლო სისტემის ერთ-ერთი მთავარი რგოლი იყო?**

— ომარის მოკვლას პირდაპირ ვერავინ გაბედავდა, ამიტომ გადაწყვიტეს, ასე მოეღოთ მისთვის ბოლო...

**— რატომ... ჟვანია მოკლეს და ომარ ჯორბენაძე ვინ იყო მერაბიშვილის, ადეიშვილისა და სააკაშვილისთვის?**

— არა, ეს ძალიან დიდი სკანდალი იქნებოდა, რადგან მაშინ ჯერ მე უნდა მოვეკალით... მაგათ ძალიან კარგად იცოდნენ, თუ ომარს რამეს მოუწყობდნენ, მე არ გავჩერდებოდი. მაშინ მე და ჩემს ძმას ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. **ომარ ჯორბენაძემ** ადეიშვილისა და სააკაშვილის მიერ ჩადენილი ყველა საზიზღრობის შესახებ იცოდა. გარდა ამისა, ჩემი ძმა იყო იმ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ავტორი, რომელიც **ზურაბ ადეიშვილის** დავალებით დაიწერა და რომლითაც ნაცებმა 300 ათასი კაცი გაასამართლეს.

სხვათაშორის, „ქართულ ოცნებას“ ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს ამ საპროცესო კოდექსის შესაცვლელად, ანუ

**თითქმის ყველა განაჩენი, რომელიც 2009 წლიდან დღემდე არის დამდგარი, ჩემი ძმისა და ადეიშვილის მიერ შედგენილი საპროცესო კოდექსით განისაზღვრა.**

ამ კოდექსის ყველაზე დიდი სისულელე და მზაკვრობა ის არის, რომ ბრალის საფუძვლად მითითებულია **დასაბუთებული ვარაუდი**. მოგეხსენებათ, ვარაუდი არის ეჭვი, ხოლო ეჭვის დასაბუთება შეუძლებელია, ანუ

**ნებისმიერი პიროვნება, რომელიც 2009 წლის შემდეგ დააკავეს და ბრალი წაუყენეს, უდანაშაულოა, რადგან ბრალი ყველას ვარაუდით და ეჭვით აქვს წაყენებული!**

ამ საპროცესო კოდექსის მიღებისას დიდი დაკა-დაკა იყო პარლამენტში, რადგან ომარი აპირებდა ამ კოდექსის უკან გამოწვევას. სწორედ ამიტომ ადეიშვილმა და სააკაშვილმა **დავით საყვარელიძეს** დაავალეს **ომარ ჯორბენაძის** განადგურება და გაუშვეს ისეთ ექიმთან, რომელმაც მოწამლა და პარკინსონის დაავადება შეჰყარა! უბედურება ის არის, რომ 2010 წლის 2 ივლისს, როცა სასამართლოდან გამოსვლისას გაძლიერებულმა სპეცრაზმმა დამიჭირა და თაღლითობის მუხლით ბრალი წამიყენა, ორი კვირის შემდეგ ჩემი ძმა **ომარ ჯორბენაძე** ჩემთან მოვიდა ბათუმის ციხეში და მითხრა — **შენ დიდხანს უნდა იჯდე აქ, რათა მე კარგად ვიყოო!** ყველაზე მეტად ის ვერ მომინელებია, რომ, როგორც აჭარის სასამართლოს თავმჯდომარემ **ჯემალ კიკნაძემ** მითხრა, თურმე, ჩემი დაპატიმრება ჩემს ძმასთან, ნაცრეჟიმის ერთ-ერთ ჯალათთან და შემოქმედთან **ომარ ჯორბენაძესთან** იყო შეთანხმებული. იმის შემდეგ მასზე, როგორც ძმაზე, უარი ვთქვი!

**— ანუ ძმამ გაგყიდათ?**

— დედაჩემის სულს გეფიცებით, ასე იყო! ამის შემდეგ გადმომიყვანეს თბილისის ციხეში, სადაც ორთვენახევარი მცემდნენ.

**— ვინ გცემდათ?**

— გლდანის ციხის უფროსი **„ქილერა“,** ანუ იგივე **ალექ-**



## „ჟვანიას მკვლელობის დღეს სააკაშვილის ესკორტს შემთხვევით მანქანა დაეჯახა!“

## „სააკაშვილი ამის გაგონებაზე ჟვანიას ვაშლიჯვრის ოფისში მიუვარდა და თავში საფერფლე ჩაარტყა. ჟვანია გაითიშა, მაგრამ მაშინ არ მომკვდარა!“



## „ გურამ შარაძე გიორგი ბარათელს არ მოუკლავს, მკვლელი სულ სხვაა და ბატონი გურამი პირდაპირ სააკაშვილის ბრძანებით იქნა ლიკვიდირებული. რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილს, ჩემი ინფორმაციით, ბადრი სააკაშვილმა კოდუას მოაკვლევინა!“



გიორგი ბარათელი ციხიდან გამოსვლის შემდეგ



ომარ ჯორბენაძე

# „ჩემი დაპატიმრება ჩემს ძმასთან, ნაცრეჟიმის ერთ-ერთ ჯალათთან და შემოქმედთან, ომარ ჯორბენაძესთან იყო შეთანხმებული!“

**სანდრე მუხაძე** სიკვდილამდე მცემდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა — ე.წ. „ციხის ბუნტის“ დროს ვიცავდი იმ პატიმრების უფლებებს, ვინც დაბეგვეს, დაჟეჟეს და ძვალ-რბილი გაუერთიანეს. ამ **ძაღლიშვილმა „ქილერამ“** ციხეში მიცნო და პირადად მცემა. **ალექსანდრე მუხაძის** გარდა ჩემს ცემაში მონაწილეობდნენ **ვიქტორ დოლიძე, ოლეგ ფაცაცია** და სხვა ჯალათები. ამის შემდეგ ჩემი ძმა **ომარ ჯორბენაძე** ისევ მოვიდა ჩემთან გლდანის ციხეში და გამომიცხადა — **იმისათვის, რომ მე თანამდებობაზე დავრჩე, შენ სპეცსამსახურებთან უნდა ითანამშრომლოო!** ცხადია, იქვე დავამთავრე ყველაფერი... ცნობისათვის, მაშინდელი პროკურატურა ჩემგან ითხოვდა, ჩემი ძმისთვის დამედო ხელი, რაც, ცხადია, არ გავაკეთე და არც გავაკეთებდი.

**— მაინც რა უნდა გეთქვათ თქვენს ძმაზე?**

— მე მაბრალებდნენ, რომ მოსამართლეებთან და პროკურორებთან დიდი რაოდენობით ქრთამები მიმქონდა!

**— მართლა მიგქონდათ ქრთამი?**

— კი, მოსამართლეებთან და პროკურორებთან ქრთამები მართლაც მიმქონდა, რადგან ესენი მექრთამე და კორუმპირებული ხალხია. მაგრამ ჩემი ძმისთვის ქრთამი არ მიმიტანია, ხატზე შემიძლია დავიფიცო!

**— მაინც ვისთვის გაქვთ ქრთამი მიტანილი?**

— მაგას ვერ დავასახელებ, რადგან ისინი დღესაც მაღალი თანამდებობის პირები არიან და განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობენ! მაგალითად, დღევანდელი სასამართლო კლანის ბოსებთან ქრთამი არაერთხელ მაქვს მიტანილი!

**— ლევან მურუსიძეს, მიხეილ ჩინჩალაძეს და ვალერი ცერცვაძეს გულისხმობთ?**

— ვერ დავასახელებ, მაგრამ ცნობისათვის, თქვენ მიერ დასახელებული პირები მილიონერები არიან!

**— მაინც რა თანხები მიგქონდათ?**

— ძალიან დიდ თანხებზე იყო ლაპარაკი. ესენი მილიონერები არიან. **50 ათას დოლარს ესენი ფულს არ ეძახიან.** მაგალითად, **გიორგი მიქაუტაძე,** რომელიც მოსამართლეთა კლანის წევრია, 700 ათას დოლარად ღირებულ სახლს ფლობს და მამიდამისის სახელზე აქვს გაფორმებული. საიდან შეიძინა მოსამართლემ ამოდენა სასახლე, თავისი ხელფასით იყიდა? გამორიცხულია! ციხეში რომ ვიყავი, ზურაბ ადეიშვილმა პირდაპირ შემომითვალა — **გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო, თორემ შენ ისეთ ხალხზე გაქვს ინფორმაცია, მოგკლავენო!**

**— დავიჯეროთ, ყველა კორუმპირებული იყო სისტემაში და მხოლოდ თქვენი ძმა ომარ ჯორბენაძე გამოდგა ერთი ყინწვისის ანგელოზი?**

— არა, ომარ ჯორბენაძე ყინწვისის ანგელოზი არ ყოფილა, ჩემი ძმა, რომელსაც ძმობაზე უარი ვუთხარი, მაგათი იდეოლოგიური მამა იყო. თვითონ ომარი არასოდეს არაფერს აშავებდა, მაგრამ უარესს შვრებოდა — სხვას აშავებინებდა! მაგალითად, **ლევან მურუსიძე** მოსამართლედ სწორედ იმიტომ დანიშნეს, რომ ჩემი ძმის თანაშემწე იყო. სწორედ მას გაასამართლებინეს **სულხან მოლაშვილი** და გააშვებინეს კაცი ციხეში, მაგრამ განაჩენი **ლევან მურუსიძეს** არ დაუწერია, ჩემი ძმის **ომარ ჯორბენაძის** კაბინეტში დაიწერა.

**— კიდევ რომელ საქმეზე დაიწერა განაჩენი თქვენი ძმის კაბინეტში?**

— ჩემი ძმის კაბინეტში დაიწერა განაჩენი ე.წ ციხის ბუნტის საქმეზეც. **მაია თეთრაული,** რომელიც დღესაც მოქმედი მოსამართლეა სააპელაციოში, ჩემი ძმის თანაშემწე იყო და მოსამართლედ მხოლოდ ამიტომ დანიშნეს. **მაია თეთრაულს** გაასამართლებინეს ის დაბეგვილი და გაუბედურებული პატიმრები, ხოლო განაჩენი დაიწერა ისევ და ისევ ჩემი ძმის ომარ ჯორბენაძის კაბინეტში!

**— ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ რომ ატყდეს ერთი ამბავი და კანონის ძალით მოგთხოვონ, დაასახელეთ, ფულები რომელ მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიგქონდათო, რას იტყვით?**

— ჯერ ერთი, ესენი ამას ვერ მომთხოვენ, რადგან ყველა კორუმპირებულია და ყველას ეშინია! მეორე — **მე კანონის ძალით მაქვს უფლება, ჩემი თავის წინააღმდეგ ჩვენება არ მივცე, მითუმეტეს მაშინ, როცა საქმე ხანდაზმულია!**

ერთი რამ იცოდეთ, მე და **არჩილ კბილაშვილი** სტუდქალაქში, №905 ოთახში, ერთად ვცხოვრობდით. გენერალური პროკურორი რომ გახდა, როგორც მეგობარი და ახლობელი, ვეწვიე. **კბილაშვილმა** გენერალურ პროკურატურაში მაჩვენა ოთახი, რომელსაც კარზე ეწერა — **„ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში“.** კბილაშვილი ძალიან წესიერი კაცია და პირდაპირ მითხრა — აი, რატომ არ აღდგება საქართველოში სამართლიანობა, ხელ-ფეხი გვაქვს შეკრულიო!

**— რატომ არ იხსნება ზვიად გამსახურდიას, ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და გურამ შარაძის მკვლელობა?**

— გენერალურ პროკურატურაში ყველა ეს საქმე ნანახი მაქვს და ყველა გამოძიებულია!

**— რას ამბობთ?!**

— დიახ, იმ სულძაღლ ადეიშვილს ყველა ეს საქმე გახსნილი და გამოძიებული აქვს, მაგრამ საქმეები შემოდებულია თაროზე, რადგან ამ პოლიტიკური მკვლელობების ფიგურანტები დღესაც ძალიან გავლენიანი ადამიანები არიან.

**— აი, მაგალითად, ზურაბ ჟვანია როგორ მოკლეს?**

— ზურაბ ჟვანიას მკვლელობის დღეს სააკაშვილის ესკორტს შემთხვევით მანქანა დაეჯახა. მიშას, რომელიც კაიფში იყო, ვიღაცამ უთხრა — ეს ავარია ჟვანიას მიერ იყო ორგანიზებულიო! სააკაშვილი ამის გაგონებაზე ჟვანიას ვაშლიჯვრის ოფისში მიუვარდა და თავში საფერფლე ჩაარტყა. ჟვანია გაითიშა, მაგრამ მაშინ არ მომკვდარა. **ჟვანია რომ გადარჩენილიყო და ფეხზე დამდგარიყო, სააკაშვილი ამ ინციდენტის შემდეგ ცოცხალი ველარ გადარჩებოდა.** ამიტომ მიშამ და მისმა ბანდამ, რომლებიც საშინლად დაბნეულები და დაფეთებულები იყვნენ, საქმე ბოლომდე მიიყვანეს და ჟვანია მოკლეს. პრემიერ-მინისტრს ნაჭშირჟანგის შემცველობის ნივთიერებები შეუშხაპუნეს, დადგეს იმ ოთახში უბინძურესი სცენები და შექმნეს შთაბეჭდილება, თითქოს ზურაბ ჟვანია გაზის გამონაბოლქვმა გაგუდა. ამ მკვლელობას სააკაშვილმა შესწირა **ლევან სამხარაული,** რომელმაც იცოდა სიმართლე, ხოლო მეორე ექსპერტი **ლევან ჩაჩუა** ციხეში გაუშვეს. ჩაჩუა კარგი კაცი იყო, მაგრამ მშიშარა გახლდათ. ეტყობა, ისეთი ვინმეები ემუქრებოდნენ, ციხეშიც კი არაფერი უთქვამს! **გურამ შარაძე** გიორგი ბარათელს არ მოუკლავს, მკვლელი სულ სხვაა და ბატონი გურამი პირდაპირ სააკაშვილის ბრძანებით იქნა ლიკვიდირებული. რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილს, ჩემი ინფორმაციით, ბადრი სააკაშვილმა **კოდუას** მოაკვლევინა.

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე ნანახი გაქვთ?**

— საქმეს გაცნობილი არ ვარ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ადეიშვილმა გამოიძია, მაგრამ საქმე რომ პროკურატურაში თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



*ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი ზურაბ ჟვანიას დაკრძალვაზე*

## „ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ზურაბ ადეიშვილმა გამოიძია, მაგრამ საქმე რომ პროკურატურაში თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი!“



***„— რატომ არ იხსნება ზვიად გამსახურდიას, ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და გურამ შარაძის მკვლელობა?***

*— გენერალურ პროკურატურაში ყველა ეს საქმე ნანახი მაქვს და ყველა გამოძიებულია!*

***— რას ამბობთ?!***

*— დიახ, იმ სულძაღლ ადეიშვილს ყველა ეს საქმე გახსნილი და გამოძიებული აქვს, მაგრამ საქმეები შემოდებულია თაროზე, რადგან ამ პოლიტიკური მკვლელობების ფიგურანტები დღესაც ძალიან გავლენიანი ადამიანები არიან.“*



# ᲛᲝ ᲒᲔᲚᲐ ᲜᲓᲔᲑᲘᲗ!

## ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲔᲚᲐ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ



# ᲒᲐᲡᲐᲠᲔᲙᲔᲚᲔᲑᲘ

გვაძლევდნენ ეს ჩათლახები, იმას ხომ ვერ ვიტყვით, არ გვაძლევდნენო, 30 წლის განმავლობაში, აქეთობას მართლაც რიცხავდნენ, მაგრამ ნახევარზე მეტი ისევ იქეთობას მიჰქონდათ და რაც აქ რჩებოდა, **თავიანთ ლეკვებს კვებავდნენ, რომლებიც ახლა უკვე ქოფაკებად იქცნენ.**

მოცემულიდან 80 პროცენტი სესხად გვეწერებოდა და ისევ ჩვენი გადასახდელია, მაგრამ ახლა გვემუქრებიან და ისეთი რამის გაკეთებას გვაიძულებენ, რაზეც ჩვენ არასოდეს წავალთ! ხელისუფლების სრული სიგიჟე ჩვენ უკვე ვნახეთ 1993-სა და 2008-ში და ახლაც ვუყურებთ უკრაინაში.




აგერ, გუშინ გერმანელებიც მოგვადგნენ — **ჩვენაო, წლების განმავლობაში რო გეხმარებოდით, აღარ დაგეხმარებითო.**

ისე, გამოგიტყდებით, მე რო მაგათ ადგილზე ვიყო, ეგრე რიხით არ დაველაპარაკებოდი არავის და, მით უფრო, ქართველებს, რომლებმაც თავის დროზე ერთიანად მიუნგრიეს დრეზდენ-ბერლინი.

კაი, წარსულ ცოდვებს დავანებოთ თავი, დღევანდელზე ვილაპარაკოთ და ცოტა მკაცრად ვიკითხოთ: **რა ფეხები უნდათ ჩვენგან?**

ის უნდათ, რო 30 წლის განმავლობაში აქ 5-6 მილიარდი დაგახარჯეთ და ახლა ჩვენ დაკრულზე უნდა იცეკვოთო. არ იცეკვებთო? მაშინ დაისჯებითო, ჯერ კუთხეში დაგაყენებთ, მერე — ცალ ფეხზე, მერე სანქციებს დაგიწესებთო, მერე სახლებში გამოგკეტავთო, თუ არ გამოსწორდებით, დაგამხობთ და სისხლს განთხევინებთო.

**და ეს ყველაფერი 5 მილიარდად, რომლის ნახევარზე მეტიც ჩუმადნებით ისევ უკან წაიღეს და რაც აქ დატოვეს, ბოზებისა და ჩათლახების გამოკვებას მოახმარეს.**

იცით, ესენი არ ელოდნენ, საქართველოს ხელისუფლება ასეთი კერკეტი კაკალი თუ გამოდგებოდა. მაგათი დავთრების თანახმად, როგორც კი თითს დაუქნევდნენ, ეგრევე გაიხსნებოდა კავკასიაში მეორე ფრონტი და მთავარსარდალი იქნებოდა **ჩიტირეკია საკაშვილი.** რა თქმა უნდა, **ჩიტირეკია საკაშვილი** დირექტივებს ძირითადად მიიღებდა **სხვა ჩიტირეკიებისაგან.**

დიახ! ასეთი იყო უმფროსების გეგმა ვაშინგტონში, მაგრამ ჩვენ აღარ ვართ ისეთი დაუძლურებულები, **ერთაოზ ბრეგვაძესავით რო მოგვადგებიან და სახლს ფიცარ-ფიცარ დაგვიშლიან.** ჩვენ უკვე შეგვიძლია საკუთარი სახლის დაცვა და ჩვენი ინტერესების გატარება.

**იიიი... ჩვენ რო 5 მილიარდი დაგახარჯეთ 30 წლის განმავლობაში, ეგ როგოაო?** არადა, ვის დაახარჯეთ, რა დაახარჯეთ, სად დაახარჯეთ, რა ააშენეთ, რა გააკეთეთ, ვის გაუკეთეთ, სად არი, ვის უკანალში შეიტანეთ?

**ამათ ჰგონიათ, თუ ქართულ ჯარს 30 მილიონს აღარ მისცემენ, მოსახლეობა ქუჩაში გამოვა და ხელისუფლებას დაამხობს.**

აგერ, გამოაცხადა ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ — **ბიუჯეტი ნახევარი მილიარდით გაიზარდა და აქედან 100 მილიონი ჯარს მოხმარდებაო.** გამოდის, 30-ის ნაცვლად, თავდაცვის სამინისტრო 100-ს მიიღებს — **არ გვინდა, კაცო, მაგათი პროცენტიანი სესხები, ხომ შეიძლება, ყველა ვალი გავისტუმროთ და ვალების გარეშე ვიცხოვროთ?** რასაც პროცენტებში ვიხდით, იმას პენსიონერებს დავურიგებთ!



☺

მოკლედ, რააააა!

30 წელიწადია, „გვემეგობრებიან" და საერთოდ ვერ გაიგეს, ვინ ვართ, რა გვინდა და საით მივდივართ.

ფაქტია, ამათ ისევ **ერთაოზ ბრეგვაძე ვგონივართ და მოგვადგნენ, სახლი უნდა დაგიშალოთ ფიცარ-ფიცარო.**

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲨᲕᲐ!

# ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ



დღე არ გავა, ᲢᲐᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲨᲣᲨᲘ ტელევიზორში არ გამაიყვანონ და საერთაშორისო ამბები არ მიმოახილინონ.

**„ვსიო", მორჩა და გათავდა, „ქართული ოცნება" დამთავრებულიაო, მომავალი თაობა მოვდივართ ხელისუფლებაშიო, ახალგაზრდებიო, სუ ნორჩები და ტალიკ-ტალიკებიო.**

**განა ისე მოვდივართ, როგორც ოლიგარქი ივანიშვილი მოვიდაო? ახლა კოალიცია უნდა შევკრათ და ეს ქვეყანა გავაბრწყინოთო, ოღონდ ბომბებით უნდა გავაბრწყინოთო, როგორც უკრაინა ბრწყინავსო.**

ქალო, ამასწინებზე ნაპირა დუნდულზე „მარშრუტკამ" რო გაგკრა და წაგაბარბაცა, ეგ არაფერს გეუბნება? მაგიურმა ძალამ გაგაფრთხილა — **დადექ, თინა ძალოვო.**

შენ კიდე არ დგები, ისევ ტაივანელების სასარგებლოდ მუშაობ.

☺

ავი ენები იძახიან, ᲗᲘᲜᲐ ᲫᲐᲚᲝᲡ თავდაცვის სამინისტროში ბევრი **„პადელნიკი"** ჰყავს და პერიოდულად **„აჩოტებსაც"** აბარებენო.

იმასაც ამბობენ, მაგ სამინისტროში ბევრი **ნაცი** ბლატაობს, უკვე ისე არიან, ამ ხელისუფლების მომხრეებს თითებსაც კი უქნევენ — ცოტა ხანში ყოფას გიტირებთო.

გაიგონეთ?

თურმე, თავდაცვაშიც იგივე ხდება, რაც სხვა უწყებებში — ნაცები, გნაცები და შმაცები ხელისუფლების მომხრეებს ემუქრებიან.

**ამოცანა გვეკითხება:** სახელმწიფო უწყებებში რომ მოღალატეები გყავს, „რაზვი ეტა ნარმალნო"?!

**თუმცა, სადაც ᲗᲘᲜᲐ ᲫᲐᲚᲝ მინისტრი იყო, მოღალატეებისა და საბოტაჟნიკების არსებობა რა გასაკვირია?!**

**კარგი, ჰო, ივერიის გაბრწყინებაზე აღარ ვდარდობ, მაგრამ ამის ხელში ტაივანიც რომ აღარ გაბრწყინდება, ეგ კი ძალიან მაფიქრებს!**



# ᲛᲐᲓᲐᲛ ᲞᲘᲥᲐᲛᲝ

ეს ქალი ყოველ ჯერზე თავისი „ევროპიული" ტანისამოსითა და ყოფა-ქცევით ძალიან გვაოცებს. პრინციპში, გვაოცებს რა, უფრო მეტად გვაცინებს — **სადაც ეგ დაჯდება, იმ „რიადში" ყველა სასაცილო ხდება.** ახლა, ᲯᲐᲑᲚᲐᲑᲐ, ᲗᲐᲕᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲐ და ᲢᲠᲐᲛᲞᲐ-ᲪᲣᲛᲞᲐ ისედაც სასაცილოები არიან, მაგრამ მაინც.

**არ დაიჯერებთ! ᲜᲝᲓᲐᲠᲐ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ „შავნოდარად"** მე მოვნათლე და ეგ სახელი სამარადჟამოდ დავუმკვიდრე თავის შავბნელ ცხოვრებაში. ამიტომაც მომიგზავნა სახლში ერთი თავდაუზანელი დედაკაცი და იმნაირები შეათხზვევინა, პირიქით რო უნდოდა, პირაქეთ გამოუვიდა — მაგარი რეკლამა გამიკეთა... **ისაო, ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს რომელიმე მინისტრის გამწარება რო მოუნდებათ, სტატიას ზედელაშვილს უკვეთავენ, მაგას ამწარებინებენო.**

რა გამოდის? თუ პრემიერ-მინისტრები სტატიებს მე მიკვეთავენ და ჭკუასაც მეკითხებიან, საღოლ, თავო ჩემო, მაგარი ყოფილხარ! ჰოდა... ამით იმის თქმა მინდა, რო ახლა ᲒᲘᲣᲚ-ᲓᲔᲓᲣᲚᲘᲡᲐᲪ ეკუთვნის ერთი კაი ნათლობა ჩემგან — ამიერიდან მას უნდა ეწოდოს **მადამ პიჟამო.** ნახეთ, როგორ ლამაზადა ჟღერს **მადამ პიჟამო,** გეგონება ფრანგულიაო...

ისე, ეგ ᲫᲐᲚᲐᲓ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲪᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ჩვენს ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲨᲐᲜᲙᲐ ᲞᲚᲔᲖᲘᲓᲐᲜᲡ რო გადააბა, შეიძლება, ჰასაკოვან ქალთა მოტრფიალე ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲡᲐᲪ კი დაენგრეს ოჯახი.



**არაუშავს, პერიოდულად დგება ხოლმე დრო, როცა სცენაზე ბაყაყებიც ადიან, გამოთაყვანებულები ტაშსაც უკრავენ, მაგრამ მერე სკუპ... და ისევ გუბეში გალობენ.**

უკანა ფონზე ვინმე **სოფო ჯაფარიძეს** ვხედავ, რომლის ფუნქცია დღემდე ვერავინ გაარკვია — დადის და სადაც ადამიანს დაინახავს, ეგრევე ეხუტება. არავის ეკითხება, ამათი მომხრეა, მოწინააღმდეგეა, მტერია, მოყვარეა, „ლიჟბი“ სურათი გადაიღოს.

ეს რა არი, კიდევ ბევრ **„ახალ“ სახეს** ნახავთ ამათ დამყაყებულ ტიკჭორაში, ჯერ სად ხართ?

## ჰა, ჰა, ჰა! ახალი სახეებიო, კაცოოოო! არადა, უბედურება ის არის, რომ ახალი თაობები გაიზარდა, ესენი კი ისევ ე.წ. პოლიტიკაში არიან.

# მოვაშაძევდნენ!

კი, მაგრამ ჩვენ ხომ ესენი 2012-ში სულ კინწისკვრით გავყარეთ?

როგორ ბედავენ შემოტრიალებას იგივე „როჟებით“?

ახლები ვართო, **ახალი სახეებიო,** სუ ნორჩები და გაფურჩქნულებიო.

ჰაიმეეეეე!

ვინა, კაცო, **არმაზ ახვლედიანი?** ვასოს ყოშიანი ტრაქტორივით რომ იქნევს ყბებსა და ათასგვარ სისულელესა ყბედობს? სწორედ მაგ ყბების ქნევის გამო არ გამოაპანღურეს „ქართული ოცნებიდან“?

კიდე ვინა... **თამარა კორძაია?** ეგეც ხო **ბიძინა ივანიშვილმა** აქცია **რამედ?! რამედ** რა, ორ წელიწადს გაამწესეს პარლამენტში „ოცნების“ ეგიდით და სწორედ მაშინ წარმოიდგინა, **რამე**ვარო და შემდეგ ისკუპა ნაცებში. პრინციპში, ეგ თავისი შეგნებითა და გაგებით ყოველთვის ნაცი იყო. არადა, მახსოვს, „ახალგაზრდა იურისტთა“ ასოციაციაში რომ იწყებდა „მოღვაწეობას“, ერთი მორცხვი და რაღაცნაირი ბალღი გახლდათ, გამარჯობას თუ ეტყოდი, მწვანდებოდა.

**ლაშა ბაქრაძე** არისო ახალი სახე, **აკაკიჩი!**

იცით, ამ გაგებამორღვეული ტიპის ერთადერთი ღირსება რა არის?

მხოლოდ ის არის, ჩემო მეგობრებო, რომ **აკაკი ბაქრაძის** შვილია. **თუმცა, მე თუ მკითხავთ, მას შემდეგ, რაც აკაკიმ თუ ბაკაკიმ დიდი როლი შეასრულა ზვიად გამსახურდიას დამხობაში, არც მისი შვილობა უნდა ითვლებოდეს ღირსებად.** იმ დროს საქტელერადიო კომიტეტში ვმუშაობდი და ეგ თემა ზედმიწევნით კარგად ვიცი.

**ლაშა აკაკიჩი** სუ ამტკიცებს, ამ ქვეყანაში საშინელი რეპრესიებიაო და... ამ დროს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორად არი წამოლეშებული.

**კულტურის სამინისტრო-ვ!**

**ხანდახან დემოკრატია სირცხვილსა და თავის მოჭრას რომ უკავშირდება, ნუთუ ამის თაობაზე არაფერი გსმენიათ?!**

**ჰა, აბა!**

**კიდე „ვინები“ დავახასიათო?**

ისა, თეატრალურ ნიღაბს რომ მიუგავს აქეთ-იქით გატყლარჭული სახე? ქუთაისში ყურებიან პენისს რომ ეძახიან და პრემიერ-მინისტრობა კიდე უნდა?

ჰოოო... **ვაშაძეზე** ვიძახი, მაგას უჩემოდაც უნდა მიმხვდარიყავით!

ეგებ ცეტ **ბოკუჩავაზე** გითხრათ ორიოდ სიტყვა, თავი ჯინა ლოლობრიჯიდა რომ ჰგონია და ამ დროს გუბეში ჩამხტარი ბაყაყია? დააკვირდით (ან კი დაკვირვება რათ უნდა?), როგორი ბაყაყისმიერი მეტყველება და ყიყინი აქვს.



## გამარჯვების საკითხი მოგვარამიებული და ჭაფარხოშტარიებულია!

**მოლაპარაკებები იყო ძალიან რთული, დაძაბული, დამღლელი და დამქანცველიო!** — თქვეს ამ ახლადგამოჩეკილმა „ახლებმა“ და ხოშტარია-ჯაფარიძეებმა.

**აბა, კაცო, რთული იქნებოდა, ეგეთი გრანდიოზული რეიტინგის მქონე პოლიტიკოსების გაერთიანებას ეხუმრებით?**

ძველ, ანუ **ხანდაზმულ თაღლითებს** უარი უთქვამთ — ჩვენ **ქარაქუცა თაღლითებთან** არ ვთანამშრომლობთ, უფრო **მსხვილი თაღლითები** გვაინტერესებს, სხვანაირად ოლიგარქს ვერ დავამარცხებთო.

**თაღლით გახარიასაც** უარი უთქვამს ამათთან თანამშრომლობაზე — **ჩვენ იმოდენა რეიტინგი გვაქვს, უთქვენოდაც გავქაჩავთ, ტყუილად ვერ წამოგიკიდებთ ზურგზეო.**

როგორც ჩანს, **გახარია-ხაზარაძის ერთობის** პერსპექტივამაც ჩაილურის წყალი დალია, ეს ორი „გრანდი“ ერთად რომ ვერ მოძოვდა, ეგ თავიდანვე ვიცოდით.

და ამათ, ამ უბედურებს აქვთ იმედი, რომ 5%-იან ბარიერს გადალახავენ?

თქვენ გჯერათ?

მე არ მჯერა და ასეც იქნება, ესენი 26 ოქტომბერს ქართველი ხალხისგან მიიღებენ სამი თითის კომბინაციას.

☺

**არა, მოლაპარაკებები იყო ძალიან რთული, დაძაბული და დამქანცველიო!** — გამოაცხადეს ტელევიზორში და მე ეგრევე გამახსენდა კონფერენცია, რომელიც 1943 წელს თეირანში გაიმართა. **როგორ გითხრათ, ის მოლაპარაკება ამ მოლაპარაკებაზე რთული არ იყო, მაგრამ შორსაც აღარ წაუვიდოდა.**

ჩემი ბალღობისას სოფლის კლუბებში ერთი ესპანური ფილმი გადიოდა, **„ხანგრძლივი დაბრუნება“** ერქვა და არც შინაარსი მავიწყდება. შეყვარებულ წყვილზეა — დასაწყისში ბედნიერები არიან, მაგრამ მოულოდნელად ქალს რაღაც დაავადებას აღმოუჩენენ, მეცნიერები **გაყინავენ** და მაშინ გაალღობენ, როცა კაცი უკვე ღრმად მოხუცებულია.

აი, აქ იწყებოდა ტრაგედია — კაცი გიჟდება, ისევ თავდავიწყებით უყვარს გამლღვალი ქალი, მაგრამ არაფრის თავი აღარა აქვს, ცალი ფეხი სამარეში უდგას.




## სალომე ზურაბიშვილი - დღეს ევროპისკენ გზა გაიყინა - ხელისუფლებამ ამ გზას გადაუხვია და ჩვენ გაგვყინეს



# ტვინგაყინული დედაკაცი

**ქალი?**

**ეჰ, ქალი განიკურნა და ისევ ისეთი ქორფაა, როგორიც გაყინვამდე იყო. ისიც გიჟდება, კაცი თავდავიწყებით უყვარს, მაგრამ აზრი აღარ აქვს.**

☺

რატომ მოვყევი ამსიგრძე ამბავი?

რავი, **სალომე ბაბო** იძახის — **ხელისუფლებამ გზას გადაუხვია და ჩვენ გაგვყინესო.**

კი, ბატონო, კეთილი და პატიოსანი!

მოდით, ვინც **გაიყინა,** ეგრე დავტოვოთ და როცა ევროკავშირში მიგვიღებენ, მერე **გავალღოთ.** თუ არ მიგვიღებენ, **არ გავალღოთ,** რა პრობლემაა?

ფილმში ცოტა სხვანაირად გამოდის, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ასე იქნება: **ესე იგი, თუ სალომე ბაბო დარჩება გაყინულ მდგომარეობაში და სულ რაღაც ოციოდ, თუნდაც ოცდაათიოდ წელიწადში გავალღობთ, ჩვენ მას ასაკით დავეწევით და ყველანი თანატოლები ვიქნებით.** ეს იქნება ერთი ბედნიერება და მეორე ბედნიერება კიდე ის იქნება, რომ **სალომე ბაბო** თავს პირდაპირ ევროკავშირში ამოჰყოფს და იცხოვრებს უდარდელად.

**თქვენ გგონიათ, 20-30 წელიწადში არ მიგვიღებენ? მანამდე ევროკავშირი დაიშლება?**

**ეგ არაფერი, სადმე რომელიმე კავშირში შევალთ და ვეტყვით, რომ ევროკავშირია, ძაან არ მიხვდეს, აი!**

ჰოოო... ერთ ტელეარხს გავუკეთებთ, სადაც სუ ევროპასა და ევროკავშირზე იქნება ლაპარაკი... ერთ ცალ „ისკრასაც“ დავუბეჭდავთ, სადაც სუ ევროკავშირსა და ევროპაზე იქნება სტატიები.

**მა რაააა, ლენინსაც ეგრე არა სცემდნენ პატივს? მაშინ ტელევიზორი გამოგონებული არ იყო და ამიტომ მარტო „ისკრას“ უბეჭდავდნენ.**

☺

ჩვენ **გაგვყინესო,** ხალხოოოო, **გაგვყინესო!**

ეგეთი პაპანაქება მაინც არ იყოს, საიდან რას დააბრეხვებს ხოლმე ეს უაზრო და **ტვინგაყინული** დედაკაცი?!

გაგრძელება მე-14 გვერდზე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

*ლანა ღოღობერიძემ — ეს კინო ნანახი მაქვსო. ჰო, ეს კინოც ნანახი აქვს და ის კინოც, 30-იან წლებში მამამ რომ ანახა.* ***ავი ენები ამბობენ, ზვიად გამსახურდიას დამხობა ისე გაუხარდა, ტატრაყუნა ცეკვავდაო.*** *კიდე უნდა, რომ ტატრაყუნამ იცეკვოს, რატომაც არა? თავ-კანჭ-მენჯ-მუხლები აღარ ემორჩილება, მაგრამ სურვილი აქვს, სურვილი ბოლოს კვდება...*

# ხაშალი ინტელიგენცია

**ჩაფეხვილებმა** — 200 სოფელი უნდა შემოვიაროთ და მოსახლეობა დავარწმუნოთ, რომ „ქართული ოცნება“ არ ვარგა, რუსეთისკენ მიგვაქანებსო.

200 სოფელი და 100 ქალაქიო, მგონი, ასე გამოაცხადეს. რამდენიც არ უნდა გამოეცხადებინათ, ესენი რის შემომვლელები არიან? სართიჭალამდე ჩაწანწალდებიან და უკან მობრუნდებიან ან იქვე დეეყრებიან ხაშალი ცხვრებივით.

**ჰა, ჰა, ჰა!**

**აქედან უმეტესობა რუსეთშია ნათრევი, ახლა მოუნდათ ევროპიელობა.**

არაო, რუსეთში ვერ შეგვათრევთო. არადა, ესენი და ამათი წინაპრები რუსეთში უკვე იყვნენ შეთრეულები. მაგალითად, თუ **სუხიშვილები** რამეს წარმოადგენენ, ეს მხოლოდ რუსეთისა და კრემლის დამსახურებაა, მაგათ ყოველ დილით სანთლები უნდა დაუნთონ **იოსება პაპას.**

**ყველა ჩამოვთვალო? არ ღირს, თქვენ ჩემზე მეტი იცით!**

**ამათ ევროპა რაღაც შენობა ჰგონიათ, სადაც შეეთრევიან და ბედნიერად იცხოვრებენ.**

მიდით, თქვე ყავლგასულებო, შედით, ვინმე გიჭერთ? ვინმე ჩელიაბინსკში მიგათრევთ? ვინმემ ეგ ჭრელა-ჭრულა ტანისამოსი შემოგახიათ?

რაც კი „მენდალი“ ჰქონდათ რუსებს, ყველა ჩამოიკიდეთ, ყველა „პაჩოტნი გრამოტა“ წამოიღეთ, ყველა სიკეთით ისარგებლეთ და ახლა რუსებს აგინებთ?

**ჰმ... შეიძლება, მე და ჩემნაირებმა ვაგინოთ რუსეთს, შეიძლება, მე და ჩემნაირებს გვქონდეს პრეტენზიები რუსეთთან, მაგრამ თქვენ რა უფლებით ლანძღავთ?**

**კაცოოოოო!**

**ერთი ხელით ბიძინა ივანიშვილის ფულებს იღებენ, მეორე ხელით კიდე „ქართულ ოცნებას“ ძირს უთხრიან.**

ამათი გამოთხრილი არ გაიშვა გაჩიანის გადასახვევამდე, მაგრამ რათა?

ამასწინებზე მითხრეს — **სალომე ზაზომ საპრეზიდენტო არჩევნებისას „ქართუდან“ მილიონი ლარი რომ ისესხა, აპატიეს, ანუ აჩუქესო. მე კიდე ვფიქრობდი, დააბრუნებინეს და ამიტომ არი დაბოღმილი-მეთქი.**

ხედავთ, ხალხო? მილიონები უნდათ, **ბიძინა ივანიშვილი** არ უნდათ, ეს რანაირი გაგებაა? კი, ბატონო, ჩათლახობა და გოთვერნობა გამიგია, მაგრამ ეგეთი? ამნაირი?!

**მოკლედ, ძალიან მაინტერესებს, სართიჭალამდე ჩააღწევენ თუ არა... სადმე ჩრდილში რომ დეეყრებიან მკითხავ მამედას სახლთან, ჩავალ და სურათს გადავუღებ.**






# ამ ფოტოს გვერდს ვერ ავუვლიდი!

რა სიამაყე, რა შთაგონება, როგორი იშვიათი გამომეტყველება, როგორი კდემამოსილება, აღმაფრენა, ინტელექტი, ემოცია, ღვთაებრიობა, ანდამატი, აღტყინება...

**აფსუს! ცოდო არ არი, ეს მეხრიბიკიანი იყოს და ზოგიერთი კიდე — ბაგრატიონი?**

არადა, ვინ იცის, რამდენი პოეტის მუზა და შთაგონების წყარო გამხდარა, რამდენი დიდი ხელოვანისთვის შეუტოკებია შემოქმედებითი სიმები. **ნახეთ, როგორ შინაარსიანად უჭირავს ხელებში მიკროფონი, აშკარად ეტყობა, რაღაც საკურველისა და უცნაურის სათქმელად ემზადება, რათა განაცვიფროს ყოველი მიწასა ზედა.**

არ დაიჯერებთ, სიტყვები აღარ მყოფნის, რათა აღვწერო ეს რენესანსული სინკრეტიზმი.

**აფსუს! ცოდო არ არი, მთაწმინდაზე ცინკის ქალი იდგეს ხმლითა და ჯამით ხელში და ეს კიდე ძირს დათოხარიკობდეს ამ პაპანაქებაში?**

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



ეს იქნება **ყველაზე ბინძური არჩევნები,** რაც კი ოდესმე საქართველოში ჩატარებულა!

„კვირის პალიტრა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლიბერტარიანული პარტიის წევრი*



ეს არჩევნები იქნება **ყველაზე ბინძური არჩევნები** საქართველოს უახლესი პოლიტიკის ისტორიაში.

„ახალი თაობა“

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



არ მესმის, **რატომ ატყუებენ ამომრჩეველს,** რომ ნაცები არ არიან. ნაცი არ ხარ იმ შემთხვევაში, თუ უშვებ, რომ **ნაცებთან კოალიციას არ შეკრავ** და შეკრავ სხვა პარტიებთან.

„ახალი თაობა“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



ოპოზიციას **ივანიშვილის** დამარცხების სურვილი არა აქვს. მგონია, რომ ამ **არჩევნებს დასავლეთი არ ცნობს, არ აღიარებს,** როგორც გამჭვირვალედ ჩატარებულს.

„ახალი თაობა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, **არჩევნების შედეგები გადაწეროს, არჩევნები გააყალბოს** და დემოკრატიული განვითარების კურსს გადაუხვიოს, მაშინ **მტკივნეულ პასუხს მიიღებს.** „ახალი თაობა“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ, მაგრამ, სამწუხაროდ, **ამ დროისთვის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება შეჩერებულია.**

„ინტერპრესნიუსი“

# გენერალისიმუსი

№36 (272)★ 2024 წლის 15 ივლისი★ გამოდის 2003 წლიდან


***ევროპული ქვეყნების ლიდერები გაოგნა ნატოს სამიტზე პრეზიდენტ ბაიდენის სამარცხვინო წამოცდომამ, როცა მან პრეზიდენტი პუტინი და უკრაინელი მასხარა ზელენსკი ერთმანეთში აურია.***

ამერიკის დაჩაჩანაკებული ლიდერის თავისმომჭრელი განცხადების მიუხედავად, შეხვედრის მონაწილენი განაგრძობდნენ ტაშისკვრას და არცთუ დაუფარავად იღიმოდნენ, რაც **დონალდ ტრამპთან** დებატებში დამარცხებული **ბაიდენისათვის** საბედისწერო განაჩენად უნდა აღვიქვათ. **„ახლა სიტყვა უნდა გადავცე უკრაინის პრეზიდენტს, რომელსაც აქვს იმდენივე სიმამაცე, რამდენიც გადაწყვეტილების მიღების უნარი. ქალბატონებო და ბატონებო, პრეზიდენტო პუტინ“...** — თქვა თეთრი სახლის უმაღლესმა მოხელემ. მალე **ბაიდენმა** გააცნობიერა დაშვებული შეცდომა და სცადა დამსწრეთა დარწმუნება, რომ მზადაა **პრეზიდენტ პუტინის** დასამარცხებლად — აქაოდა, შეცდომაც იმიტომ დავუშვი, რომ სწორედ მის დამარცხებაზე ვარ კონცენტრირებული და ამისკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევაო! საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ადრე **ჯო ბაიდენს** ერთმანეთში აერია ქვეყნების სახელწოდებანი და გააკრიტიკა ვაშინგტონის გადაწყვეტილება **„უკრაინაში შეჭრის შესახებ“,** რის შემდეგაც დააზუსტა, რომ გულისხმობდა **ერაყსა** და **ავღანეთს.** შეხვედრაზე, რომელიც 2024 წლის 11 ივლისს ვაშინგტონში გაიმართა და, რომელიც და**ტრამპ**ულ **ბაიდენს** საკუთარი შვილიშვილის დაბადების დღე ეგონა, ხელი მოეწერა შეთანხმებას უკრაინის უსაფრთხოების შესახებ, თუმცა, ალიანსში „ნეზალეჟნაიას“ მიღება კვლავ გაურკვეველი დროით გადაიდო.

# P.S.

**დემენცირებულ-ჩერნენკოიზებულმა ბაიდენმა** 2024 წლის 14 ივლისს პენსილვანიაში მოხმდარი ტერორისტული აქტი — **დონალდ ტრამპზე შეიარაღებული თავდასხმა** — დაგმო და განაცხადა, რომ მისთვის ლოცულობს, თუმცა, ძნელია, **„მძინარე ჯოს“** გულწრფელობის გვჯეროდეს, რადგან მთლად ბოლომდე დარწმუნებული არა ვართ, რომ **ოპონენტი ტრამპი** სხვა ვინმეში არ ერევა ისევე, როგორც ზელენსკი — პუტინში, ხოლო ნატოს სამიტი — შვილიშვილის დაბადების დღეში.

# უსტალინო ქვეყანაში ბაიდენმა ზელენსკი გააპუტინა!

**დემენცია ამერიკულად ★**

## Biden introduced Zelenskyy. It didn’t go well: ‘Ladies and gentlemen, President Putin’




*By* **MILES J. HERSZENHORN**
07/11/2024 06:26 PM EDT
Updated: 07/11/2024 08:11 PM EDT

President Joe Biden mistakenly introduced Ukrainian President Volodymyr Zelenskyy as “President Putin” on stage at the NATO summit at a ceremony marking the signing of a security agreement for Ukraine.

The gaffe came at the end of a speech by Biden about NATO’s enduring support for Ukraine. He barely stuttered during his remarks as he pledged security guarantees from Western countries beyond the end of the war in Ukraine.

But that was quickly overtaken by a very embarrassing mistake.

As Biden introduced Zelenskyy to give his remarks, the U.S. president said: “Ladies and gentlemen, President Putin.”

Some of the 20-odd European leaders on stage at the ceremony began to clap, but others — unsure how to react to Biden’s error — didn’t do anything at all.

Biden quickly corrected himself, but the solo press conference at the end of the NATO summit has been seen as an important moment for Biden to assert his strength as a leader and prove that his presidential campaign can survive. And with an intense focus on the president’s mental fitness following his disastrous debate performance late last month, the mistake is likely to dominate the conversation following the end of the summit.

After recognizing his error, Biden attempted to laugh away the slip-up.

“I’m so focused on beating Putin. We gotta worry about it. Anyway…,” Biden said.

“I’m better,” Zelenskyy replied.

“You’re a hell of a lot better,” Biden said.

In his solo press conference Biden made a similar mistake, replacing the last name of Vice President Kamala Harris with former President Donald Trump. This time, he didn’t correct his error.

“I wouldn’t have picked Vice President Trump to be vice president if she wasn’t qualified to be president,” Biden said.

The president also directly addressed his slip-up with Zelenskyy earlier in the day.

“How many times did you hear in that conference — I know it sounds too self-serving — but other leaders, heads of state in thanking me, saying ‘The reason we’re together is because of Biden,’” he said.

“I thought it was the most successful conference I have attended in a long time and find me a world leader who didn’t think it was,” Biden added.

French President Emmanuel Macron commented on Biden’s mistake in a press conference immediately after the ceremony, brushing it off as no big deal.

“Everyone makes slips of the tongue — it could happen to me tomorrow,” he said.

“I had a long conversation with Joe Biden,” Macron added. “I saw an experienced president, whose attachment to Europe is exemplary. France, Europe, Ukraine are lucky to have such a committed president.”

# ხაზარაძის მდგმური საქართველოს თითს უქნევს!

***საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ერნსტ პეტერ ფიშერმა, რომელიც მამუკა ხაზარაძისაგან ნაქირავებ სახლში ცხოვრობს და „ლელოს“ ლიდერებს რეგიონებში პარტიულ შეხვედრებზე დაჰყვება, ქართველებს თითი დაგვიქნია — გერმანია საქართველოსთან ურთიერთობების გადახედვას აწარმოებს და თუ ჩვენს კურსს არ დაუბრუნდებით, არც ფინანსურად დაგეხმარებით და არც ევროკავშირში მიგიღებთ!***

მაინც რას გულისხმობს **„ჩვენს კურსში“** გერმანიის ელჩი?

რა კურსს უნდა დაუბრუნდეს საქართველო, რომ ევროკავშირის ნახევრად ღია თუ ნახევრად დაკეტილი კარი ბოლომდე არ მიუხურონ და გერმანიამაც ფინანსური დახმარება არ შეუწყვიტოს?

აკი, ყველა საერთაშორისო კვლევა და რეიტინგი ადასტურებს, რომ საქართველო დემოკრატიის, სამართლის, კანონის უზენაესობის, ბიუჯეტის გამჭვირვალობის, კორუფციის აღქმისა და კიდევ ბევრი სხვა ინდექსით არამხოლოდ ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს, არამედ ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანასაც კი უსწრებს!

**იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ საქართველო, ყველა ზემოხსენებული კრიტერიუმის მიხედვით, რამდენიმე თავით აღემატება ევროკავშირის წევრობის კანდიდატ უკრაინას, სადაც აღარცერთი ოპოზიციური პარტია და ტელეარხი აღარ ფუნქციონირებს და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ მოლდოვას, რომელიც დღემდე რჩება რუსეთის ფრთებქვეშ არსებული საბჭოთა კავშირის მინი-მოდელის — „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“, ანუ „ესენგეს“ წევრად.**

მაშ, როგორ ასცდა საქართველო პროევროპულ კურსს და რატომ გვემუქრება **ხაზარაძის მდგმური გერმანიის ელჩი** — თუ ჩვენს კურსს არ დაუბრუნდებით, დაგსჯითო?

მოიცადეთ, რადგან საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და კანადის მსგავსად, უცხოური გავლენის გამჭვირვალობა დააკანონა და საზღვარგარეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს წელიწადში ერთხელ ფინანსური დეკლარაციის შევსების ვალდებულება დააკისრა, ეს პროევროპული კურსის ცვლილებას ნიშნავს?

ამის გამო **„აწარმოებს“** გერმანია საქართველოსთან **„ურთიერთობების გადახედვას“?**

ამის გამო გვემუქრება **ხაზარაძის მდგმური პეტერ ფიშერი** — გერმანია საქართველოს ფინანსურად აღარ დაეხმარებაო?

კი მაგრამ, **როგორ შეიძლება, გამჭვირვალობა, საჯაროობა და კანონიერება ანტიევროპული კურსი იყოს, როცა ევროკავშირის დეკლარირებული პრინციპები და ღირებულებები სწორედ საჯაროობას, გამჭვირვალობასა და კანონის უზენაესობას ეფუძნება?**

არა, აქ აშკარად სხვა რაღაცაშია საქმე, ძაღლის თავიც სულ სხვაგან არის დამარხული და **გერმანიის ელჩსაც** სხვა რამის გამო აქვს ატეხილი პოლიტიკური მუცლის გვრემა!

საერთოდ, ბოლო დროს, **გერმანიის ხელისუფლება და მისი ცალკეული წარმომადგენლები** საქართველოს ნამეტანი გადაეკიდნენ და უკადრებელიც კი აკადრეს... ავიღოთ თუნდაც გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის **მიხაელ როთის** თბილისში სტუმრობა, ანტისამთავრობო მიტინგზე სიტყვით გამოსვლა, საქართველოს ხელისუფლების „ქართულ კოშმარად“ მონათვლა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცხადება პროგრესის ხელშემშლელ რეტროგრადულ ძალად. კი, **ერთნაირსქესიანთა ქორწინებაში მყოფმა, ანუ ხალხურად რომ ვთქვათ, გათხოვილმა კაცმა მიხაელ როთმა** ქართველებს ნიშნის მოგებით გვკითხა — **თქვენ რა, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის იმედად აპირებთ ნათელი მომავლის აშენებასო?** ესე იგი, თქვე ბნელებო და განუვითარებლებო, გჯერათ, რომ ღმერთი, რელიგია და ეკლესია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროკავშირი, ლგბტ უფლებები და გენდერული თეორიებიო?




**წესით,** გერმანიის ხელისუფლებას საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ბოდიში უნდა მოეხადა მისი მაღალი რანგის წარმომადგენლის ასეთი უპასუხისმგებლო და უპატივცემულო გამოხტომის გამო!

**წესით,** გერმანიის ხელისუფლება მიხაელ როთის მიერ საქართველოს შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევასა და მართლმადიდებელი ეკლესიის შეურაცხყოფას უნდა გამიჯვნოდა!

**წესით...**

მაგრამ გერმანიის ხელისუფლება ახლა უკვე თავისი ელჩის **პეტერ ფიშერის** მეშვეობით გვიბღვერს — **აზრზე მოდით და ჩვენს კურსს დაუბრუნდით, თორემ ცულს მოვიტან ცუნცულასაო...**

არადა, გერმანიის ხელისუფლებას თავისი ჩაოხრებული საქმისათვის ვერ მიუხედავს!

აგერ, სულ ახლახან, **კანცლერმა შოლცმა და მისმა პარტიამ** ევროპარლამენტის არჩევნებში ხმების 14 პროცენტი ძლივს მოაგროვეს და მესამე ადგილზე რის ვაინაჩრობით გაღოღდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ხელისუფლებას ლეგიტიმაციის სერიოზული პრობლემა აქვს, ამ დროს კი **ცალკე გათხოვილი კაცი მიხაელ როთი და ცალკე ხაზარაძის მდგმური პეტერ ფიშერი** საქართველოსათვის თითის ქნევით არიან დაკავებული.

ჩვენს კურსს უნდა დაუბრუნდეთო!

და რა არის ეს კურსი?

**უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი გავაუქმოთ, ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონი არ მივიღოთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინება დავაკანონოთ და ამ შემთხვევაში დავიმსახურებთ გათხოვილი გერმანელი კაცის მიხაილ როთისა და ხაზარაძის მდგმური გერმანიის ელჩის პეტერ ფიშერის აპლოდისმენტებს? ეს იქნება სწორი კურსი და ასე გავხდებით ევროკავშირის წევრი თუ გერმანიის**

## სად მარხია ძაღლის თავი? ★








**გერმანიის ხელისუფლების ანტიქართული გამოხტომების ფესვები იმაში უნდა ვეძებოთ, რომ საქართველო ფაშიზმის დამმარცხებელი იოსებ ჯუღაშვილისა და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის ამტანი მელიტონ ქანთარიას სამშობლოა!**



მამუკა ხაზარაძე

## ფინანსური დახმარების ღირსი?

კი, სწორედ ამას გვეუბნება **გათხოვილი გერმანელი კაცი მიხაელ როთი!**

სწორედ ამას გვეუბნება **ხაზარაძის მდგმური გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი!**

სწორედ ამას გვეუბნება **გერმანიის ხელისუფლება!**

რეალურად კი, როგორი კურსი აქვს აღებული გერმანიას და რა საფრთხეების წინაშე აყენებს გერმანელ ერს მისი ხელისუფლების ნეოლიბერალური პოლიტიკა, ამაზე თუნდაც გერმანული ფეხბურთის ლეგენდის, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელის **ტონი კროოსის** განცხადება მეტყველებს:

***„გერმანია აღარ არის ის ქვეყანა, რომელიც, სიტყვაზე, 10 წლის წინათ იყო. როგორ გამოვთქვა ისე, რომ იარლიყები არ მომაკერონ? მაგალითად, გერმანიის რომელიმე დიდ ქალაქში ჩემს შვილს ღამის 11 საათზე გარეთ ვერ გავუშვებ“.***

მოკლედ, გერმანიის სახელმწიფოს დღევანდელი კურსი ისეთია, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ლეგენდას **ტონი კროოსს** სამშობლოში დაბრუნება აღარ უნდა და ესპანეთში დარჩენას ამჯობინებს, რადგან ლიბერალური საემიგრაციო პოლიტიკის ჭაობში ჩაფლულ გერმანიაში ცხოვრება უსაფრთხო აღარ არის!

**გერმანიის ელჩი** კი ქართველებს ეუბნება — **ჩვენს კურსს თუ არ დაუბრუნდებით, გერმანია ფინანსურ დახმარებას არ გაგიწევთო!**

ქართველები ისეთი თავხედები და უკულტუროები რომ ვიყოთ, როგორიც გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, **გათხოვილი კაცი მიხაელ როთი** ბრძანდება, **ხაზარაძის მდგმურ გერმანიის ელჩს** პირდაპირ ვეტყოდით, სადაც უნდა წაიღოს ის ფინანსური დახმარება, რომლის შეწყვეტითაც საქართველოს ემუქრება.

თუმცა, ქართველები დელიკატური ხალხი ვართ და **ხაზარაძის მდგმურ გერმანიის ელჩს** მხოლოდ იმას ვეტყვით, საქართველოს ღირსება, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და ეროვნული თავმოყვარეობა არანაირ ფინანსურ დახმარებაზე არ იცვლება და არ ხურდავდება!

ამასთანავე, ქართველები უფლებას ვიტოვებთ, **გერმანელი გათხოვილი კაცის მიხაელ როთის, ხაზარაძის მდგმური გერმანიის ელჩის პეტერ ფიშერისა** და მთლიანად გერმანიის ხელისუფლების ანტიქართული გამოხტომების ფესვები იმაში ვეძებოთ, რომ **საქართველო ფაშიზმის დამმარცხებელი იოსებ ჯუღაშვილისა და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის ამტანი მელიტონ ქანთარიას სამშობლოა!**

ასეთი ფიქრი ნამდვილად ლეგიტიმურია მაშინ, როცა საქართველოსადმი გერმანიის ხელისუფლების ანტაგონიზმს ობიექტური და სამართლიანი მიზეზები არ გააჩნია!

***გიორგი ძაძამია***



გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთი თბილისში, ანტისამთავრობო მიტინგზე გამოსვლისას

## პროფესორის პოლიტიკა ★

***რამდენიმე დღის წინათ რუსეთის საგარეო დაზვერვის პრესბიურომ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც საქართველოში საშემოდგომოდ ვაშინგტონის რევოლუციურ გეგმებს ეხება:***

*— „ამერიკელმა „კურატორებმა“ უკვე მისცეს ბრძანება საქართველოში ოპოზიციურ ძალებს, არჩევნების პერიოდში საპროტესტო აქციების დასაგეგმად. ამასთან, ხელისუფლების ცვლილების მთავარი მამოძრავებელი ძალა თბილისის მოსახლეობა უნდა იყოს. ვაშინგტონი ყველა ამ მოვლენის საფუძველში ანტირუსული იდეოლოგიის ჩადებას გეგმავს, რათა საქართველოს ყველა უბედურებაში მოსკოვი დაადანაშაულოს.*

***ანტისახელმწიფოებრივი განწყობების გაღვივებაში მთავარი როლი საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უნდა შეასრულოს. „ვაშინგტონელი რეჟისორების“ გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაური ინტერვიუს მისცემს ერთ-ერთ ამერიკულ მედიასაშუალებას, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას დაადანაშაულებს თბილისის ევროკავშირში გაერთიანების პროცესის „დეგრადაციის“ გამო და ფართო საზოგადოებას გააფრთხილებს, მოსკოვთან დაახლოების და რუსეთიდან გადმოსახლებულთა გამო მოსალოდნელ ზიანთან დაკავშირებით.***

*ხაზგასმულია, რომ ვაშინგტონი ზურაბიშვილზე დაყრდნობით აპირებს, „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციის მხრიდან სიურპრიზი მოუწყოს, რაც შესაძლოა, მორიგი* **ფერადი რევოლუცია** *აღმოჩნდეს. პროტესტის გამომხატველთა შორის გათვალისწინებულია* ***„საკრალური მსხვერპლიც“,*** *რამაც ძალოვანთა მიმართ ხალხის აღშფოთება უნდა გამოიწვიოს.“*

***ამ შორსგამიზნული განცხადების ანალიზი ყოფილ პარლამენტარს, ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორს, ბუნებრივი კატასტროფების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს თემურ მაისურაძეს ვთხოვეთ:***



— ამ განცხადებას ოდენ პროპაგანდად მივიღებდით, მაგრამ თვალსაჩინოდ ვხედავთ, როგორი სამზადისი აქვთ ე.წ. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს და რა მოქმედებებს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი... შეიძლება ითქვას, ეს არის დასავლეთის უკანასკნელი შანსი, რადგან ახლა თუ ვერ განახორციელეს, მერე აღარასოდეს გამოუვათ საქართველოში გადატრიალება! მათ უზარმაზარი მატერიალური რესურსი დახარჯეს, ამიტომაც აღარაფერს მოერიდებიან, რათა საქართველოში მორჩილი და ლოიალური ხელისუფლება დასვან. პირველად იმედი 2016 წელს გაუცრუვდათ.

# თემურ მაისურაძე:
# ახლა დასავლეთს ერთადერთი შანსი რჩება – საქართველოში გადატრიალება მოახდინოს!

**— რაში გამოიხატა დასავლეთის იმედგაცრუება?**

— დაბეჯითებით ეგონათ, 2012 წელს ხელისუფლებიდან ჩამოცილებული ნაციონალური მოძრაობა ძალაუფლების დაბრუნებას მოახერხებდა, ამიტომაც დაუნანებლად, მაგრამ ამაოდ ხარჯეს ფული ახალი ძალისა და ახალი ლიდერის გამოსაძერწად. სალომე ზურაბიშვილს დასავლეთი ჯერ კიდევ იმ დროიდან ამზადებდა მარიონეტი სააკაშვილის ალტერნატივად, მაგრამ რაკილა 2016 წელს ნაცების გამარჯვება ვერ შედგა, კოლექტიურმა დასავლეთმა ბიძინა ივანიშვილზე დაიწყო ზეწოლა, რათა ჯერ პარლამენტში შეეყვანა და შემდეგ გაეპრეზიდენტებინა ეს ქალბატონი. **პირდაპირ გეუბნებით — ბიძინა ივანიშვილს არასოდეს ჰქონია სალომე ზურაბიშვილის გაპ-**

***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე***



**„პირდაპირ გეუბნებით – ბიძინა ივანიშვილს არასოდეს ჰქონია სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტების სურვილი და ფართო საზოგადოებამ აქამდე არ იცის, რამხელა შანტაჟის შედეგად მოხდა პრეზიდენტის სავარძელში ზურაბიშვილის ჩასმა!“**

# პროფესორის პოლიტიკა ★



## თემურ მაისურაძე:

# ვერანაირი გადატრიალება ვერ განხორციელდება და ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუცია ველარ განმეორდება!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-3 გვერდზე*

**რეზიდენტების სურვილი და ფართო საზოგადოებამ აქამდე არ იცის, რამხელა შანტაჟის შედეგად მოხდა პრეზიდენტის სავარძელში სალომე ზურაბიშვილის ჩასმა!**

**— თუმცა, მმართველი პარტია მაშინ დუმდა... როგორც ახლახან პრემიერმა კობახიძემ განაცხადა, დუმდა, რათა ქართველ ხალხს არ შეჯავრებოდა დასავლეთი ამდენი თავსმოხვეული მითითების გამო.**

— **კობახიძე** სხვაგვარად ვერ იტყვის. თუ ხელისუფლება იმ ეტაპზე პირდაპირ დაუპირისპირდებოდა კოლექტიურ დასავლეთს და გაამჟღავნებდა კულუარებში მიმდინარე პროცესებს, ამას უძლიერესი დარტყმა მოჰყვებოდა, რასაც მაშინდელი საქართველო ვერ გაუძლებდა. დიახ, იმხანად ჩვენს ქვეყანას არცერთი საგარეო პარტნიორი არ ჰყავდა, მთელი სისტემა მონოპოლიზებული ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს!

**— მაშ, დღეისათვის რა შეიცვალა?**

— **შეიცვალა ის, რომ საქართველოს სტრატეგიული ხელშეკრულება გააფორმა ჩინეთთან; პარალელურად, მოძლიერდნენ „ბრიქსის“ ქვეყნები, ხოლო უკრაინის ომმა გააშიშვლა დასავლეთის რეალური ინტერესები.** ამ კონტექსტით, სრულიად უგუნური აღმოჩნდა ბრძოლა, რომელიც უკრაინამ წამოიწყო. არადა, ეს ომი უკრაინელებსაც იმგვარად მოახვიეს, როგორც ქართველებს — ოთხმოცდაათიანებში!

**მიზანი იყო, ჩვენსა და აფხაზებს, ჩვენსა და ოსებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება, რასაც ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში ველარ ვაპატიებდით! პარალელურად, დასავლეთის ინტერესებში იყო, რომ საქართველოს მუდმივად სტკიებოდა რუსეთის მონაწილეობით მიყენებული იარა, რათა რუსეთთან მუდმივად დაპირისპირებული დარჩენილიყო.**

**— ცხადია, კოლექტიური დასავლეთი საქართველოს ყოველთვის განიხილავდა არა როგორც თავის მოკავშირეს, არამედ როგორც რუსეთისთვის მუდმივად პრობლემების გამოსაწვევ ბაზასა და პლაცდარმს.**

— ამიტომაც გაჩნდა „ბრიქსის“ იდეა, რომელმაც შექმნა დოლარის გლობალურად ჩამოშლისა და მსოფლიოში სასაქონლო-საფონდო ბირჟების შერყევის საფუძველი, რაც, თავის მხრივ, ამერიკის ბატონობის დასრულების პერსპექტივას აჩენს. უნდა შევახსენოთ, რომ, რაც უკრაინაში განახორციელა, დასავლეთი იმავეს აპირებდა ბელარუსში, მოლდოვაში, აზიის ქვეყნებში. რუსეთის გარშემო უნდა შექმნილიყო საბრძოლო ბუფერი, რათა დასავლეთს სხვა ქვეყნების ცოცხალი ძალებით მუდმივად ეწარმოებინა რუსეთთან ომი, რაც მას დაასუსტებდა; ამას გარდა, დასავლეთი ცდილობდა წვდომის მოპოვებას რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე. აი, ეს გეგმა ჩავარდა სამუდამოდ! და ახლა დასავლეთს ერთადერთი შანსი რჩება, საქართველოში გადატრიალება მოახდინოს!

**— რათა საქართველო რუსეთთან ომში ჩაითრიოს?**

— მცდარი შეხედულებაა, თითქოს საქართველოში გადატრიალება დასავლეთს ამ მიზნით სურს. ამჟამად, დღის წესრიგში დგას „ბრიქსის“ უკვე მომწიფებული უზარმაზარი პროექტის, დამატებით, „3+3“ და „შოსის“ ფორმატების შეფერხება.

„შოსი“ ჩინეთის წამოწყებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს, სახელმწიფოებს ალტერნატიული პლატფორმა შეუქმნას, რათა სასაქონლო-საფონდო ბირჟებზე ოპერაციები და შესყიდვები დოლარის გვერდის ავლით, თავიანთი ეროვნული ვალუტის გამოყენებით განახორციელონ. ამას ერთვის გადაწყვეტილება, რომ ანაკლიის პორტი ჩინური ინვესტიციებით აშენდეს. მოკლედ, ყველა პროექტს, რომლებშიც კოლექტიური დასავლეთი ვერ მონაწილეობს, საფუძვლად უდევს სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობის პრინციპი. **მარტივად რომ ვთქვათ, პერსპექტივაში სუვერენული სახელმწიფოები შეძლებენ ერთმანეთთან პირდაპირ საკუთარ ვალუტაზე ოპერაციების განხორციელებას ისე, რომ მათი ეროვნული ფულის დოლარში კონვერტაცია აღარ იქნება აუცილებელი.**

**— თანამედროვე ეპოქაში სუვერენიტეტის ცნებაც ფარდობითია, მაგრამ საქართველო სად უფრო უკეთ განახორციელებს თავის სუვერენიტეტს — დასავლეთთან თუ მის ალტერნატიულ ცენტრებთან ურთიერთობაში?**

— შედარებაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან ევროპული არჩევანი ბოლომდე გვართმევს თავისუფლებას.

**ეკონომიკურად სტაბილური ყველა ქვეყანა, რომელიც ევროკავშირს შეუერთდა, შედეგად კი არ გამდიდრდა, პირიქით – გაღარიბდა.**

თუ საქართველოში ევროპული და ამერიკული კაპიტალი შემოვა, მოსახლეობა უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ სამშობლოში დაქირავებული მუშის როლში აღმოჩნდება; ამასთან, ქართველების შრომის ანაზღაურება მუდმივად დაიკლებს, ვინაიდან ყოველთვის გამოინახებიან ემიგრანტები, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოს ქართველ მუშახელზე იაფად შეასრულებენ, ხოლო ქართველებს სხვა ქვეყნებში მოუწევთ გაქცევა სამუშაოს საძებნელად. ახალ მსოფლიო ცენტრებთან ურთიერთობით საქართველოს რჩება შანსი, თავად დაარეგულიროს და დაიცვას შიდა ბაზარი და განავითაროს საკუთარი ეკონომიკა.

**— საუბრის მთავარ თემას დავუბრუნდეთ — მოახერხებს დასავლეთი ოქტომბერში გადატრიალების განხორციელებას?**

— რუსეთის საგარეო დაზვერვის მიერ მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაცია ზუსტია. დასავლეთი საქართველოში გადატრიალების მოსაწყობად გამალებულ სამზადისშია, თუმცა, ვერანაირი გადატრიალება საქართველოში ვერ განხორციელდება და ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუცია ველარ განმეორდება! უპირველესად იმიტომ, რომ იმ ძალას, რომლითაც საქართველოს ხელისუფლების ჩანაცვლებას დასავლეთი აპირებს — საქართველოში ელემენტარული ავტორიტეტი არ გააჩნია. ამას დავუმატოთ მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა, რომელმაც ბევრი რამ გაიგო დასავლეთის მზაკვრული მიზნების შესახებ. საქართველოს ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება არ დასჭირდება, ხოლო, თუ მოსყიდული დასავლელი ექსპერტები დაიჟინებენ, თითქოს არჩევნები გაყალბდა, მათ პოზიციას გააბათილებენ ობიექტური ექსპერტები სხვა ქვეყნებიდან!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**



„ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში: სააკაშვილისა და მისი მომხრეების შეჭრა საქართველოს პარლამენტის შენობაში. 2003 წლის 22 ნოემბერი

გენერალისიმუსი
2024 წლის 15 ივლისი. №36 (272)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — არცთუ შორეულ მომავალში ამერიკაც დაიშლება და ევროკავშირიც!“

## ოლეგ იაძე:

# მოუთმენლად ველი ბაიდენის უკანასკნელ ამოხროტინებას!

*ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში დესტაბილიზაციის წახალისებას აგრძელებს და შემოდგომაზე სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს, თუმცა, არაფერი გამოუვათ! — აცხადებს კასპის რაიონის ყოფილი გამგებელი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი სპორტსმენი* ოლეგ იაძე:



— სავიზო შეზღუდვების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა ახლახან საქართველოს ხელისუფლების მიმართ მორიგი ნეგატიური ჟესტი დააფიქსირა და ერთობლივი სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი“ განუსაზღვრელი ვადით გადადო. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე **ეზრა ზეია** და ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის განწყობას გასცნობოდა და ოკეანის მიღმა ობიექტური ინფორმაცია წაეღო, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს შეხვდა, რომლებსაც მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების წაშლის მიზნით ზღვა ფულით ამარაგებენ და უცხოური გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ აყენებენ.



**— ამ ქმედებით შეერთებული შტატების ხელისუფლება რაზე მიგვანიშნებს?**

— სამი წლის წინათ ამერიკიდან დაბრუნებული **სალომე ზურაბიშვილი** მკვეთრი განცხადებებით გაემიჯნა საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც მოკრძალებით ცდილობდა ოკეანის გაღმიდან წამოსული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული, როყიო მითითებების არიდებას. დაახლოებით ამ მომენტიდან გაცხადდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყო!

**— არადა, ამერიკის ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოში დემოკრატიას სინამდვილეში საფრთხე არ ემუქრება და არც განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს დევნის ვინმე...**

— ისიც საუკეთესოდ უწყიან, რომ საქართველო ნებისმიერი პარამეტრით უსწრებს უკრაინასა და მოლდოვას, მაგრამ ევროკავშირის კარს მაინც ცინიკურად გვიხშობენ. უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ამერიკას სურს, უკრაინელების მსგავსად, რუსეთთან ომში ჩაგვითრიოს და სამხედრო მოქმედებები უკრაინელი, ქართველი, მოლდოველი, ბელარუსი, სომეხი და სხვა ქვეყნების ჯარისკაცთა სიცოცხლის ხარჯზე აწარმოოს! 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება შეპასუხების გარეშე ასრულებდა ამერიკელთა ნებისმიერ მითითებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჭკუა ვისწავლეთ. ჯერ კიდევ 32 წლის წინათ საქართველოდან ჩეჩნეთში დევნილმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** გროზნოში ჩატარებულ მასშტაბურ პრესკონფერენციაზე საჯაროდ ამხილა კოლექტიური დასავლეთი, რომელმაც აბუჩად აიგდო ჩვენი სუვერენიტეტი, ხოლო ამ დამოკიდებულებას ამერიკული ლიბერალური ფაშიზმი უწოდა! საბედნიეროდ, საქართველოს თანამედროვე ხელისუფლება ანალოგიურად აფასებს აშშ-ის დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი. მითუმეტეს, რომ თანამედროვე განცხადებებით შეერთებული შტატები, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ თავად არის საქართველოში შეიარაღებული გადატრიალების ავტორი და ლეგიტიმური პრეზიდენტის მკვლელობის დამკვეთი.

**ორიოდე წლის წინ მთელმა მსოფლიომ იხილა შეერთებულ შტატებში მასობრივი არეულობები, რომელიც ლამის შეიარაღებულ გადატრიალებაში გადაიზარდა! ძალიანაც არ ვიდარდებ, თუ ახლო მომავალში აშშ რამდენიმე სახელმწიფოდ თავად დაიშლება!**



გორში სტალინის დაბადების დღეს აღნიშნავენ. 2017 წლის 21 დეკემბერი

**— ეს მართლა შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

— დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — არცთუ შორეულ მომავალში ამერიკაც დაიშლება და ევროკავშირიც! სხვათაშორის, ტელეეკრანზე **„მძინარე ჯოს“** რომ ვხედავ, საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელი პერიოდი მახსენდება. **ამერიკას დაუდგა 40 წლის წინანდელი საბჭოთა რეალობა, როცა უზარმაზარ იმპერიას მომაკვდავი ლიდერები მართავდნენ.** სიმართლე გითხრათ, სულმოუთქმელად ველი ბაიდენის უკანასკნელ ამოხროტინებას, რის შემდეგაც ამერიკაშიც და მთელ მსოფლიოშიც მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით შეიცვლება და პლანეტის პოლიტიკური რუკა აბსოლუტურად განსხვავებულ სახეს მიიღებს! ვფიქრობ, მალე ამერიკას ახალი პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** მოევლინება, რომელიც აცხადებს: *„მე დავასრულებ ომს პუტინსა და ზელენსკის შორის, როგორც არჩეული პრეზიდენტი ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე უფლებამოსილებას გადმოვიბარებ, ანუ 20 იანვრამდე!“* დიახ, ტრამპი დაასრულებს უკრაინის ომს, რუსეთს გაუფორმებს მის კუთვნილ ტერიტორიებს და მერე ევროპიდან უკან დაიხევს!

ახლა უკვე ეჭვიც აღარ მეპარება იმაში, რომ უკრაინაში ომი რუსეთის ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდება, ხოლო გამარჯვების დროშა შესაძლოა, უკრაინისგან მოშორებით, ევროპის სიღრმეში აფრიალდეს! აკი, კონსერვატიული ღირებულებების გამომხატველი ძალები ერთიმეორის მიყოლებით იმარჯვებენ უკვე ევროპაშიც!

**—და მაინც, თქვენი აზრით, ამერიკის ხელისუფლება შეძლებს საშემოდგომოდ საქართველოს ხელისუფლების დამხობას და თუნდაც დროებით მისთვის სასურველი რეჟიმის ქვეყნის სათავეში მოყვანას?**

— მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით — ეს გამორიცხულია! ქართველმა ხალხმა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ძალზე დიდი გამოცდილება შეიძინა. ამჟამად მოსახლეობის უმრავლესობა ხელისუფლების გარშემო არის დარაზმული, რადგან ბოლოს და ბოლოს სიმართლეს ამბობს და ცხადი ხდება, რომ კოჰაბიტაციაც და სხვა ნეგატიური მოვლენები, რის გამოც საზოგადოება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას შემოსწყრა — ამერიკიდან შანტაჟით იყო ნაკარნახევი! მართალია, საბჭოთა წყობა არ იყო იდეალური, მაგრამ მახსენდება მაშინდელი მიდგომები: ოჯახის ინსტიტუტი სახელმწიფოს მიერ იყო აღიარებული! იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა ათეისტური იყო, დიდი ყურადღება ეთმობოდა მორალსა და ზნეობას. სააკაშვილის რეჟიმმა და დასავლური ფულით ნასაზარდოებმა მისმა წლოკვებმა ყოველივე საბჭოურს ნამდვილი ომი გამოუცხადეს! სანაცვლოდ რა ღირებულებები დაამკვიდრეს? ცოლი ქმრის წინააღმდეგ პოლიციაში გარბის! შვილი მშობლებს უჩივის! ძაღლი მიაკვდეს **„პადოშა“ გია თორთლაძესა** და მის ამქარს, ამერიკიდან დაკვეთილი კანონის ფარგლებში, სტალინის პორტრეტის ქუჩაში გამოტანის გამო მშრომელებს რომ აჯარიმებენ! სტალინს ფაშისტებმა შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ თავიანთი გენერალი რომ მოსთხოვეს, სტალინისგან უარი მიიღეს! ბაიდენის შვილს კი ქვეყანა ჰყავს აკლებული და არავინ ერჩის.

**— და მაინც, რა მოგვიტანა ამერიკასთან 30-წლიანმა „პარტნიორობამ?“**

— ვაღიაროთ — ოჯახების ნგრევა! გარყვნილების დანერგვა! ლგბტ დღის წესრიგის დამკვიდრება! სიბნელეს — სინათლედ, ბოროტებას სიკეთედ გვასაღებენ! მაგრამ ეს ყველაფერი, რაც არაქართულია და არაკავკასიური, უმალ დასრულდება, როგორც კი საქართველო ამერიკის დიქტატს თავს დააღწევს!

**ჩემი რწმენით, ოქტომბრის არჩევნებზე საქართველოში ლიბერასტული ამერიკული ფაშიზმი სამუდამოდ დასამარდება!**



## „ძაღლი მიაკვდეს „პადოშა“ გია თორთლაძესა და მის ამქარს, ამერიკიდან დაკვეთილი კანონის ფარგლებში, სტალინის პორტრეტის ქუჩაში გამოტანის გამო მშრომელებს რომ აჯარიმებენ!“

*ესაუბრა*

**ზაზა დავითაია**

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას შევარდნაძის არქივის გახსნისკენ მოუწოდებს და იმ დოკუმენტების გამომზეურებას მოითხოვს, რომლებიც ხუნტამ საქართველოს დაქცევის კვალდაკვალ შექმნა:***



## „ბატონმა რემი ვაშაკიძემ ჩვენ გვითხრა მთავარი სიმართლე – ომი აფხაზეთში დაიწყო შევარდნაძემ და რკინიგზაზე აფეთქებებს აწყობდა შევარდნაძის ხალხი, რათა აფხაზეთში ომი წაგვეგო!“



რემი ვაშაკიძე

## იგორ კვესელავა:

# დროა, გაიხსნას შევარდნაძის არქივი და გასაჯაროვდეს ის დოკუმენტები, რომელიც ხუნტამ საქართველოს დაქცევის კვალდაკვალ შექმნა!

— წინა კვირას მშობლიურ სამტრედიაში საქართველოს მიწას მიაბარეს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი შეფი **რემი ვაშაკიძე.** ბატონი რემი იყო ნამდვილი ქართველი, ღირსეული მამულიშვილი, რომელიც ესწრებოდა სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 2 და 10 აგვისტოს საბედისწერო სხდომებს, როცა აფხაზეთში ომის დაწყება გადაწყდა. იგი გახლდათ შორსმჭვრეტელი ადამიანი და ძალიან კარგად იცოდა, შევარდნაძე აფხაზეთში ომს რისთვის იწყებდა. რემი ვაშაკიძე შევარდნაძეს 25 ავტომატს სთხოვდა და პირობას დებდა, რკინიგზაზე ძარცვა-გლეჯა შეწყდებაო! მახსოვს, მან სწორედ თქვენს გაზეთს უთხრა მწარე სიმართლე, რომ სინამდვილეში რკინიგზაზე დივერსიებსა და აფეთქებებს შევარდნაძის ხალხი აწყობდა, რათა აფხაზეთის საომარი კამპანია სწორედ 1993 წლის 27 სექტემბრის სოხუმის ტრაგედიით დასრულებულიყო.

ისიც საკითხავია, ვინ ძარცვავდა რკინიგზას? წალენჯიხაში, მარტვილსა და ჩხოროწყუში რკინიგზა საერთოდ არ არსებობს და შევარდნაძემ იქ თავისი ბანდები რის დასაცავად შეიყვანა? **შევარდნაძემ აფხაზეთის ომი ზვიად გამსახურდიას გასანადგურებლად და სოხუმში ზვიადისტების მძლავრი კერის მოსაშლელად დაიწყო,** პარალელურად ვფიქრობ, რომ აღნიშნული ბოროტება რუსეთისა და ამერიკის ერთობლივი პროექტი იყო, რათა ეს მხარე საქართველოს დაეკარგა. ამისკენ მიბიძგებს ისევ და ისევ „ასავალ-დასავალში“ გაჟღერებული წონადი და ძალიან მრავლისმეტყველი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1991 წლის სექტემბერში სოხუმში ამერიკელებმა ჩამოიყვანეს **ბინ ლადენი,** რომელიც მათი გამოზრდილი გოშია იყო და მათი ინსტრუქციებით მოქმედებდა.

**— აწ განსვენებულმა რემი ვაშაკიძემ სამარეში ბევრი საიდუმლო ჩაიტანა. მას ძალიან ახლოს ვიცნობდი, ვმეგობრობდით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბოლომდე ყველაფერი ჩემთვისაც არ უთქვამს!**

— ბატონმა რემიმ ჩვენ გვითხრა მთავარი სიმართლე — **ომი აფხაზეთში დაიწყო შევარდნაძემ და რკინიგზაზე აფეთქებებს აწყობდა შევარდნაძის ხალხი, რათა აფხაზეთში ომი წაგვეგო!** რემი ვაშაკიძემ შევარდნაძეს იმ საბედისწერო სხდომაზეც სიმართლე უთხრა, მაგრამ პირველმა პირმა სიმართლე არ შეისმინა. რემი ვაშაკიძე შევარდნაძეს რომ ამხელდა და არ ეპუებოდა, სწორედ ამიტომ დაიჭირეს და ციხეში ტანჯეს. მე მოვიძიე 1992 წლის 2 და 10 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს სხდომების ერთი სტენოგრამა, მაგრამ ამას გარდა არსებობს უამრავი დოკუმენტი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ შევარდნაძის პოლიტბიურომ შექმნა. ამიტომ მოვუწოდებ დღევანდელ ხელისუფლებას, **დროა, გაიხსნას შევარდნაძის არქივი და გასაჯაროვდეს ის დოკუმენტები, რომელიც ხუნტამ საქართველოს დაქცევის კვალდაკვალ შექმნა!**

რაც თბილისში მოხდა, ეს არ იყო სამოქალაქო ომი, შევარდნაძემ და მისმა ხროვამ სამოქალაქო ომი აფხაზეთსა და სამეგრელოში გააჩაღეს! **ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად შევარდნაძეს ტყვია ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა ჩამოსხმული, სანამ ზვიადი არჩევნებში გაიმარჯვებდა და საქართველოს ხელისუფალი გახდებოდა.** ამის შესახებ უტყუარი ცნობა დაგვიტოვა აწ განსვენებულმა **ავთანდილ რცხილაძემ,** როცა თავის მოგონებებში ერთი მეტად საინტერესო შეხვედრა გაიხსენა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ „მხედრიონის“ ფაქტობრივი ლიდერი **გურამ მგელაძე, ჯაბა იოსელიანი, გრიშა ონიანი, ავთანდილ რცხილაძე და დილარ ხაბულიანი.** შეხვედრა გაიმართა 1990 წლის 28 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების წინ. ამ შეხვედრაზე **ჯაბა იოსელიანმა** პირობა დადო, რომ ვითარებას არ დაძაბავდა და არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდებოდა, თუმცა, შეხვედრის დასასრულ **ავთანდილ რცხილაძეს** გარკვევით უთხრა — მე ამ პირობას შევასრულებ, მაგრამ შენც და შენმა ზვიადმაც კარგად დაიმახსოვრეთ, რომ საბოლოო ჯამში მაინც გაგანადგურებთო! **ავთანდილ რცხილაძემ** ჯაბას იქვე უპასუხა — ბატონო ჯაბა, ეჭვი არ მეპარება, მაგას რომ იზამთ, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ვინც მაგას გაგაკეთებინებთ და გამოგიყენებთ, სწორედ ის ძალა მოგიღებთ ბოლოსო! სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას წინასწარმეტყველება **გიორგი ჭანტურიას** ზუსტად აუხდა!

**— რას გულისხმობთ?**

— იყო ასეთი მომენტი — ზვიად გამსახურდია თავის მომხრეებთან ერთად რუსთაველზე მოდიოდა. ამ დროს ჭანტურია, რომელსაც უკვე დაწყებული ჰქონდა მოსკოვში შევარდნაძესთან სიარული, თავის „შპანასთან“ ერთად ცისფერი გალერეის წინ იდგა და გამსახურდიას უსტვენდა. ზვიადმა ჭანტურიას შორიდან დაუძახა, ხელი ზუსტად ქაშუეთის ტაძრის ეზოს იმ ადგილისკენ გაიშვირა, სადაც დღეს გიორგი ჭანტურიას საფლავია და უთხრა — **გია, ირბინე შევარდნაძესთან მოსკოვში და ქაშუეთში, აი, ამ ადგილას გაგითხრის საფლავსო!** საერთოდ, დიდი ადამიანები დაჯილდოებული არიან წინასწარმეტყველური ნიჭით თუ მოვლენათა ჭვრეტის გასაოცარი უნარით. ზვიად გამსახურდიას ეს უნარი მომეტებულად ჰქონდა.

გამსახურდია გაკვირვებული იყო, რატომ აძლევდა მას ედუარდ შევარდნაძე არჩევნების მშვიდ პირობებში ჩატარების საშუალებას. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შევარდნაძე კუდს



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

## „როგორც კი სამების საძირკველი ჩაიყარა, ედუარდ შევარდნაძეს პატრიარქმა აღუთქვა, რომ გარდაცვალების შემთხვევაში სამებაში დაასაფლავებდა! „ვარდების რევოლუციამ“ ეს შეთანხმება ჩაშალა!“

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შურღულაია**
*გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების მკვლევარი*



მე მაქვს მოლოდინი, რომ **მესამე მსოფლიო ომი** დაიწყება.

„კვირის პალიტრა“

**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების“ წევრი, პარლამენტარი*



ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას **საერთაშორისო იზოლაციისაკენ მიაქანებს,** უნდა მოვისროლოთ პოლიტიკურ სანაგვეზე. არ მოიწყენენ მარტო — **ორბანებიც და ლე პენებიც** მათ გვერდით იქნებიან.

„აიპრესი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



**„ქართულმა ოცნებამ“** რაც არ უნდა გააკეთოს, **არჩევნებს ვერ მოიგებს.**

„კვირის პალიტრა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



აშშ-ს იმედი აქვს, რომ გაისად საქართველოს ამერიკის წინაშე **ცალ ფეხზე მდგომი** ხელისუფლება ეყოლება!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



მე გახლავართ ცოცხალი მაგალითი, რომელიც **მადლიერია ბიძინასი** იმისთვის, რაც კარგი გაუკეთებია!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი კახიანი**
*პარლამენტარი*



**ოპოზიციაში არ არსებობს ძალა, რომელსაც საზოგადოებაში ავტორიტეტი აქვს.** რა კონფიგურაციებიც უნდა დაალაგონ, სრულიად უპერსპექტივოა. **„ქართული ოცნება“ ამ არჩევნებში გაიმარჯვებს.**

„რეზონანსი“

აუცილებლად მოიქნევდა და ხელისუფლების გადატრიალებას შეეცდებოდა, მაგრამ აქ იმაზე მიდიოდა ბჭობა, რა ტაქტიკას აირჩევდა მიზნის მისაღწევად. სწორედ იმ პერიოდში მთავრობის თავმჯდომარე იყო **ნოდარ ჭითანავა,** რომელიც, სამწუხაროდ, დუმს. იგი ჩემი მეგობარია, ეს მისთვის პრივატულადაც მითქვამს და ახლა „ასავალ-დასავალის“ საშუალებითაც ვეუბნები, რომ დუმილი აუცილებლად უნდა დაარღვიოს! ნოდარ ჭითანავამ აუცილებლად უნდა გამოაქვეყნოს დოკუმენტები, რომელიც აქვს. **რატომ დუმს ეს პატრიოტი კაცი, რომელსაც, სხვათაშორის, თავისი მეგრელობის გამო ებრძოდნენ და ხმას რატომ არ იღებს?** თუ მემუარებს წერს, კი, ბატონო, მაგრამ სხვა მხრივ მის დუმილს არავითარი გამართლება არა აქვს. **ნოდარ ჭითანავას** ჩემთვის აქვს ნათქვამი და ამას ვერ დამალავს: **მოსკოვიდან შევარდნაძემ დარეკა და გასცა ბრძანება — ხელი არ შეუშალოთ ზვიად გამსახურდიას, მოვიდეს ხელისუფლების სათავეში!** ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ რას გულისხმობდა შევარდნაძის ზემოხსენებული ინსტრუქცია, მაგრამ **ნოდარ ჭითანავამ** ეს ყველაფერი სიღრმისეულად უნდა ახსნას და გვიპასუხოს, **მაინც რა მიზანს ისახავდა შევარდნაძე?**



## „ზვიადმა ხელი ზუსტად ქაშუეთის ტაძრის იმ ადგილისკენ გაიშვირა, სადაც დღეს გიორგი ჭანტურიას საფლავია და უთხრა – გია, ირბინე შევარდნაძესთან მოსკოვში და ქაშუეთში, აი, ამ ადგილას გაგითხრის საფლავსო!“





# „გამსახურდია გაკვირვებული იყო, რატომ აძლევდა მას ედუარდ შევარდნაძე არჩევნების მშვიდ პირობებში ჩატარების საშუალებას!“

**— ზემოთ ახსენეთ, შევარდნაძეს ზვიადის მოსაკლავი ტყვია ჩამოსხმული ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, ვიდრე ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდოდაო! რას გულისხმობდით?**

— რესპუბლიკური პარტიის სტაჟიანი წევრი **ვახტანგ ძაბირაძე** თავის წიგნში ზვიადის შესახებ ერთგან ღლიცინებს — **რა ისეთი ფანტომია გამსახურდია, „კაგებემ“ მისი მოკვლა მოინდომოს და ვერ მოკლასო. ნუთუ ერთი ხეირიანი ბომბი მის მოსაკლავად ვერ იპოვესო?!** სხვათაშორის, ილიასა და ზვიადის მკვლელობა ერთი და იგივე სცენარით დაიგეგმა. იმედია, **ძაბირაძე** დღეს კმაყოფილია, რომ ზვიადი, ბოლოს და ბოლოს, მოკლეს. შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად ჯაბა იოსელიანი იმთავითვე დაგეშა. ჯაბამ ზვიადის მოკვლა დაავალა ერთ-ერთ აქტიურ მხედრიონელ ავთანდილ მანაგაძეს. მანაგაძემ ეს დავალება არ შეასრულა და „მხედრიონს“ პროტესტის ნიშნად გამოეყო, რასაც ჯაბასა და მანაგაძეს შორის დიდი მტრობის ჩამოვარდნა მოჰყვა.

1990 წლის 24 აპრილს „იმელის“ შენობასთან, სადაც ეროვნული ფორუმის სხდომა მიმდინარეობდა, „მხედრიონმა“ ყოვლად გაუმართლებელი სროლა აუტეხა „თეთრი გიორგის“ წევრებს, რომლებიც ზვიად გამსახურდიას უჭერდნენ მხარს. ამ ყველაფერს, შევარდნაძის ბრძანებით, სჩადიოდნენ „მხედრიონის“ ფაქტობრივი ლიდერი **გურამ მგელაძე** და **ჯაბა იოსელიანი.** საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ **ავთანდილ მანაგაძე** მაჩაბლის ქუჩაზე მოკლეს.

**ღრმად ვარ დარწმუნებული, მხედრიონელ ავთანდილ მანაგაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობა სინამდვილეში ედუარდ შევარდნაძემ შეუკვეთა, მაგრამ, როცა მანაგაძემ ეს ბრძანება არ შეასრულა, ის მოკლეს!**




სწორედ „იმელთან“ ატეხილმა სროლამ მიიყვანა გამსახურდია იმ დასკვნამდე, რომ ეროვნულ ფორუმს გამიჯვნოდა. სხვანაირად შეუძლებელი იყო, თორემ ზვიად გამსახურდია ეროვნული ფორუმის დატოვებას არ აპირებდა. ზვიად გამსახურდია ძალიან ღრმა პიროვნება იყო და სამების ტაძრის აშენების იდეა ჯერ კიდევ დისიდენტობის დროს გაუჩნდა, მაგრამ შევარდნაძემ აქაც მოინდომა თავისი ბინძური ფეხის ჩაყოფა და უწმინდესი იდეის წაბილწვა.

**— რას გულისხმობთ?**

— **როგორც კი სამების საძირკველი ჩაიყარა, ედუარდ შევარდნაძეს პატრიარქმა აღუთქვა, რომ გარდაცვალების შემთხვევაში სამებაში დაასაფლავებდა!** „ვარდების რევოლუციამ“ ეს შეთანხმება ჩაშალა. ზვიად გამსახურდია მაშინ უკვე ცოცხალი აღარ იყო. მოკლედ, ძალიან საინტერესო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით — საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის დასტურით, **სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელი უნდა დაკრძალულიყო!** ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ ელდარ შენგელაია 1995 წელს შევარდნაძის საპრეზიდენტო კამპანიას ჩაუდგა სათავეში და აცხადებდა: *„იქმნება საქართველოს მხარდამჭერი ქსელი არამარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და მსოფლიოში. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება რეგიონული შტაბები, რომლის მიზანია აგიტაცია და პროპაგანდა!“* შენგელაია წუხდა, რომ მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტს არ სურდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ამიტომ კატეგორიულად მოითხოვდა, მოსახლეობა ყველანაირი საშუალებით იძულებული გაეხადათ და არჩევნებზე გაეყვანათ. ელდარ შენგელაიას ინიციატივით შეიქმნა „ინტელიგენციის ცენტრი“, რომლის წევრებმაც განაცხადეს, რომ ქვეყანაში უნდა დაწყებულიყო „საარჩევნო ომი“... ელდარ შენგელაია უსირცხვილოდ აცხადებდა: *„ვფიქრობ, ის ცოდნა, უნარი და პროფესიონალიზმი, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება, შევარდნაძის გარდა მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ გააჩნია!“* ვეკითხები **ელდარ შენგელაიას** — მაშინ რომ არაფრის გრცხვენოდათ და საქართველო დაღუპეთ, ახლა მაინც არ გრცხვენიათ?

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

## „ნოდარ ჭითანავა ჩემი მეგობარია, ეს მისთვის პრივატულადაც მითქვამს და ახლა „ასავალ-დასავალის“ საშუალებითაც ვეუბნები, რომ დუმილი აუცილებლად უნდა დაარღვიოს!“

## კვირგვინოსნები

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



თუ ოქტომბერში **ივანიშვილის** ხელისუფლება არ შევცვალეთ, **უვიზო რეჟიმიც გაუქმდება, სტატუსიც შეჩერდება და, ალბათ, თავისუფალი ვაჭრობაც გაუქმდება** — საქართველო რუსეთთან ერთად აღმოჩნდება **იზოლირებულ ეკონომიკურ სივრცეში.**

„ინტერპრესნიუსი“

**ხავიერ კოლომინა**
*ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიაში*



კარგი შეხვედრა მქონდა ვაშინგტონში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან — **ნატო მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.**

„ახალი თაობა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და ნატოსთვის **უმნიშვნელოვანესია შავი ზღვის გაკონტროლება.** ყირიმს ასე მარტივად არ დათმობენ ამერიკელები. მოსკოვს ეს ძალიან კარგად ესმის და ამიტომ აქვს შუალედური მიდგომა და თანახმაა, **ორივემ გააკონტროლოს ყირიმი,** რაზეც უკრაინის ხელისუფლება კატეგორიულ უარს იტყვის.

„კვირის პალიტრა“

**მერაბ ჯანიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ხვალვე რომ გავწევრიანდეთ ევროკავშირში,** ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკური გარემო სწრაფად შეიცვლება. **მოლდოვა ჩვენზე წინ არის ევროკავშირთან გაერთიანების კუთხით,** მაგრამ ვინ იტყვის, რომ იქ უკეთესი ბიზნესგარემოა და ინვესტიციებით აშენდა ეს ქვეყანა?

„რეზონანსი“

*„ასავალ-დასავალი“ ადრეც არაერთხელ წერდა პატარა და უმარტივეს მექანიზმზე, ეგრეთ წოდებულ „პრანა რეკუპერატორზე“, რომელიც ბინაში სასწაულებს ახდენს. ამ მექანიზმის შეუცვლელობის, ასევე უამრავი და წარმოუდგენელი სხვა შეღავათის შესახებ „ეკობინას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი* ***ზურაბ დოლენჯაშვილი*** *გვესაუბრება:*



# ზურაბ დოლენჯაშვილი: ის კი არ არის საკითხავი, რა ღირს რეკუპერატორი, საკითხავი ის არის, რა დაგიჯდებათ ცხოვრება რეკუპერატორის გარეშე?!

— ზაფხულის ამ ხვატში მოსახლეობას ჰაერის განიავების მიზნით ფანჯრების გაღება ჭირივით ეზარება, რადგან სახლში სუფთა ჰაერის ნაცვლად, სიბინძურე და მტვერი იჭრება. ვიღაც შემეკამათება — ნუ გამოაღებთ ფანჯარას, კონდიციონერი გამოიყენეთო, მაგრამ კონდიციონერი ვერ ასუფთავებს და მხოლოდ აგრილებს ან ათბობს შენობის ინტერიერში არსებულ ჰაერს. დროის მანძილზე ეს ჰაერი ამოსუნთქული ნახშირორჟანგით ჯერდება, თან შრება და ჯანმრთელობისთვის მავნე ხდება. ინტერიერში, სადაც ასეთი ჰაერია, ადამიანებს თავის ტკივილი, ყელის სიმშრალე და სხვა უსიამოვნო სიმპტომები უჩნდებათ. ამას გარდა, კონდიციონერი ვირუსების დაგროვებას უწყობს ხელს და ინსტრუქციით პერიოდულად უნდა გამოირთოს, ხოლო ოთახი განიავდეს. ასეთ გამოუვალ სიტუაციაში არსებობს მარტივი და ზედგამოჭრილი გამოსავალი — **„პრანა რეკუპერატორი!“**, თუმცა, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია, ამ უმარტივესი და უიაფესი საშუალების შესახებ!

**— სხვა პრობლემების დასაძლევადაც გამოიყენება?**

— ადამიანები საკმაოდ მნიშვნელოვან ფართობს — სარდაფებს და ნახევრად სარდაფებს მხოლოდ სათავსოებად იყენებენ, ვინაიდან იქ არსებული ნესტისა და ობის სოკოს გამო საცხოვრებლად მათი გამოყენება საუკეთესო რემონტის შემთხვევაშიც გამორიცხულია. გარდა იმისა, რომ ნესტი და სოკო ჯანმრთელობის დაუძინებელი მტერია, რემონტსაც უმალ აფუჭებს. მარტო ქალაქებში კი არა, ეს პრობლემა მწვავედ იგრძნობა აგარაკებზეც, ვთქვათ, წავკისსა და ტაბახმელაში, სადაც გრუნტის ცივი წყლების გამო სარდაფის ცივ კედლებზე მომენტალურად ჩნდება კონდენსატი, რადგან სარდაფში ჩასვლისას იქ ცხელი ჰაერი იჭრება. ასევე დროთა განმავლობაში ჩნდება ობიც და აგარაკების სარდაფები, ფაქტობრივად, გამოუყენებელია. ალბათ, საზოგადოების დიდი ნაწილი სამართლიანად გაოცდება, როცა შეიტყობს, რომ რეკუპერატორის დახმარებით, ეს სარდაფები კომფორტულ და ჯანსაღ საცხოვრებელ ფართად შეიძლება გადაიქცეს, სადაც ადამიანებს თავისი თავისუფალი დროის უდიდესი ნაწილის გატარება მოუნდებათ!

ანდა, ავიღოთ თუნდაც, ზღვისპირა აგარაკები. მოსახლეობა ბანკის ვალებს იღებს, აგარაკებს არემონტებს, რათა ზაფხულის სეზონზე დამქირავებლებზე დაყრდნობით, წლის სარჩო გამოიმუშაოს... მაგრამ, რა? ნესტიანი ჰავის გამო რემონტი ერთ სეზონსაც ვერ უძლებს და მომდევნო წელს ახლიდან უნდა ჩატარდეს, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. წარმოიდგინეთ, **„პრანა რეკუპერატორი“** ამ პრობლემასაც საუკეთესოდ უმკლავდება, ინტერიერში ნესტს უკვალოდ აქრობს და, შესაბამისად, ნესტისგან გამოწვეული ნეგატიური შედეგებისგან საიმედოდ აზღვევს აგარაკის პატრონს!

**— კომუნალური გადასახდების რაოდენობას რანაირად გვიიაფებს?**

— იმისთვის, რომ ინტერიერში ზაფხულში გავგრილდეთ, ხოლო ზამთარში გავთბეთ, გვიწევს კონდიციონერის და სხვადასხვა გამათბობელი თუ გამაგრილებელი აპარატურის გამოყენება, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, თან ახლავს კომუნალური ხარჯები — გაზისა და დენის გადასახადი. ახლა ზაფხულის აუტანელი სიცხეებია და, როგორც უკვე გითხარით, განიავების მიზნით, დროდადრო მაინც გვიწევს ხოლმე ფანჯრის გამოღება. ამასობაში ზაფხულის ხვატი ინტერიერში იჭრება და ვაი-ვაგლახით გაგრილებულ ბინაში ტემპერატურას მაღლა სწევს, ხოლო ფანჯრის დაკეტვის შემდეგ დამატებითი ენერგორესურსი უნდა დავხარჯოთ, რომ ოთახში საწყისი დამაკმაყოფილებელი ტემპერატურა აღვადგინოთ. ანალოგიურად ხდება ზამთარშიც, ოღონდ შებრუნებით — ფანჯრის დაკეტვის შემდეგ ჩვენს გამათბობელ ელექტრო თუ გაზის აპარატურებს გამალებული მუშაობა და ენერგიის ხარჯვა მოუწევთ, რათა ოთახი კვლავ გაათბონ.

რეკუპერატორი ამ პრობლემის აღმოფხვრის საშუალებაა.

**თუ კონდიციონერთან ან გამათბობელთან ერთად რეკუპერატორსაც ჩავრთავთ, ოთახში ტემპერატურის სასურველ მაჩვენებელს ფანჯრის გამოღების და განიავების გარეშე შევინარჩუნებთ.**

ყოველ საათში რეკუპერატორი მუდმივად და ერთდროულ რეჟიმში ახდენს ძალიან დიდი რაოდენობით დაბინძურებული ჰაერის გარეთ გატანას და იმავდროულად, შიდა ტემპერატურის ცვლილების გარეშე გარედან ოთახში სუფთა ჰაერის შემოტანას! ეს იმას ნიშნავს, რომ **თუნდაც გარეთ ხვატი იყოს ან ყინვა — ფანჯრის გამოღების გარეშე მოახერხებთ მუდმივად სუფთა ჰაერით სუნთქვას!**




დაზოგილი ელექტრო და გაზის რესურსები რომ გავაანალიზოთ, განმაცვიფრებელ სხვაობას მივიღებთ. ისეთ დიდ კერძო ფართებში, როგორიც არის, მაგალითად, სასტუმრო, რეკუპერატორის დამონტაჟებამდე ენერგორესურსების კომუნალური გადასახადები თუ თვეში 1500 ლარამდე ადიოდა, რეკუპერატორი ამ ხარჯს 3-ჯერ შეამცირებს!

რეკუპერატორის კიდევ ერთ სიკეთეზეც უნდა მოგახსენოთ: ძალიან ხშირად, მიშენებების ან, სულაც, თავდაპირველი დაუხვეწელი პროექტების გამო, ინტერიერში ჩნდება უფანჯრო ოთახი, ან ე.წ. ჩულანი, რომელთა განიავება მხოლოდ მოსაზღვრე, ფანჯრიანი ოთახიდან არის შესაძლებელი. რეკუპერატორი ხსნის ამ პრობლემას და ასეთ ფართს აქცევს თუნდაც უფანჯრო, მაგრამ იზოლირებულ და კარგად განიავებად ტერიტორიად.

**— რა ღირს რეკუპერატო-**

## კვირგვინოსნები

**ოთარ გაბელია**
*თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე*



**კარში მდგომმა პირჯვარი გადავიწერე,** ეს მომენტი ტელეკადრშიც მოხვდა და შემდგომში ამის გამო **ზოგიერთმა პარტიულმა მუშაკმა გუნდიდან ჩემი წასვლის საკითხი დააყენა,** საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. **დიდ საბჭოეთს არ სიამოვნებდა ქართული გუნდის წარმატებები და ყველა ხერხს მიმართავდნენ, რომ შევეზღუდეთ.** ეს არამარტო ფეხბურთში, სპორტის სხვა სახეობებშიც ხდებოდა. საბედნიეროდ, ჩვენს დაჩაგვრას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. „სარკე“

**სიმონ ბარამიძე**
*არქიტექტორი*



როდესაც **ჰორიზონტალური განიავება არ ხდება** და ზაფხულში მზისგან ასფალტი ცხელდება, **დედაქალაქში მაღალ ტემპერატურას ვიღებთ.** საბურთალოს ბაზართან **35-სართულიანი სახლი** შენდება. მთავარი არქიტექტორი არ ჰყავს თბილისს, ელემენტარულად, **მშენებლობის სამინისტრო უნდა არსებობდეს,** მაგრამ ესეც გაუქმდა.

„რეზონანსი“

**მამუკა გიორგაძე**
*ჟურნალისტი*



ჯერ კიდევ როდის მიუთითებდა **ილია ჭავჭავაძე,** რომ **ფეხბურთი იყო სპორტის სახეობა, რომელსაც შეეძლო ერის შეკვრა-შედუღაბება** და მთელი ერის დადებითი მუხტით აღჭურვა?! ამბობდა მაშინ, როდესაც ძალიან ბევრ ქვეყანაში, რომლებიც დღეს დაწინაურებულები არიან, **არც კი იცოდნენ, რა იყო ფეხბურთი.**

„თბილისელები“

**გოგი წულაია**
*პოლიტიკოსი*



**თუ პრეზიდენტი შემიწყალებს,** ჩამოვალ და მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას. **საფრანგეთის ხელისუფლებას ჩავბარდი.** წელიწადი და ათი თვე აჯანჯლეს ჩემი საქმე და ბოლოს **მითხრეს — თქვენი ქვეყანა დემოკრატიულია, გადასარევი სასამართლო გაქვთ და წადი, იქ გაგასამართლებენო.** საფრანგეთმა პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი მითხრა. საფრანგეთიდან ბელგიაში გადავედი და **თუ სალომე არ შემიწყალებს,** აქ ჩავბარდები.

„თბილისელები“

რი? საშუალო შეძლების ოჯახებს მასზე ხელი მიუწვდებათ?

— ის კი არ არის საკითხავი, რა ღირს რეკუპერატორი, საკითხავი ის არის, რა დაგიჯდებათ ცხოვრება რეკუპერატორის გარეშე! ეს ნიშნავს ნესტით დაზიანებული რემონტის ხშირად ჩატარებას, ამავე დროს ნესტით დაზიანებული ავეჯისა და ტანსაცმლის გამო მუდმივ დისკომფორტს; ეს ნიშნავს მუდმივად ცუდ განწყობაზე ყოფნას, მუდმივად თავის ტკივილს, ძილისკენ მიდრეკილებას და შრომის ნაყოფიერების შემცირებას, რასაც იწვევს ჟანგბადით ღარიბი ჰაერით მუდმივად სუნთქვა.

თანამედროვე ეპოქაში ყველა ოჯახი ადრე თუ გვიან ამ აპარატის შეძენის გადაწყვეტილებამდე მივა, რადგან მის გარეშე ჩამოთვლილი პრობლემები არ იხსნება; თანაც, ის ფუფუნების კი არა, ყოველდღიური მოხმარების საგანია!

რეკუპერატორის ფასი იმის მიხედვით მერყეობს, თუ რამხელა ფართს ემსახურება. ყველაზე პატარა მოდელი 35-40 კვადრატულ მეტრს ემსახურება და 1600 ლარი ჯდება. 2000 ლარის ღირებულების მოდელი კი, 70 კვადრატულ მეტრზეა გათვლილი. რემონტი ხომ ისედაც ყოველ ოჯახში კეთდება და იმ სიკეთეების გათვალისწინებით, რასაც რეკუპერატორი იძლევა, მისი ასეთი ფასი ყველა ოჯახისთვის მაინც მისაწვდომია, რომ არაფერი ვთქვათ ხალხმრავალ დაწესებულებებზე, ფაბრიკებზე, სკოლებზე, უნივერსიტეტებზე, დახურულ საცურაო აუზებზე, სამრეცხაოებზე. ეს აპარატი ხომ ჯანმრთელობას უწყობს ხელს!

**— სკეპტიკოსი აუცილებლად იკითხავს — რა გარანტია მაქვს, რომ აქ ჩამოთვლილ პრობლემებს რეკუპერატორი ნამდვილად აღმოფხვრის? იქნებ თქვენეული შეფასება ჩვეულებრივი სარეკლამო ფანდია?**

— ასეთი სკეპტიკოსების გასაგონად, მე, **ზურაბ დოლენჯაშვილი,** რომელიც უკრაინიდან საქართველოში **პრანა რეკუპერატორის** ექსკლუზიური შემომტანი გახლავართ, ვაცხადებ

**– მზად ვარ, ათმაგად დავუბრუნო (16 ათასი ლარი!!!) ჩემთან შეძენილი რეკუპერატორის ღირებულება ნებისმიერ კლიენტს, რომელიც მიიჩნევს, რომ აპარატმა აქ ჩამოთვლილი პრობლემები ვერ მოუგვარა!**

ამას ვაცხადებ, რადგან უკვე 7 წელია, რეკუპერატორების ექსპორტს ვეწევი და ამ ხნის განმავლობაში თუნდაც ერთი უკმაყოფილო კლიენტიც არ მყოლია! **ანალოგიურ გარანტიას ვიძლევი ზღვისპირა შენობებზეც, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ჭარბი ტენიანობის გამო ბინები ყოველწლიურად ულპებათ და მუდმივად რემონტის გაჭამაჭიაში არიან.** დააყენონ რეკუპერატორი და ყველა პრობლემა მაქსიმუმ 2 კვირაში აღმოიფხვრება! საქმე იმაშია, რომ ჩემი კომპანია **„ეკობინა“** შენობებში პრობლემებს იმგვარად აგვარებს, რომ შედეგებზე სრულ გარანტიას იძლევა. ოღონდ, პრობლემების მოსაგვარებლად, რეკუპერატორის „ჯადოსნურ“ თვისებებს იყენებს! 1 ლარის გადახდაც უგუნურებაა, თუ შედეგს ვერ იღებ! მაგრამ, მერწმუნეთ, გარანტირებულად შედეგის მიღებისას, არასოდეს დაგენანებათ რეკუპერატორში გადახდილი თანხა! **წარმოიდგინეთ, რამდენი 1600 ლარი უნდა დაგეხარჯათ მუდმივ რემონტებში, თანამედროვე მასალების ღირებულების გათვალისწინებით!**

**განსაკუთრებით იმათ გასაგონად ვამბობ, ვისაც გაქირავების მიზნით ზღვაზე ბინა აქვს შეძენილი, რომელიც მთელი წლით დაკეტილია და სეზონის დადგომამდე 2 თვით ადრე რემონტის განახლებას საჭიროებს!**

**— ასეთ ბინაში რეკუპერატორიც უძლური იქნება. პატრონი თბილისიდან როგორ ჩართავს და გამორთავს ბათუმის ბინაში?**

**— ბოლო მოდელის რეკუპერატორები აღჭურვილია სენსორული მექანიზმით, ანუ ჰაერის მდგომარეობიდან გამომდინარე, აპარატი ავტომატურად მართავს თავს; ასევე აქვს ბლუთუზით და „ვაი-ფაით“ მართვის სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისიდან ბათუმში ჩასვლის გარეშეც შესაძლებელია დისტანციურად მართვა მობილურ ტელეფონში დაყენებული აპლიკაციის მეშვეობით!** აქვე იმასაც გეტყვით, რომ რეკუპერატორი ძალზე მცირე ენერგიას მოიხმარს, მუშაობისას არ გამოსცემს მომაბეზრებელ ხმას! აპარატი არის უმარტივესი, შედგება 2 ძრავისგან, სპილენძის თბომცველისგან და მართვის მიკროსქემისგან.

მუშაობის 10-წლიანი რესურსი გააჩნია, უფასოდ შეკეთების 2-წლიანი გარანტია მოჰყვება, თუმცა, ეს პრობლემა ძალზე იშვიათად გვქონია.




**— მსურველმა სად უნდა შეიძინოს რეკუპერატორი?**

— „ეკობინის“ ოფისში, მისამართზე: **ვეძისი, ბერიტაშვილის 1 ჩიხი, №3/10.** ან დაგვიკავშირდეს საიტზე: ECOBINA.GE. ჩვენი ტელეფონია **599-58-58-17.** კონსულტაცია უფასოა.

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**


# 599-58-58-17 WWW.ECOBINA.GE




## თბილისი, ვეძისი, ბერიტაშვილის 1 ჩიხი, №3/10.

*კომპანიის წარმომადგენელი ინდივიდუალურად შეგირჩევთ ბინაში ადგილს და რემონტის დაუზიანებლად დაგიმონტაჟებთ რეკუპერატორს. მონტაჟის ფასი გასახვრეტი კედლის მასალასა და სისქეზეა დამოკიდებული.*


## კვირგვინოსნები

**ლია ელიავა**
*ექსპერტი*



**ევროკავშირი ფართოვდება არა იმიტომ, რომ ვიღაც გააბედნიეროს ან ეკონომიკურად ააყვავოს,** არამედ იმისთვის, რომ მისთვის, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად **ხელსაყრელია ამა თუ იმ ქვეყანაზე თავისი კონტროლის განხორციელება.**

„თბილისელები“

**ლია კაპანაძე**
*მსახიობი*



პირადში **სამჯერ დავმარცხდი,** მაგრამ, როგორც ქალი, **სამივეჯერ ბედნიერი ვიყავი.**

გულახდილად გითხრათ, მე და **გია მატარაძეს** ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. როცა ფეხმძიმედ ვიყავი და გიას ვკითხე, როგორ მოვიქცეთ-მეთქი, მიპასუხა — **თუ გინდა, ცოლად შეგირთავო.** ვუთხარი — თუ შენ არ გინდა, **მე რად მინდა-მეთქი.** მისგან ძალიან კარგი შვილი მყავს, ქეთი დიდი და წრფელი სიყვარულის ნაყოფია. **უბედნიერესი ქალი ვარ.**

„სარკე“

**ვახტანგ კახიძე**
*დირიჟორი*



ჩვენი ხასიათი, **შეუდრეკელობა განსაკუთრებით გამოჩნდა ამ ევროპის ჩემპიონატზე.** მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, რომ **საქართველოს ნაკრები აღმოჩენაა.**

„კვირის პალიტრა“

**ვანიკო გალუაშვილი**
*ოპერის მომღერალი*



საზოგადოების **5 პროცენტიც არ მოვიდა ლიანა ისაკაძის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად.**

„ახალი თაობა“

**გიგა კვენეტაძე**
*კომპოზიტორ-შემსრულებელი*



საქართველოში იმის გამო, რომ **მე რუსეთში ვმოღვაწეობ,** გარკვეულ გადაცემებში **არ დამპატიჟეს,** უფრო სწორად, **ვერ დამპატიჟეს.**

„თბილისელები“



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი: ვისაც წონის დაკლება სურს, კარაქი უნდა ჭამოს!

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***„ასავალ-დასავალის“ 2024 წლის 27-ე ნომერში გამოქვეყნებული იმ ინტერნეტმასალის შესახებ გვესაუბრება, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველი კრიტიკულად გამოეხმაურა. საქმე ის გახლავთ, რომ ზემოხსენებულ ინფორმაციაში ის პროდუქტები, რომლებიც ჩვენი მუდმივი რუბრიკის ავტორმა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ გაგვაცნო, უსარგებლოდ და მავნებლად იყო გამოცხადებული:***





— ამ ორიოდე კვირის წინათ „ასავალ-დასავალში“ დაიბეჭდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროდუქტია მარგებელი და რომელი — საზიანო. ეს გახლდათ ინტერნეტიდან მოპოვებული მასალა, რომელსაც ავტორი არ ჰყავს და ბევრ უზუსტობას შეიცავს. „ასავალ-დასავალის“ დაკვირვებულ მკითხველს, რომელიც ჩვენს საგაზეთო საუბრებს სისტემატურად ეცნობა, ეს შეუსაბამობა არ გამოჰპარვია და რეაქციამაც არ დააყოვნა — მივიღეთ პაატა ჭაბაშვილის წერილი, სადაც წერია — **კახა საბახტარიშვილი ერთს გვირჩევს, ხოლო ამ მასალაში სულ სხვა რეკომენდაციას გვაძლევენ და რომელს დავუჯეროთ?**

მსგავსი ურთიერთგამომრიცხავი მასალები, არამარტო ინტერნეტსივრცეში, არამედ ზოგიერთი ცნობილი ექიმის პუბლიკაციაშიც გვხვდება. ასე, მაგალითად, „ასავალ-დასავალში“ გასულ ინტერნეტმასალაში საუბარია კარაქსა და მის დადებით თვისებებზე, მაგრამ იქვე მითითებულია, რომ მისი დღიური ნორმა 20-40 გრამს არ უნდა აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თურმე, ე.წ. ცუდი ქოლესტერინის დონე მოიმატებს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ საკვებიდან მიღებული ქოლესტერინი ე.წ. ცუდ, ანუ დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინს მაღლა არ სწევს. ქოლესტერინს ძირითადად ღვიძლი გამოიმუშავებს — დღე-ღამის განმავლობაში დაახლოებით 3 ათას მილიგრამს. ქოლესტერინი აუცილებელია D ვიტამინის ასათვისებლად, ჰორმონების შესაქმნელად, ნაღვლის მჟავების გამოსამუშავებლად და ა.შ. 100 გრამ კარაქში სულ 200 მილიგრამამდე ქოლესტერინია. დღე-ღამის განმავლობაში გვჭირდება 3 ათასი მილიგრამი ქოლესტერინი. ასე რომ, **რაც გინდა კარაქი ვჭამოთ, ქოლესტერინის დღიურ ნორმას ამ გზით ვერანაირად ვერც შევივსებთ და ვერც გადავაჭარბებთ.** გარდა ამისა, კარაქში K2 ვიტამინისა და „ომეგა-3“-ის გარდა შედის ლინოლენის მჟავა, რომელსაც ანთების საწინააღმდეგო და ცუდი ქოლესტერინის დამწვავი თვისებები გააჩნია. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ცილასთან დაკავშირებულ ლინოლენის მჟავას ჭარბი წონის შემამცირებელი თვისებებიც აქვს. ამიტომ, ერთი შეხედვით, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — **ვისაც წონის დაკლება სურს, კარაქი უნდა ჭამოს!**

**— წონის დასაკლებად რა რაოდენობის კარაქი უნდა მივიღოთ და რასთან ერთად?**

— წონის დასაკლებად დღეში 100-150 გრამი კარაქი სრულიად საკმარისია, მაგრამ გვახსოვდეს, რომ **კარაქი პურთან ერთად აუცილებლად გაგვასუქებს, რადგან პური ნახშირწყლების ბუდეა.** ამიტომ თუ წონაში დაკლება გვინდა, მაღალი ხარისხის **კარაქი და არა სპრედი,** რომელსაც კარაქად გვასაღებენ, უმად უნდა მივიღოთ. ბავშვობაში ყველას გვაძალებდნენ, გვეჭამა კარაქიანი პური, რომელსაც ზემოდან თაფლი ჰქონდა გადასმული. მეცნიერული თვალსაზრისით, ეს ნამდვილი კოშმარია. ერთად აღებული თაფლი და პური შაქრის საშინელი კონცენტრაციაა და ასეთი საკვები შაქრიანი დიაბეტისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა. ალბათ, ბავშვობაში დიაბეტი იმიტომ არ დაგვემართა, რომ ამ საკვებში მესამე კომპონენტი სწორედ კარაქი იყო, რომელიც „ომეგა-3“-სა და ლინოლენის მჟავას შეიცავს და დიაბეტის განვითარებას ხელს უშლის! ისიც აღსანიშნავია, რომ **ჩვენს ბავშვობაში მაღაზიაში ნამდვილი კარაქი იყიდებოდა, რომელიც არავითარ კონსერვანტს არ შეიცავდა.**

**— ზემოხსენებულ ინტერნეტმასალაში ასევე ნათქვამი იყო, რომ რძე და რძის ნაწარმი საზიანოა!**

**— რძე რომ სამი-ოთხი წლის ასაკის შემდეგ ადამიანმა მართლაც არ უნდა მიიღოს, ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანმა არ მიირთვას რძის ნაწარმი — ხაჭო, არაჟანი, იოგურტი, კეფირი, ყველი, მაწონი?!** ყველა ეს პროდუქტი რძისგან რძემჟავა ბაქტერიების დახმარებით მიიღება და ამ ბაქტერიებს სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნიათ. მავნეა მხოლოდ ის რძის პროდუქტები, რომელსაც შაქარს უმატებენ!

**— იმავე ინტერნეტმასალაში ისიც ეწერა, რომ, თურმე, ციტრუსები არ უნდა მივიღოთ!**

— ესეც აბსურდია! ციტრუსებიდან ლიმონი გამორჩეული პროდუქტია. ბევრს ის მხოლოდ C ვიტამინის წყარო ჰგონია, არადა, წიწაკაში გაცილებით მეტი C ვიტამინია, ვიდრე ლიმონში. ლიმონის მთავარი ღირსება ის არის, რომ ის ციტრატების ბუდეა. ციტრატები უკავშირდებიან ოქსალატებს და თირკმელში კენჭების წარმოქმნას უშლიან ხელს. ლიმონიანი წყალი აუცილებლად უნდა დალიოს ყველამ, ვისაც პოდაგრა აწუხებს!

ლიმონში შედის ფლავანოიდების ერთ-ერთი სახეობა ერიოციტრინი, რომელიც

**1.** ხელს უშლის ღვიძლის გაცხიმოვნებას;

**2.** ორგანიზმს ზედმეტ და ცუდ ქოლესტერინს აცილებს;

**3.** ამცირებს ინსულინის დონეს და ინსულინრეზისტენტობას, რითიც ლიმონიანი წყალი ხელს უწყობს გახდომას;

## „ლიმონიანი წყალი აუცილებლად უნდა დალიოს ყველამ, ვისაც პოდაგრა აწუხებს!“

## „თუ შაქრიანი დიაბეტი განუხებთ და ზედმეტი ტკბილი მიირთვით, აუცილებლად დალიეთ ლიმონიანი წყალი!“



## კვირგვინოსნები



**გიორგი ბოტკოველი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*

ჩვენ ერთად **დავამარცხებთ ხელისუფლებას,** რომელიც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას.

„აიპრესი“



**თინა ბოკუჩავა**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე*

**მიხეილ სააკაშვილი** პოლიტიკური ნიშნით იმყოფება პატიმრობაში, ის **განიცდის არასათანადო მოპყრობას** და მოკლებულია სათანადო სამედიცინო დახმარებას.

„პირველი არხი“



**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*

ფეხბურთელების მხრიდან **„ქართუსთვის“ მადლობის გადახდა სწორია და მეც ასე მოვიქცეოდი** — ცუდს უნდა დაერქვას ცუდი, კარგს — კარგი.

„ინტერპრესნიუსი“



**დავით სერგეენკო**
*პოლიტიკოსი*

არ არის **პოლიტიკოსობა** ჩემი საქმე.

„ახალი თაობა“



**მაია ბაქრათაშვილი**
*მომღერალი*

რაც უფრო მეტი დრო გადის, **მით უფრო მომწონს ჩემი თავიც** და ჩემი ცხოვრებაც.

„თბილისელები“



**ნინო ძოწენიძე**
*მომღერალი*

გული ყოველთვის მიგრძნობს, **როდის რა უნდა გავაკეთო, რომ არ შევცდე.** არიან ადამიანები, ვინც გვერდით მჭირდება და კონკრეტულ მომენტში **ღმერთი მიგზავნის** მათ.

„თბილისელები“

# „მავნეა მხოლოდ ის რძის პროდუქტები, რომელსაც შაქარს უმატებენ!“

**4.** აქვს დაბერების საწინააღმდეგო ეფექტი;

**5.** ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტის თანახმად, ლიმონში შემავალ ნივთიერებებს ენის, ფილტვისა და მსხვილი ნაწლავის სიმსივნეების საწინააღმდეგო თვისება გააჩნია;

**6.** ლიმონის ფლავანოიდები ანთების საწინააღმდეგო თვისებებით გამოირჩევიან. ამიტომ ლიმონი ეფექტურია ბუასილის, ვენების პრობლემების, ართრიტებისა და თრომბწარმოქმნის საწინააღმდეგოდ;

**7.** ორი ცალი ლიმონი C ვიტამინის დღიური ნორმაა. ჩვენი რჩევაა, თუ შაქრიანი დიაბეტი გაწუხებთ და ზედმეტი ტკბილი მიირთვით, აუცილებლად დალიეთ ლიმონიანი წყალი! მწარედ ცდებიან, როცა ცხელ ჩაიში ლიმონს ჩაწურავენ. 60 გრადუს ცელსიუსზე ლიმონში შემავალი C ვიტამინი იშლება. ამიტომ ლიმონი ჩაიში მხოლოდ მაშინ უნდა ჩავაგდოთ, როცა ის შეგრილდება და ნელთბილი გახდება! ამას სხვა დადებითი ეფექტიც აქვს...

**— კერძოდ!**

— ჩაი, რომელიც იმავე ინტერნეტმასალაში ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტად არის მოხსენიებული, თუნდაც მასში შემავალი კატექინების გამო ძალზე სასარგებლოა! მაგრამ საქმე ის არის, რომ კატექინების 80 პროცენტს საჭმლის მომნელებელი სისტემა შლის და მათგან მხოლოდ 20 პროცენტს ვითვისებთ. თუ ჩაის ლიმონს დავუმატებთ, ლიმონში შემავალი C ვიტამინი და ლიმონმჟავა კატექინებს შეინახავს და ორგანიზმის მიერ მთელი 100 პროცენტით ათვისებული იქნება. ამიტომ

## თუ გვინდა, ჯანმრთელი ვიყოთ, 200 გრამ წყალში ან ნელთბილ ჩაიში ჩავწუროთ ერთი ცალი ლიმონი და ყოველდღე ან მშიერ კუჭზე, ანდა ჭამამდე მინიმუმ 30 წუთით ადრე დავლიოთ.

ლიმონიანი წყლის მიღება არ შეიძლება მათთვის, ვისაც წყლული ან გასტრიტი აწუხებს.

**— თქვენ ყოველთვის აღნიშნავდით, რომ ზეითუნის ზეთი განსაკუთრებით მარგებელია, მაგრამ ზემოხსენებულ ინტერნეტინფორმაციაში ისიც იყო მითითებული, თითქოს ჯანმრთელობისთვის ზეითუნის ზეთი საზიანოა, ხოლო მზესუმზირის რაფინირებული ზეთი — მარგებელი. რას იტყვით ამის შესახებ?**

— მზესუმზირის რაფინირებული ზეთის მარგებლობა იმით არის დასაბუთებული, რომ ასეთი ზეთი მხოლოდ ცივი გაწურვით, ანუ თერმული გადამუშავების გარეშე მიიღება; აქედან გამომდინარე, მასში მავნე ნივთიერებები თითქოს არ არის. ეს სრული აბსურდია. მზესუმზირის ზეთი შესაძლოა, ცივი გაწურვის წესითაც მიიღონ და ცხელი გაწურვის წესითაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში მასში **„ომეგა-6“**-ის კონცენტრაცია ყოველთვის მაღალია. მოგეხსენებათ, „ომეგა-3“ ანთების საწინააღმდეგო და გულის უებარი წამალია. ის ებრძვის ცუდ ქოლესტერინს... რაც შეეხება „ომეგა-6“-ს, მისი ჭარბი მიღება ანთებას, სისხლძარღვების დაზიანებას, ცუდი ქოლესტერინის მაღლა აწევას და ინსულინრეზისტენტობას იწვევს. ამიტომ არათუ მზესუმზირის რაფინირებული ზეთი, სიმინდის ზეთიც კი არ უნდა მივიღოთ!

რაც შეეხება ზეითუნის ზეთს, ის უმაღლეს ხარისხს სწორედ ცივი გაწურვის დროს აღწევს. ასეთ ზეთს „ექსტრა ვირჯინს“ უწოდებენ და ის „ომეგა-3“-ის ნამდვილი საბადოა. ხოლო, თუ რა საოცრებებს ახდენს ორგანიზმში „ომეგა-3“, ამის შესახებ ყველამ იცის და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ! ზემოხსენებულ ინტერნეტინფორმაციაში უამრავი უზუსტობაა და მათ დეტალურ განხილვას არ შევუდგებით. ისე, ერთმა ფაქტმა ნამდვილად გამაოცა — **პომიდორი და მისი წვენი გამოცხადებულია არასასურველ პროდუქტებად. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, პომიდორი თუნდაც იმიტომ არის ძვირფასი ბოსტნეული, რომ მასში შედის უნიკალური ნივთიერება ლიკოპენი, რომელიც კიბოს ებრძვის.** საოცარია ისიც, რომ პომიდვრის თერმული გადამუშავების შედეგად მიღებულ ტომატში ლიკოპენის კონცენტრაცია 50-ჯერ იზრდება. ამდენად, პომიდვრისა და ტომატის არასასურველ პროდუქტებად გამოცხადება სრული აბსურდია. საქართველოში მეტად პოპულარულია კიტრისა და პომიდვრის სალათა. არადა, მათი ერთად მიღება სამი ფაქტორის გამო არაფრით შეიძლება.

**1.** პომიდორი მჟავე რეაქციისაა, ხოლო კიტრი — ტუტე. როდესაც ისინი ორგანიზმში ხვდებიან, მჟავა და ტუტე რეაქციაში შედიან, რაც მარილების წარმოქმნით სრულდება;

**2.** პომიდორში ბევრი C ვიტამინია, ხოლო კიტრში არის ფერმენტი ასკორბატოქსიდაზა, რომელიც სწორედ C ვიტამინს ანადგურებს. ამიტომ, როცა კიტრსა და პომიდორს ერთად მივირთმევთ, ჩათვალეთ, რომ პომიდორში შემავალი C ვიტამინი უსარგებლო ხდება და ქრება;

**3.** პომიდვრის მონელებას გარკვეული სახის ფერმენტები სჭირდება, ხოლო კიტრის მონელებას — სულ სხვა ფერმენტები.



## როდესაც კიტრსა და პომიდორს ერთად ვღებულობთ, საჭმლის მონელება ირღვევა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა, განვითარდეს მუცლის ტკივილი, მუცლის შებერვა და შეშუპებაც კი.

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***



იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80
სამშობიარო სახლი და გინეკოლოგია

IWAY.GE
ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში
შპს „აივეი“
გთავაზობთ:
უმაღლესი ხარისხის, მაღალი მარკიანობის (C2TE S1 სტანდარტი), ელასტიკურ, წყალგაუმტარ, ყინვაგამძლე თეთრ წებოცემენტს
QIS AQUA BOND,
რომელიც გამოდგება კერამოგრანიტის, მარმარილოს და მეთლახის დასაწებებლად ვერტიკალურ და ჰორიზონტულ ზედაპირებზე, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების პირობებში, მათ შორის, იატაკქვეშა გათბობის სისტემის მონტაჟის შემდგომ.
ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები, უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.
თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge

თამარისი Tamarisi
დაინახე:


ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics


მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


## კვირგვინოსნები

**ლაშა რამიშვილი**
*მსახიობი*



როგორი სასაცილოც უნდა იყოს, **ხაჭაპურის სიყვარულმა** შემახვედრა ბელას. ერთადერთი გოგონა იყო, რომელიც **ჩემს საკურსო სპექტაკლზე დავპატიჟე და თქვენ წარმოიდგინეთ, არ მოვიდა!** ამან უფრო გამიმძაფრა ინტერესი და 2 წელი შევალიე მის მოხიბვლას. როგორც იქნა, მოვიგე მისი გული. **მანამდე თუ მე ვეფოფინებოდი, ახლა თავად მეფოფინება.**

„სარკე“

**თემურ ბაბლუანი**
*რეჟისორი*



**მეუღლის როლი** ჩემს ცხოვრებაში არის 99 პროცენტი. **მან მაქცია ადამიანად.**

„სარკე“

**ლინდა კიკოლაშვილი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის გიორგი გველესიანის მეუღლე*



**პირველივე შეხვედრაზე** მითხრა, რომ დიდი ხანი მაკვირდებოდა, მოვწონდი და ყველა ვარიანტში ერთად უნდა ვყოფილიყავით. **პირველივე შეხვედრაზე** ბიჭისგან ასეთი რამის თქმა ძალიან გამიკვირდა, **თავზეხელაღებული მამაკაცის** ნათქვამს ჰგავდა.

„სარკე“

**ზვიად დოლიძე**
*მსახიობი*



**სიკვდილიც ისეთივე გარდაუვლად მიმაჩნია,** როგორც ჰაერის ჩასუნთქვა და მას ტრაგედიად არ ვთვლი. არც შიში მაქვს, **უფრო აქ დატოვებულ სახელზე ვფიქრობ.** ვამაყობ იმით, რომ ქართველი ვარ. „თბილისელები“

**თიკა ჯამბურია**
*მომღერალი*



**უთავმოყვარეოს მეძახიან** ის ქალები, რომლებსაც **ქმრები აბულინგებენ, აშინებენ, სცემენ** და ამას მალავენ იმიტომ, რომ **თავმოყვარეობას უფრთხილდებიან.**

„ახალი თაობა“

# წკავწკავი ლეთოდიანი ნათიას მეთოდი არი!



***წინა კვირას ჯანდაცვის მინისტრ მიხეილ სარჯველაძესა და პარლამენტარ ნინო წილოსანს თავს ნაცმაცუნები დაესხნენ! სარჯველაძეს კეზერაშვილის ცოლისძმის დიმიტრი ჩიქოვანის ათასლარიანი „პუტანა“ დავით ჩხობაძე მიეჭრა და სულ რუსეთის მონა ეძახა. სანაცვლოდ ჯანდაცვის მინისტრმა მას გარეწარი უწოდა და საქმეში ქალბატონი რომ არ ჩარეულიყო, ალბათ, ჩხობაძე, დიდი ალბათობით, გაიტყიპებოდა კიდეც.***

რაც შეეხება ნინო წილოსანზე იერიშის მიმტან ნაცმაცუნას, იგი **ვინმე ნათია ლეთოდიანი** აღმოჩნდა, რომელიც პარლამენტარს სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ შესასვლელთან დაუხვდა და ისტერიკა გაუმართა — ბიძინა ივანიშვილისა და რუსეთის მონა ხარო!

## აღვირახსნილი, გაწინმატებული და ქუჩაში გამომხტარი ნათია ლეთოდიანის შემყურეს, პირველი, რაც გამახსენდა, ის იყო, რასაც იმერეთში ძალიან მწარე წინაკაზე იტყვიან – უნიფხვო ქალის დარგულიაო!

მოკლედ, ვუყურებდი ამ ტუტრუცანა ქალს, რომელიც კიდევ უფრო სტაჟიანი ტუტრუცანის — **ლიაკა ხოშტარიას** „დროას“ ერთ-ერთი შაჰიდი აღმოჩნდა და, ჩემდა უნებურად, მახსენდებოდა აწ განსვენებული ისტორიკოსი, ჩემი ძვირფასი ლექტორი **დიმიტრი ლეთოდიანი,** რომელიც ჩემს წარმოდგენაში ქართველკაცობის, ინტელიგენტობისა და მამულიშვილობის ეტალონად დარჩა.

**დიმიტრი ლეთოდიანი დიდი საქართველოსთვის იბრძოდა და როცა ხუნტის ბანდები დედაუნივერსიტეტში დაძრწოდნენ, წარბი არ შეუხრია, ისე მოაწერა ხელი „103-ის“ სახელწოდებით ცნობილ პეტიციას — კანონიერება აღდგეს, შევარდნაძის ხუნტა წაეთრეს და ძალაუფლება იარაღის ძალით დამხობილ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას დაუბრუნდესო!**

სხვათაშორის, მაშინ **ნათია ლეთოდიანის „შეფინიას“, კნეინა ლიაკა ხოშტარიას მამა გოგი ხოშტარია** საქართველოს მტრების ბანაკში იდგა და ქვეყანას ტყვიას ესროდა. დღეს **ლიაკა** დგას საქართველოს მტრების მხარეს და იმედი აქვს, რომ ქვეყანას სწორედ ისე გადაბუგავს, როგორც თავის დროზე **გოგია ხოშტარიამ და მისმა ბანდამ** გადაბუგეს...

**ნათია ლეთოდიანი** იმ ბინძური ხროვის უკან იდგა, რომელიც უნივერსიტეტის მეორე კორპუსში **ირაკლი კობახიძის** ლექციების ჩაშლას ცდილობდა და ბინძური მიზნების მისაღწევად უკადრებელს კადრულობდა. არსებობს ვიდეოკადრები, როცა **ნათია ლეთოდიანი** კობახიძის ლექციების ჩასაშლელად **ლიაკა ხოშტარიას** მესიჯს მესიჯზე უგზავნის და ანგარიშს აბარებს — **ცოტა ხალხია და სიტუაციის გამწვავება გაგვიჭირდებაო!**

არ ვიცი, არის თუ არა **ნათია ლეთოდიანი** ჩემთვის ძვირფასი აწ განსვენებული **დიმიტრი ლეთოდიანის** ნათესავი, მაგრამ **ბატონი დიმიტრი** რომ ამ მართლაცდა ტუტრუცანა და ქუჩაში გამომხტარი გოგოს საქციელს მოსწრებოდა, დარწმუნებული ვარ, ყოველ ღონეს იხმარდა, რათა **ლიაკა ხოშტარიას ლგბტ ბორდელიდან** ერთი უტვინო და ენაგრძელი თავისი მოგვარე მაინც გამოეთრია და სწორ გზაზე დაეყენებინა. **მართალია, ეს ერთობ ძნელი საქმე იქნებოდა, რადგან ჩახდილი ზურაბ-გირჩისა და ჩაცუცქული ლიაკას ბუნაგში ვინც შეძვრა, იქიდან უკან დაბრუნებული ჯერ არავის უნახავს, მაგრამ ბატონი დიმიტრი ისეთი გულიანი კაცი იყო, ბოლომდე ეცდებოდა!**

***დიტო ჩუბინიძე***



# რა უნდა იცოდეს ქართველმა აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №29*

***ძველი ბერძნები სამი ტომის — ეოლიელების, იონიელებისა და დორიელების ერთობამ შექმნა. ამ სამი ხალხიდან დორიელებს, რომლებიც საბერძნეთს ძველი წელთაღრიცხვის მე-13-მე-15 საუკუნეებში შემოესივნენ და აქაველთა უძველესი კულტურა მოსპეს, გამორჩეული აღნაგობა, თმის ფერი და თვალები ჰქონდათ. შავგვრემანი და ტანდაბალი იონიელებისა და ეოლიელებისგან განსხვავებით, დორიელები ქერა, ტანმაღალი და ძლიერი ფიზიკური აღნაგობის ხალხი იყო.***

სწორედ ასე, ქართულ ისტორიოგრაფიაშიც მიჩნეულია, რომ ქართველი ერი სამი ქართული ტომის — **ქართების, მეგრელ-ჭანებისა და სვანების** შეერთება-შენივთების შედეგად შეიქმნა.

**ამ სამ ტომში არც იმერელი ფიგურირებს, არც გურული, არც რაჭველი, არც თუშ-ფშავ-ხევსური და არც აფხაზი, რადგან უხსოვარი დროიდან მიჩნეული იყო, რომ ესენი ყველანი ქართველები იყვნენ და არიან.**

**ივანე ჯავახიშვილი** „ქართველი ერის ისტორიაში“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყვაოდა უძველესი კოლხური კულტურა, ხოლო იმერლები, გურულები და რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრნი, რომელთათვისაც უცხოა დასავლეთ საქართველოში ერთ დროს გაბატონებული და დომინანტი მეგრული და სვანური ენა, სინამდვილეში არიან ქართლელები, რომლებიც არაბთა მძლავრობის დროს, უფრო კონკრეტულად კი 735-738 წლებში, **მურვან-ყრუს** დამანგრეველი შემოსევებისას, აღმოსავლეთ საქართველოდან დედაწულიანად აიყარნენ და დასავლეთ საქართველოში დაფუძნდნენ.

როცა არაბი ტერორისტების მიერ შეჭირვებული ქართლელები აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში სამუდამო საცხოვრებლად მიილტვოდნენ, ისინი ჰოლანდიელი ან ბრიტანელი მოახალშენენი არ ყოფილან, რომლებსაც მათთვის უცხო და უცნობი ამერიკა უნდა აეთვისებინათ. პირიქით, **ისინი მოდიოდნენ თავიანთ სამშობლოში, თავიანთ მიწაზე, თავიანთ უახლოეს ნათესავებთან და მოყვრებთან, რამეთუ „ერთობილი საქართველოს“ შეგრძნება და გაგება მაშინ იმაზე უფრო მტკიცე და სისხლისმიერი იყო, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია.** აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, როგორც ერთი სისხლისა და ხორცის, ერთი გენეტიკისა და მიზანსწრაფვის, ერთი კულტურული ქსოვილის მატარებელი სივრცის იდეა „ქართლის ცხოვრებაშიც“ საგანგებოდ არის დემონსტრირებული. როცა ფარნავაზი და ეგრისის ერისთავი **ქუჯი** დამპყრობელი და მოძალადე **აზო პონტოელის** წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის სტრატეგიაზე თანხმდებოდნენ, ისინი ერთმანეთში უსათუოდ ქართულად საუბრობდნენ. ქუჯი, რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს, ანუ ეგრისის მმართველი იყო, ფარნავაზს ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოთესლებულ აფსუათა ენაზე კი არა, იმ ხალხის ენაზე ესაუბრებოდა, რომელმაც უძველესი და უდიდესი კოლხური კულტურა შექმნა.

**ჰეროდოტე,** რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდა და უაღრესად სანდო ავტორად არის მიჩნეული, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეოტიდის ტბიდან, ანუ დღევანდელი აზოვის ზღვი-



**მეფე გიორგი პირველი. მე-12 საუკუნის ბიზანტიური მინიატურა წარწერით „გიორგი აბაზგიელი“**

## ერთიანი საქართველოს ცნობილი მეფე გიორგი პირველი, რომელიც ბიზანტიასთან სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდა და შირიმნის ბრძოლაში დამარცხდა, ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ მოხსენიებულია „გიორგი აფხაზად“, ხოლო საქართველო – „აფხაზეთად“!

## კვირგვინოსნები



**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*

საქართველოს **ნატოში ინტეგრაცია არ დგას დღის წესრიგში.** თუკი უკრაინაზე თქვეს, **ეს საკითხი დამთავრებულიაო,** უნდა ჩავთვალოთ, საკითხი საქართველოზეც მოიხსნება.

ოპოზიცია **ამ კონფიგურაციით წააგებს,** სანამ დროა, რაღაც უნდა შეიცვალოს!

„კვირის პალიტრა“



**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*

**გრიგოლ ლილუაშვილი** უკვე შემდგარი **კომუნიკატორია,** ის ხშირად დადის აშშ-ში. იქაურ ელიტას მისი ფიგურა რომ არ აინტერესებდეს, ეს ვიზიტები ვერ შედგებოდა. იციან, რომ **რეალურად ივანიშვილისგან სუს-ს აქვს მინდობილი საქართველოს პოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბება.**

„კვირის პალიტრა“



**ირაკლი კადაგიშვილი**
*პარლამენტარი*

გაერთიანდებიან თუ **ნაწილ-ნაწილ გამოვლენ არჩევნებზე,** გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან **ეს მაინც ნაცმოძრაობაა.**

„რეზონანსი“



**ვიქტორ დოლიძე**
*ნატოში საქართველოს ელჩი*

საქართველო რჩება **ნატოს ყველაზე ახლო პარტნიორად და ღირებულ საყრდენად** როგორც რეგიონში, ასევე ევროატლანტიკური თვალსაზრისით — **ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.**

„ინტერპრესნიუსი“



**დავით ქიქინაძე**
*პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე*

**ბიძინა ივანიშვილი** თუ იქნება **სიის პირველი ნომერი** და შემდეგ პრემიერიც, მერე ვისღა რაში სჭირდება **ირაკლი კობახიძე ან ირაკლი ღარიბაშვილი?!**

„ახალი თაობა“

# ეს აბდაუბდა და სამარცხვინო გაუგებრობა უნდა გასწორდეს!

დან კოლხების ქვეყნამდე და მდინარე ფასისამდე მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობდა — **კოლხები.** მათ ქვემოთ ცხოვრობდნენ **სასპერები,** მათ ქვემოთ — **მიდიელები,** ხოლო შემდეგ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, ანუ წითელ ზღვამდე, რაც დღევანდელ სპარსეთის ყურეს შეესაბამება — **სპარსელები.** მოკლედ, **ზღვიდან ზღვამდე, ანუ აზოვის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე ჰეროდოტე იცნობს მხოლოდ ოთხ ხალხს — კოლხებს, სასპერებს, მიდიელებსა და სპარსელებს.** აქ არც აფხაზები ჩანან და არც აფსუები...

გაივლის სულ რაღაც 500-600 წელი და უკვე პირველ საუკუნეში მოღვაწე რომაელი **გაიუს პლინიუს სეკუნდუსი** და ბერძენი **ფლავიუს არიანე** დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველად ახსენებენ **აფშილებსა და აბაზგებს,** რომლებსაც თავიანთი მთავრები ჰყავდათ და რომის იმპერატორებს ემორჩილებოდნენ. **აფშილები** სოხუმის მახლობლად ცხოვრობდნენ, ხოლო **აბაზგები** მათ ჩრდილოეთით — სოხუმსა და კოდორს შორის.

**აფშილებისა და აბაზგების** წარმომავლობის შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაქვს. ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი ქართველური ტომები იყვნენ და სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ტერმინი **აბაზგი,** რომელიც ეთნონიმ **აფხაზის** ბერძნული ფორმაა, სულ მალე არამარტო მთელ დასავლეთ საქართველოზე, არამედ სრულიად საქართველოსა და ქართველებზე გავრცელდა. ასე, მაგალითად, **ბიზანტიურ წყაროებში უხვად გვხვდება ცნობები, სადაც ერთიანი საქართველოს ცნობილი მეფე გიორგი პირველი, რომელიც ბიზანტიასთან სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდა და შირიმნის ბრძოლაში დამარცხდა, ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ მოხსენიებულია „გიორგი აფხაზად“, ხოლო საქართველო — „აფხაზეთად“.** ის კი არა, თვით სახელგანთქმული **დავით აღმაშენებელიც** კი არაერთ უცხოურ წყაროში მოხსენიებულია, როგორც **აფხაზი და აფხაზეთის მეფე...**

არც **გიორგი პირველსა** და არც **დავით აღმაშენებელს** არაფერი აკავშირებდათ იმ ხალხთან, რომელიც დღეს საკუთარ თავს **აფსუას** უწოდებს, ხოლო ქართველებმა რატომღაც **აფხაზები** დავარქვით. **ასეთივე წარმატებით აფხაზებად შესაძლოა, გადაინათლონ ის სომხებიც, რომლებმაც აფხაზეთის ომის დროს ქართველების სისხლი დალიეს და ჩვენი ბიჭების მოჭრილი თავებით გაგრის სტადიონზე ფეხბურთი ითამაშეს.**

**ლაზეთის სამეფო, ანუ იგივე ეგრისი,** რომელსაც რომაელები **ლაზიკას** ეძახდნენ, მეოთხე საუკუნეში ისე გაძლიერდა, რომ **აფშილების, აბაზგებისა და სანიგების** მთავრებთან ერთად **სვანეთის** მთავარიც კი დაიმორჩილა. ლაზიკის საზღვრები კავკასიონის ცენტრალური ქედიდან, მდინარე ბზიფის ხეობიდან იწყებოდა და სამხრეთით ჭოროხამდე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთით ლაზთა მეფის ძალაუფლება შორაპნისა და სკანდის ციხეებზე ვრცელდებოდა, ხოლო იმის იქით უკვე ქართლის სამეფო იწყებოდა. რომაელი ისტორიკოსები ლაზების შესახებ საგანგებოდ წერდნენ — **„იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არცერთი სხვა, ასე სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზით და სიცქვიტით“...**

ეს ლაზების დახასიათებაა, რომლებიც მთელ დასავლეთ საქართველოს და, მათ შორის, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიასაც ფლობდნენ. ეს არ გახლავთ აფსუების დახასიათება, რომლებსაც ზოგიერთი ჩვენი მეზობლის მსგავსად, ისტორიის გაყალბებაში ბადალი არ მოეძებნებათ.

ლაზეთის დედაქალაქი იყო **ციხე-გოჯი,** ანუ **არქეოპოლისი,** სამეფო თავიდან ბოლომდე გახლდათ ქართული, დასახლებული იყო ქართველური ტომებით და არცერთი სხვა ენა თვინიერ მეგრულ-ლაზურის, სვანურისა და ქართულისა სამეფოში არ ისმოდა. ბერძნულ და ლათინურ ლაპარაკს მხოლოდ შავიზღვისპირა ციხეებში თუ გაიგონებდით, სადაც ბიზანტიელებს გონიო-აფსაროსსა და სოხუმში, ანუ იმავე სევასტოპოლისში, რომელსაც უკვე დიოსკურია ერქვა, თავიანთი მეომრები ჰყავდათ ჩაყენებული.

**მე-8 საუკუნიდან, როცა საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ლიდერობისთვის ბრძოლა გაჩაღდა, ერთხანს პირველობა სწორედ ეგრის-აფხაზეთის სამეფომ დაისაკუთრა. ამ ბრძოლაში უდავოდ დიდი იყო ლეონ მეორის დამსახურება, რომელიც აფსუა სეპარატისტებმა და გადამთიელებმა თავიანთი სახელმწიფოსა და ეროვნულობის ეთნარქად გამოაცხადეს.** ლეონ მეორის პერსონას, რომელიც აფსუებმა სახელმწიფო მარკაზე გამოსახეს, ჩვენ უფრო საფუძვლიანად, ოღონდ ცოტა მოგვიანებით მივუბრუნდებით, თუმცა, აქვე ვიტყვით, რომ ის გახლდათ მამა აფხაზთა მეფე **დემეტრე მეორისა,** რომელსაც **გრიგოლ ხანძთელი** ქუთაისში შეხვდა, რათა ხანძთიდან მისი კურთხევის გარეშე აფხაზეთში გაქცეული ძმობის წევრები — **თეოდორე და ქრისტეფორე** უკან დაებრუნებინა.

**გიორგი მერჩულე** საგანგებოდ აღნიშნავს იმ მოწიწებასა და სიყვარულს, რომლითაც მთელი დასავლეთ საქართველოს, ანუ იმავე აფხაზეთის სამეფოს ქართველი **მეფე დემეტრე,** ძე აფხაზთა სამეფოს დამაარსებელ **ლეონ მეორისა,** ქართველ **გრიგოლ ხანძთელს** შეხვდა. **გიორგი მერჩულე** ამ შეხვედრას ასე აღწერს — ***„ხოლო მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ-სცა და ადგილსა კეთილს დაამკვიდრა!“***

**გრიგოლ ხანძთელი** — ქართველი არქიმანდრიტი ტაოკლარჯეთის ქართველთა სამეფოდან ჩავიდა დასავლეთ საქართველოში, ქართველებით დასახლებულ ქვეყანაში და მათ მეფეს, ქართველ დემეტრეს მოუწოდა — **ჩემი ძმობის წევრები — ქრისტეფორე და თეოდორე, რომლებიც ხანძთის უდაბნოდან ჩემი კურთხევის გარეშე გამოიპარნენ და თან სამცხის მთავრის მირიანის ექვსი წლის ვაჟი არსენი წამოიყვანეს, უკან უნდა გამატანოთო!**

მეფე აფხაზთა **დემეტრე, ძე ლეონ მეორისა** და საქართველოს ეკლესიის უდიდესი მამა, ღირსი **გრიგოლ ხანძთელი** ერთმანეთში საუბრობდნენ მხოლოდ და მხოლოდ **ქართულად,** რადგან ქუთაისში, რომელიც აფხაზთა დასავლეთ ქართული სამეფოს დედაქალაქი იყო, ქართულის გარდა არავის არასოდეს სხვა ენაზე არ ულაპარაკია!

სხვათაშორის, მეფე აფხაზთა **დემეტრე მეორეს** არ ეთმობოდა ქრისტეფორე და თეოდორე, რის გამოც მას **გრიგოლ ხანძთელთან** კამათი მოუვიდა. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ — გრიგოლი სოფელ უბისაში ეკლესიას ააშენებდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიბრუნებდა გამოპარულ ძმობის წევრებს.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ უბისაში, მდინარე ძირულას ხეობაში დღესაც საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ დგას გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ აგებული ხელთუქმნელი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისა, რომელმაც ბევრი დროება გამოიარა და დარწმუნებული ვარ, დედასამშობლოს წიაღში რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის დაბრუნებას მოესწრება!**

გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან გაივლის სულ რაღაც ასი წელი და **იოანე მარუშისძე,** რომელიც შიდა ქართლში სწორედ აფხაზეთის მეფის მიერ დანიშნული ერისთავი იყო, პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეთა დასთან ერთად მიიღებს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. კერძოდ, 975 წელს, როცა კახელები უფლისციხეს ალყას შემოარტყამენ, **იოანე მარუშისძე** თავის უშუალო სუზერენს და პატრონს, აფხაზეთის მეფეს კი არ სთხოვს დახმარებას, არამედ, როგორც ეს ამბავი „მატიანე ქართლისაიშია“ მოთხრობილი, ტაოელ ბაგრატიონთა მეფეს **დავით მესამე კურაპალატს** გაუგზავნის მოციქულს და შესთავაზებს — **ქართლზე გამოილაშქრე და უფლისციხე დაიჭირეო!**

**დავით მესამე კურაპალატი** მართლაც გამოილაშქრებს უფლისციხეზე, შეშინებული კახელები გაიქცევიან და ასე დაიწყება დიდი ისტორიული პროცესი საქართველოს გაერთიანება-შენივთებისა, რომლსაც დავით მესამე კურაპალატთან ერთად სათავეში უდგას აფხაზეთის სამეფოს ერისთავი შიდა ქართლში იოანე მარუშისძე...

ის ხალხი — **აფსუები,** რომლებსაც ჩვენ ბედის უკუღმართობით **„აფხაზები“** დავარქვით, ამ ისტორიული პროცესებისგან ძალიან შორს იდგა; **ისინი ლაპარაკობდნენ ჩვენთვის უცხო ენაზე და ცხოვრობდნენ ჩვენგან ძალიან შორს — ჩრდილოეთ კავკასიაში.**

ამიტომ ამ ხალხის და იმ იოანე მარუშისძის გამოცხადება **აფხაზებად,** რომელმაც საქართველო გააერთიანა, დიდი სისულელე, უსამართლობა და მკრეხელობაა...

**ეს აბდაუბდა და სამარცხვინო გაუგებრობა უნდა გასწორდეს!**

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



გრიგოლ ხანძთელი




ლეონ მეორე

**მეფე აფხაზთა დემეტრე, ძე ლეონ მეორისა და საქართველოს ეკლესიის უდიდესი მამა, ღირსი გრიგოლ ხანძთელი ერთმანეთში საუბრობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულად, რადგან ქუთაისში, რომელიც აფხაზთა დასავლეთ ქართული სამეფოს დედაქალაქი იყო, ქართულის გარდა არავის არასოდეს სხვა ენაზე არ ულაპარაკია!**

## კვირგვინოსნები

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



ამ ფაქტს, ერთი წინადადებით შევაფასებ — **ესროლეს ტრამპს და მოარტყეს ლიბერალიზმს.** დაჭრილი **ტრამპის** მხნეობის ნიშნად აწეული მარჯვენა, ეს სცენა იქნება **მისი გამარჯვების სიმბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

„ინტერპრესნიუსი“

**ხათუნა ლაღაზიძე**
*ექსპერტი*



ჩვენი მთავარი მიზანია, 26 ოქტომბერს, **არცერთი პროევროპული ამომრჩეველი არ დარჩეს სახლში,** მივიდეს საარჩევნო უბნებთან და **გადაარჩინოს საქართველოს ევროპული მომავალი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ბაქრაძე**
*„ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის“ წევრი*



როდესაც შემეკითხებიან — **რატომ მოვედი,** მახსენდება პავლე მოციქულის სიტყვები, რომ აღარ არის ჩვენ შორის **არც მონა და არც თავისუფალი.**

„პირველი არხი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



ნაცმოძრაობა **ძველი და ახალი სტილით** არსებობს, თანამდებობები ვერ გაიყვეს და ერთმანეთს დაერივნენ, **26 ოქტომბერს მათი დე ფაქტო მარცხი დე იურედ გაფორმდება.**

„აიპრესი“

*ივლისის მიწურულს 57 წელი შესრულდება ხალხის საყვარელი მსახიობის აკაკი კვანტალიანის გარდაცვალებიდან. მარჯანიშვილის თეატრში მისი ბოლო როლი გახლავთ ძია ბაღდასარი ამავე სახელწოდების სპექტაკლში.*

# აკაკი კვანტალიანის ბოლო ფოტო და ბოლო როლი მარჯანიშვილის თეატრში

***ფოტო, რომელსაც გთავაზობთ, გადაღებულია 1967 წელს და ეს არის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე აკაკი კვანტალიანის ბოლო ფოტო.***




აკაკი კვანტალიანი



## ქეთევან კვანტალიანი: არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ძალიან მჭირდება და უპასუხოდ ვარ მამის გარეშე!

*გვესაუბრება მსახიობის ქალიშვილი* ***ქეთევან კვანტალიანი:***

— ფოტო გადაღებულია მამაჩემის გარდაცვალებამდე 2-3 თვით ადრე, როდესაც მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლის **„ძია ბაღდასარის“** პრემიერა შედგა. თავიდან ამ სპექტაკლს **ვასო გოძიაშვილი** დგამდა და მთავარ როლსაც — **ძია ბაღდასარს** თვითონ თამაშობდა, მამას ის მხოლოდ მაშინ უნდა შეეცვალა, თუკი ცუდად გახდებოდა. მოხდა ისე, რომ რეპეტიციების დროს ვასო მართლაც შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში დააწვინეს. მამას დაევალა სპექტაკლის დასრულება. როლები განაწილებული იყო, ბაღდასარის როლი თვითონ ითამაშა, სპექტაკლიც შედგა და კულტურის სამინისტროს წინაშეც თავისი ვალდებულებაც შეასრულა. ბაღდასარის მეუღლეს **მარინე თბილელი** თამაშობდა.

**— გახსოვთ სპექტაკლის სიუჟეტი?**

— ბაღდასარი ძუნწი ვაჭარი იყო, ცოლისთვის ფულის მიცემა ენანებოდა, ეჭვიანობდა და განუწყვეტლივ უთვალთვალებდა. მარჯანიშვილის თეატრში ეს სპექტაკლი მხოლოდ ერთხელ ითამაშეს, ხოლო პრემიერის შემდეგ რეგიონებში წარმოადგინეს. მახსოვს გასტროლები გორში, სადაც მე მათთან ერთად ვიყავი. ასე დასრულდა თეატრალური სეზონი და მამა შვებულებაში გავიდა... 1 ივლისს ჩემი დაბადების დღე იყო და მამამ სახლში გადამიხადა.

**— აკაკი კვანტალიანსა და მარინე თბილელს ერთად უკვე ნათამაშევი ჰქონდათ ფილმში „აბეზარა“...**

— ეს იყო 1956 წელი. ფილმში კომიკური წყვილი სახასიათო როლებს ასრულებდა. **ქალბატონი მარინა** ჩემი ძმის ნათლია გახლდათ. საერთოდ, მამა, ძირითადად, სახასიათო როლების შემსრულებელი იყო. ომის დროს ტიფი დაემართა, ძლივს გადაარჩინეს, 2-3 თვე საავადმყოფოში იწვა, მსახიობები ამბის საკითხავად რომ მიდიოდნენ, ექიმები პასუხობდნენ: ჯერ ცოცხალიაო. ბოლოს ავტორიტეტულმა მსახიობებმა მთავრობაში იშოვეს ტიფის წამალი და მამაჩემი სიკვდილს გადაარჩინეს. ეს ფოტო მამას ბოლო ფოტოა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, 59 წლისაა... გარდაიცვალა 1967 წლის 27 ივლისს.

**— გაიხსენეთ ის დღე...**

— იმ დღეს წყნეთში უნდა ავსულიყავით. სახლიდან რომ გამოვედით, გაახსენდა — ჯერ ბებიაშენთან უნდა გავიაროთ ახალი ბინის სანახავად და წყნეთში იქიდან წავიდეთო. ბებიას ბინა აბაშიძის ქუჩაზე ჰქონდა, სულ 2 დღის გადასული იყო. მოხდა ისე, რომ მამამ ბებიასთან დამტოვა, დალაგებაში უნდა მივხმარებოდი, თვითონ კი წყნეთში წავიდა, სადაც დედაჩემი ელოდა. სამწუხაროდ, წყნეთში ასვლიდან საათნახევარში მამა აღარ იყო. იმ დღეს ბოლოჯერ ვნახე, არადა, რაღაც წინათგრძნობაც მქონდა, იმ პერიოდში სულ თან დავყვებოდი, უნივერსიტეტიდან ბორჯომში უნდა წავსულიყავი პრაქტიკაზე, მაგრამ შინ დავრჩი. 20 წლის ვიყავი მაშინ, ახლა 77 წლის ვარ, მაგრამ მამა ძალიან მაკლია, ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა — სადმე თუ მიდიოდა, ხელს ჩამკიდებდა და გვერდიდან არ მიშორებდა. ასე ადრე რომ არ გარდაცვლილიყო, ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. მახსოვს მამას პატივისცემითა და სიყვარულით ფეხსაცმლის ატელიედან როგორ მომცეს იმხანად მოდური და სხვისთვის შეკერილი ვარდისფერი „ჩუსტიკები“ — ეს შენ წაიღე, იმ სხვას კი ხვალ შევუკერავთო. არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ძალიან მჭირდება და უპასუხოდ ვარ მამის გარეშე.

**— მისი გადარჩენა ვერ მოხერხდებოდა?**

— არ ვიცი, დედაჩემი იყო მასთან, მამამ სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, ჩვენი ქუჩის ზემოთ ქირურგ ფიფიების აგარაკი იყო, ჩემმა ბიძაშვილმა იქიდან წამოიყვანა კიდეც **ვახტანგ ფიფია,** მაგრამ მამა უკვე გარდაცვლილი იყო.

*ესაუბრა* ***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**სააკაშვილი** პოლიტიკური პატიმარია თუ არა, **შეეკითხონ ადამიანებს,** ვინც მონაწილეობას იღებდა ხარჯების გაწევაში, როდესაც **სააკაშვილი** ბოტოქსის გასაკეთებლად მიდიოდა; **ჰკითხონ იმ ადამიანებს ასევე,** ვინც ყოველდღიურ რეჟიმში განიცდიდა ზეწოლას; **ჰკითხონ იმათ,** ვისაც ფული წაართვეს; ან **ჰკითხონ ბუტა რობაქიძის დედას ან გირგვლიანის განადგურებული ოჯახის წევრებს ჰკითხონ!** და თუ ამ ხალხს არ ჰკითხავენ, მაშინ **სტრასბურგის სასამართლოს ჰკითხონ!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



მაქვს განცდა, რომ გავლენიანი ჯგუფები, რომლებსაც ელჩებზეც აქვთ გავლენა, **ცდილობენ, არჩევნებზე რევოლუცია მოაწყონ,** ხელისუფლებაში მარიონეტები დასვან და შემდეგ მსოფლიოში გაბატონებულმა მარგინალურმა ჯგუფებმა **მეორე ფრონტი** გახსნან.

„ინტერპრესნიუსი“

**ნიკა გვარამია**
*პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ნიკა გილაური** ყველაზე კარგი პრემიერ-მინისტრია და ბედნიერი ვიქნებოდი, რომ **ჩაიბარებდეს საქართველოს წინსვლას,** მაგრამ ვერ დაგიდასტურებთ, რომ შეთანხმებულია და მისგან თანხმობა გვაქვს.

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ნიკა გილაურს,** „ახლების“ **პრემიერობის კანდიდატს,** „ოცნებამ“ 240 მილიონი აჩუქა და **რანაირი ოპოზიციონერია?!**

„ახალი თაობა“

*გასულ კვირას, 9 ივლისს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა თეატრისა და კინოს ცნობილი არტისტი ქეთევან კიკნაძე. დაიკრძალა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მეუღლის — ლეგენდარული ქართველი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის გვერდით.*

# ამიერიდან ერთად განისვენებენ მარადიულ სამყაროში!



გიგა ლორთქიფანიძე და ქეთევან კიკნაძე

— **ქეთინო, ჩემო სიცოცხლე, მაკოცე!** — ეს არის გიგა ლორთქიფანიძის ბოლო სიტყვები, რომლითაც მან ამ 11 წლის წინათ, გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მიმართა თავის სათაყვანებელ მეუღლეს. **11 წლის შემდეგ, 2024 წლის 9 ივლისს, მათი იმქვეყნიური პაემანი შედგა, როცა ცხოვრების ცხელი ივლისის თვე ქალბატონი ქეთევანისთვის ივლისისფერ ყინვად იქცა შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების გარემოცვაში, რომლებიც მას სიყვარულს, ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდნენ.**

ამბობდა — გიგას მერე ფრთამოტეხილი ვარ, სულ თვალწინ მიდგას და ყურში ჩამესმის მისი სიტყვები: **სულ მენატრები, სულ მენატრები...** მეუღლისადმი მიძღვნილ თავის ლექსშიც ჩაწერა: **„როგორ მინდა, კვლავ მესმოდეს: ქეთი, მოდი, აქ დაჯექი“.** გიგა ლორთქიფანიძე ამაყი იყო თავისი მეუღლის ქართველქალობით, აკი, ამბობდა — მე და ქეთინომ შევქმენით დიდი ქართული ოჯახი, ჩემი რეჟისურაც ჩემი მეუღლეა სამი ქალიშვილით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებითო...

„მეექვსე სართული“ ერქვა **ქეთევან კიკნაძის** სადიპლომო სპექტაკლს, სადაც მან **ედვიჟის როლი** ითამაშა. თეატრალურმა კრიტიკოსებმა დაწერეს, რომ კიკნაძის გმირს მოჭარბებული ჰქონდა ემოცია და ცხოვრებისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება. აკი, ბოლომდეც ასეთი დარჩა — სიცოცხლის სიყვარულით სავსე, ცხოვრებისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულებით და კეთილი გულით. **ჯერ კიდევ ცოცხალია თაობა, რომელსაც ახსოვს მის მიერ პირველად სცენაზე განსახიერებული უსინათლო გოგონას — ხატიას როლი სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“, როქსანა** „სირანო დე ბერჟერაკში“, **ისმენე** „ანტიგონეში“, **ოგიუსტინა** „რვა მოსიყვარულე ქალში“, **ფიბი** „თამაში ჭვავის ყანაში“, **ბაიანე** „ღალატში“, **მაკა** „ბუდე მეცხრე სართულზე“... მარჯანიშვილის, რუსთაველისა და რუსთაველის თეატრებში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ, როდესაც უკვე სპექტაკლებში აღარ იწვევდნენ, ამბობდა — **ვერ წარმოვიდგენდი, თეატრიდან ასე თუ ვიქნებოდი მოკვეთილიო.** თავის დროზე **გიგა ლორთქიფანიძეც** ნანობდა, რომ მეუღლეს ბოლომდე არ მისცა თეატრში ნიჭის გამოვლენის საშუალება, აქაოდა, არავის ეთქვა — რეჟისორმა ქმარმა ცოლი გაანებივრაო.

პირველი ფილმი, სადაც **ქეთევან კიკნაძემ** გიგა ლორთქიფანიძესთან ითამაშა, „დათა თუთაშხია“ იყო. რეჟისორი აღფრთოვანებული ამბობდა: ხმამაღლა ვიტყვი, რომ შესანიშნავი ხარ ამ როლში, სხვისი წარმოდგენაც კი მიჭირს, შენ ითამაშე ნამდვილი, წრფელი სიყვარული... ფილმში „წიგნი ფიცისა“ მეუღლეს ქეთევან წამებული ათამაშა და დარწმუნებული იყო, თუკი საქართველოს მისგან დედოფლისეული თავდადება დასჭირდებოდა, თავს არ დაზოგავდა. **ქეთევან კიკნაძემ** განასახიერა რეპრესირებული და წლების შემდეგ შვილთან დაბრუნებული დედის როლი ფილმში „თეთრი ბაირაღები“. ამ გმირის ცხოვრება რეალურადაც განცდილი და გადატანილი ჰქონდა, რადგან რეპრესირებული პედაგოგის შვილი იყო და 1937 წელს სულ რამდენიმე დღისას მამა დაუპატიმრეს, რომელიც ოჯახს მხოლოდ 10 წლის შემდეგ დაუბრუნდა. ამბობდა — როცა მამა დაბრუნდა, მიხაროდა — თურმე, მამა მეც მყოლიაო... ეამაყებოდა, რომ მამა შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე, განიცდიდა ბორჯომში დედისეული სახლიდან იმ ვიოლინოს დაკარგვას... როგორც საკუთარი მშობლები უყვარდა, ასეთივე სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა მეუღლის დედასა და დას — აკადემიკოს **მარიკა ლორთქიფანიძეს.** როდესაც ქალბატონი მარიკა გარდაიცვალა, დიდუბის პანთეონი უკვე დახურული იყო, მაგრამ ამბობდა — მარიკას სხვაგან არსად დავკრძალავთ, ის საკუთარი ძმის — გიგას გვერდით უნდა დაიკრძალოს და მერე მეც მათთან ერთად ვიქნებიო... აღფრთოვანებული იყო დედამთილით — თავად **მიქელაძის** ქალით, რომელმაც ორი შვილი გაჭირვებითა და მძიმე შრომით გაზარდა და კარგი განათლება მიაღებინა. კარგად იცოდა, რომ მეუღლე დედას ეთაყვანებოდა და პირველად სწორედ იმიტომაც მიიქცია ყურადღება, რომ გიგამ საკუთარ დედას მიამსგავსა. უთქვამს — ვფიქრობ, ახალგაზრდა დედაჩემი შენნაირი უნდა ყოფილიყოო.

ქეთევან კიკნაძემ მეუღლის ბიძის, ლეგენდარული **ევგენი მიქელაძის** ცხოვრების ისტორიაც ზედმიწევნით იცოდა, სახლში მისი ნაქონი როიალიც ჰქონდა და მოგვიანებით ქართველ მუსიკოსებს უსახსოვრა.



**ქეთევან კიკნაძე** გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათით. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ამა თუ იმ მოვლენებზე ყოველთვის პრინციპული აზრი ჰქონდა, თამამად ამბობდა სათქმელს და ბევრ ვაჟკაცზე უშიშარიც იყო. აქტიურობდა სოციალურ ქსელში, არაერთხელ გაუჟღერებია: **ხალხო, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ხანდახან იფიქრეთ, რომ ადამიანი მოკვდავია, ფრთხილად, როდესაც ღირსებაზე ლაპარაკობთ!**

იყო ძალიან თანამედროვე, შესანიშნავად მართავდა ავტომანქანას და უკვე ასაკში მყოფი, ველოსიპედსაც, არც მოტოციკლის მართვას შეუშინებია და მცირე მანძილზე **ლალი ბადურაშვილთან** ერთადაც ისეირნა. პირველად, როდესაც იაშვილის ქუჩაზე სახლში ვესტუმრე, ეს სათნო და ულამაზესი ქალბატონი სამზარეულოში რემონტს უძღვებოდა და ზედმიწევნით კარგად იცოდა, მუშას რომელი მილი რა ადგილზე უნდა გაეყვანა, კაფელი როგორ გაეკრა. **იყო ხელმარჯვე და შესანიშნავი კულინარი, მათ ბინაში თავს იყრიდა საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილი თაობა: ბიძინა კვერნაძე, პეტრე გრუზინსკი, ნოდარ დუმბაძე, რეზო ლაღიძე, ჯანსუღ კახიძე, ზურაბ ანჯაფარიძე** და სხვები. აღფრთოვანებული იყო მეუღლის მუსიკალური ნიჭით, უყვარდა მის მიერ როიალზე შესრულებული კომპოზიციები და სიმღერა. როგორც **გიგა ლორთქიფანიძე** ამბობდა: **56-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ჩემი მეუღლე იმაზე ძლიერ მიყვარს, ვიდრე მაშინ, როცა ყვავილაფერი დაიწყოო.** ამასვე ამბობდა და გრძნობდა ქეთევან კიკნაძეც — **56 წელი ხელჩაკიდებულებმა ვიარეთო.**

— ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ის სუნთქავდეს! — ეს არის **გიგა ლორთქიფანიძის** სიტყვები მეუღლის მიმართ, როცა ის უკვე თავად იყო მძიმედ, ხოლო, როცა საავადმყოფოში მისი სათაყვანებელი ქეთინო სასიკვდილო სარეცელთან მივიდა, გიგა ლორთქიფანიძემ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, გაუღიმა და უთხრა: **— მოხვედი, ჩემო სიცოცხლე?!**

... წარსული არსად გამქრალა, არც სიყვარული, დიდი რეჟისორი და მსახიობი ქალი ამიერიდან ერთად განისვენებენ მარადიულ სამყაროში. ამ წყვილის სიყვარულის ისტორიას ოდესმე დიდ წიგნად გამოსცემენ და ფილმად გადაიღებენ!



კადრი გიგა ლორთქიფანიძის ფილმიდან „დათა თუთაშხია“ – ქეთევან კიკნაძე ბეჩუნი პერტიას როლში

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ **როგორი კონფიგურაციაც არ უნდა დაალაგოს** და როგორი მხარდაჭერაც არ უნდა ჰქონდეთ გარედან, **არჩევნებში მაინც დამარცხდებიან.**

„იმედინიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



აქამდე რომელიმე არ იყო ნაცი და ახლა გახდა?! **2024 წლის 26 ოქტომბერი პოლიტიკური პანღური იქნება ნაცებისთვის** თუნდაც ამ ახალი კომპლექტაციით.

„იმედინიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტტექნოლოგი*



**ამ ხელისუფლებას თუ გაუშვებ,** მათემატიკური პრინციპით, ხმების უმრავლესობით **ნაცმოძრაობა მოვა.**

„კვირის პალიტრა“

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



სასაცილო განახლებაა, **არმაზ ახვლედიანი** მივიდა, **კორძაია** ისედაც მათი სიით გავიდა, შანსები **სახელის ცვლილებით** არ შეიცვლება, **ბეთქილი** რომ დაცირქვა, რა შეიცვლება ჩემში?

„პირველი არხი“

„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
გამოჩენილი ქართველი მსახიობის,
საქართველოს სახალხო არტისტის

**ქეთევან კიკნაძის**

გარდაცვალების გამო
და **უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.**



# მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ნიშნები და სტრესის დაძლევის გზები

*— ღრიანკალს სტრესის დროს რა ახასიათებს და ამის გამო რა შეიძლება დაკარგოს? რა შემთხვევაში დაიბრუნებს სწრაფად და უმტკივნეულოდ სიმშვიდეს და განთავისუფლდება დაძაბულობისგან? მშვილდოსანი რას უფრთხის ან რა უჭირს და რას ეგუება ადვილად? რას არ იმჩნევს? რა შემთხვევაში ითრგუნება და ამ დროს რა იქნება უმჯობესი? მიზანდასახული და შეუპოვარი თხის რქა რას ვერ შეეგუება და რა არის მისი ძირითადი მიზანი? რა უნდა გააცნობიეროს და ისწავლოს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— ზოდიაქოს ყველაზე მისტიკური ნიშანი ღრიანკალი სტრესს როგორ უნდა გაუმკლავდეს, რას ურჩევთ?**

— **8. ღრიანკალის** შინაგანი ბუნება დიდ ინტერესს იწვევს და ბევრს სურს მისი ამოცნობა. ის ვნებიანი და ენერგიულია, მაგრამ ნებისმიერი სახის სტრესის დროს თავს დაუცველად გრძნობს, რადგან ყოველთვის უარყოფითზე ფიქრობს. **ღრიანკალს ცვლილებები არ უყვარს, ამიტომაც სტრესის დროს ჩვეულებრივზე მეტად იკეტება საკუთარ თავში.** მას არც მოვლენების დაჩქარება უყვარს და ელოდება იმ წამს, როცა მოქმედების დრო დადგება. ეს განსაკუთრებით კარგად ბიზნესში შეიმჩნევა. ისეც ხდება, როცა დიდი დატვირთვისა და ძლიერი წნეხის პირობებში უწევს მოქმედება, რის გამოც დროულად თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. ასეთ სიტუაციაში, სავარაუდოდ, ის თავის გადარჩენის ეფექტურ ხერხებს არ გამოიყენებს და უბრალოდ გაექცევა არსებულ რეალობას. ეცდება, განმარტოვდეს, ყველასგან დაიმალოს, მარტო დარჩეს საკუთარ თავთან მანამ, სანამ შინაგან მღელვარებას არ გადალახავს და არ გაუჩნდება კვლავ მოქმედების სურვილი. თუმცა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ბევრი დროც და კარგი შესაძლებლობებიც დაკარგოს. შესაბამისად, უმჯობესია, სტრესულ მდგომარეობაში ყოფნისას ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთან იურთიერთოს, რამეთუ მათი დახმარებით სწრაფად და უმტკივნეულოდ შეძლებს დამშვიდებას და დაძაბულობისგან გათავისუფლებას, დაცვის შეგრძნებაც გაუძლიერდება.

**9. მშვილდოსანს** კი უჭირს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. იქნება ეს ახალი საქმე თუ ურთიერთობა. განსაკუთრებით, ხანგრძლივ, გრძელვადიან მოვალეობას უფრთხის. ამავდროულად, ამ ნიშნის წარმომადგენლები ახალ პირობებს ადვილად ეგუებიან და ნებისმიერ საქმეს წარმატებით უმკლავდებიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს არ განიცდიან სტრესს, უბრალოდ, ცდილობენ, საკუთარი ემოციები არ შეიმჩნიონ და ხუმრობით თავი დააღწიონ სხვის მიერ შემჩნევისას. **მშვილდოსნებისთვის მნიშვნელოვანია თავისუფლება და მოძრაობა, რათა ნებისმიერ რთულ სიტუაციაში სწრაფად გაიაზრონ მოცემულობა, იპოვონ გადაწყვეტილება და აღმოაჩინონ ახალი იდეები,** მაგრამ ჩაკეტილ სისტემაში, სტრესისა და შეზღუდვის დროს ძალიან ითრგუნებიან, ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება მალე და შეუმჩნევლად თამაშიდან გავიდნენ. **ამგვარი სტრესის მოსახსნელად, ერთადერთი საშუალებაა გარემოს შეცვლა,** რამეთუ, **მშვილდოსანს** ყველაზე მეტად უყვარს მოგზაურობა. თბილ, მზიან ქვეყანაში დასასვენებლად გამგზავრება საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუმცა, ქალაქგარეთ, აგარაკზე თუ უახლოეს პარკში გასეირნებაც ურიგო არ იქნება და დადებით შედეგს მოიტანს. **სტრესისგან გათავისუფლების** კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობაა რაიმეს კვლევა. ეს შესაძლოა, იყოს როგორც მეცნიერების რომელიმე დარგში კვლევა, ისე ადამიანის ან საცხოვრებელი ადგილის ისტორიის ანდა, თუნდაც ახალი იდეის, ახალი ცხოვრებისეული ხედვის კვლევა.

**10. თხის რქა** კი, მოგეხსენებათ, ზედმეტად მიზანდასახულია, შეუპოვარი და შეუძლია, რამდენიმე საქმე ერთდროულად ისე შეასრულოს, რომ დაღლა არ დაეტყოს. ამ ნიშნით დაბადებული ყოველი ახალი პრობლემის წარმოქმნისას უფრო გულდასმით მუშაობს. ცდილობს, ყველაფერი გააკონტროლოს და მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე იტვირთოს. **თხის რქას ყველაზე მეტად რაც უჭირს, ეს არის მოდუნება და პირად და პროფესიულ საქმეს შორის ჯანსაღი ბალანსის პოვნა. ამ ნიშნით დაბადებული წარუმატებლობას ვერ ეგუება, ამიტომ მისი ძირითადი ცხოვრებისეული მიზანია მუდმივი წინსვლა და ახალ-ახალი სიმაღლის დაპყრობა.** იგი ხშირად ზედმეტად დიდ და უსაფუძვლო მიზანს ისახავს, როცა რეალობა მის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს და ჩანაფიქრი არ გამოსდის, საკუთარ თავს გადამეტებულად სჯის. პერფექციონისტული ბუნებიდან გამომდინარე, საკუთარი მიღწევებით და გაწეული შრომის შედეგით არასოდეს არ არის კმაყოფილი, ამიტომ თითქმის მუდმივად სტრესულ მდგომარეობაშია, მაგრამ იმდენად არის მობილიზებული, რომ ადვილად უმკლავდება. სასურველია, ამ ნიშნით დაბადებულმა ისწავლოს საკუთარი თავისთვის გარკვეული დროის დათმობა, განმარტოება და იმის კეთება, რაც რეალურად მოსწონს და სიამოვნებას ანიჭებს და, რაც არ არის დამოკიდებული სხვის მოთხოვნაზე ან რაიმე ვალდებულებაზე. თხის რქამ თავისი ოჯახისა და სამეგობროს დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, უნდა **გააცნობიეროს, რომ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია საკუთარი თავი და იმ ჯანსაღი ბალანსის მოძიება, რომელიც დაარეგულირებს და გააწონასწორებს პირად ცხოვრებასა და სამყაროს.** გარდა ამისა, **მისთვის დაძაბულობის მოსახსნელად მეტად სასიკეთო იქნება მედიტაცია, სუნთქვითი ვარჯიშები და სეირნობა.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 15-21 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვლება თქვენი წარმოდგენები და იდეალები. გარკვეული ძალისხმევა დაგჭირდებათ გარშემო მყოფთა სიმპათიის მოსაპოვებლად და საკუთარი პრინციპების დასამკვიდრებლად. რომანტიკულ, სასიყვარულო და საქორწინო ურთიერთობებში დროებით გაქრება ადრინდელი ჰარმონია და მყუდროება. არაა გამორიცხული პრობლემები საქმიან პარტნიორებთან. მოგზაურობისას სიფრთხილეა საჭირო. კარგი იქნება, თუ დროს დაუთმობთ საკუთარ თავს, ჯანმრთელობასა და გარეგნობას.

**კურო** (21.04-20.05)
გაიზრდება თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი უნარის რეალიზების სურვილი. ინტელექტუალური შრომა, ახალი იდეები და ენერგიულობა დაგეხმარებათ ჩანაფიქრების განხორციელებასა და ცხოვრების გაუმჯობესებაში. შესაძლოა, აქტუალობა შეიძინოს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულმა საქმეებმა, რის გამოც მოგიწევთ ბევრი ხალხის შეწუხება. გაიზრდება ურთიერთობებისა და გადაადგილებების რაოდენობა. საყვარელ ადამიანს კი უმიზეზოდ ნუ შეედავებით და ეცადეთ, მომთმენი იყოთ მისი კაპრიზების მიმართ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ამ პერიოდში ერთდროულად თავდაჯერებულიც იქნებით და მერყევიც. მოერიდეთ ფინანსურ მაქინაციებსა და საქმიან ავანტიურებს. მიმდინარე მოვლენები დაგაფიქრებთ არსებული პრობლემების მიზეზებზე. გააზრებული და მიზანმიმართული მოქმედებები დაგეხმარებათ საინტერესო ადამიანებთან კავშირის დამყარებაში. შესაძლოა, მოიმატოს როგორც შემოსავალმა, ისე ხარჯებმა. შეძლებულ ადამიანებთან თანამშრომლობა ურთიერთმომგებიანი გამოდგება.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კარგი დროა ახალი საქმის დასაწყებად, მოლაპარაკებების ჩასატარებლად, ხელშეკრულებების დასადებად. გარკვეულ დროს მოითხოვს ფინანსური, სადაზღვევო ან სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებაც. მოერიდეთ არაკეთილსინდისიერ ადამიანებთან ურთიერთობას და თავისუფალი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს. ამ პერიოდში ყველა მოგზაურობა დადებითად და ნაყოფიერად ჩაივლის. უცხოეთში ან სხვა ქალაქში მცხოვრებ ადამიანთან ურთიერთობისას გელით წარმატება.

**ლომი** (23.07-23.08)
დაქვეითებული ენერგია პესიმისტურ განწყობაზე დაგაყენებთ, ამიტომ კარგი იქნება, თუ მეტ დროს დაუთმობთ დასვენებას. კარგი პერიოდია ახლო მოგზაურობისთვისაც. გარემოებები გაიძულებთ, დაფიქრდეთ სამსახურის ან სპეციალობის შეცვლაზე, ახალი საქმიანობის დაწყებაზე. ფინანსებთან სამუშაოდ აუცილებელი იქნება თავდაჯერებულობა და საქმისადმი სერიოზული მიდგომა. მეუღლე ან სასიყვარულო პარტნიორი დაგეხმარებათ სულიერი წონასწორობის აღდგენაში.

**ქალწული** (24.08-23.09)
გაიზრდება თქვენი პატივმოყვარეობა და ამბიციურობა. მოგინდებათ ახალი საქმეების დაწყება და მიზნების განხორციელება. თქვენი მომავალი დიდწილად იქნება დამოკიდებული კოლეგებზე, ახლო ნათესავებსა და მეგობრებზე. მიღებული ახალი ინფორმაცია პრაქტიკულ შედეგს გამოიღებს. მიუხედავად ამისა, ყურადღებას მოითხოვს პირადი ცხოვრება, რათა კავშირი უფრო მყარი და საიმედო გახდეს. შესაძლოა, მეტი დრო მოგთხოვოთ სახლისა და ოჯახის საქმეებმაც. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

## 15-21 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მოვლენები გონივრულად და დინჯად გააანალიზეთ. შემოქმედებითი მიდგომით რთულ საქმეებსაც კი არატრადიციული, ორიგინალური გზით სწრაფად შეასრულებთ. კონტაქტების უმრავლესობას საქმიანი ხასიათი ექნება და შემოსავლის გაზრდას მოემსახურება. თუმცა, შესაძლოა, უეცრად წამოიწყოთ ფარული სასიყვარულო ურთიერთობა. განწყობას გაგიუმჯობესებთ მოგზაურობა, სადაც შესაძლოა, ახალი მეგობრები ან კარგი მრჩეველი შეიძინოთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
აქტიურად მოქმედებისა და ურთიერთობის პერიოდია, როდესაც შესაძლებელი იქნება ძველი პრობლემებისგან და ვალდებულებებისგან გათავისუფლება. საზოგადოება დააფასებს თქვენს ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, რაც აისახება მომავალ პერსპექტივებზე. პირად, საოჯახო ან სასიყვარულო სფეროში ჰარმონიის შესანარჩუნებლად დაგჭირდებათ მეტი მოთმინება. შინაგანი დაძაბულობის მოსახსნელად ჯობს, მეტი დრო გაატაროთ სახლში, გააუმჯობესოთ ურთიერთობა ახლობლებთან და ხელი მიჰყოთ ოჯახის საქმეებს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ბევრ დროს წაგართმევთ სამსახური. ლიდერის პოზიციების ძალისმიერად დაკავებისას სირთულეები გაგიჩნდებათ კოლეგებთან. შესაძლოა, სამსახურსა და ოჯახში დიპლომატის როლშიც მოგიწიოთ ყოფნა. ფულადი საკითხების მოსაგვარებლად დაიხმარეთ ნათესავები. ჯანმრთელობისა და განწყობის გაუმჯობესება ხელს შეგიწყობთ ახალი გეგმების განხორციელებაში. უეცრად განვითარებული სასიყვარულო გრძნობა ხანმოკლე აღმოჩნდება. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს უცხოეთში გამგზავრება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მოიმატებს დიდი ცვლილებების სურვილი. შესაძლოა, გაუმჯობესდეს თქვენი სოციალური სტატუსი, მოიმატოს შემოსავალმა. კარგი განათლება და პროფესიონალიზმი გაზრდის პერსპექტიული სამსახურის მიღების შანსს. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებების დადებისას ყურადღებით გადაამოწმეთ ყველა დეტალი. ოჯახში ურთიერთობა გაუმჯობესდება, შვილებმა შესაძლოა, გაგახარონ მიღწევებით. მოგზაურობა და დასვენება დადებითად აისახება ჯანმრთელობასა და შინაგან მდგომარეობაზე.

**მერწყული** (20.01-18.02)
მიუხედავად ენერგიული განწყობისა, მიმდინარე მოვლენებმა შესაძლოა, საოცრად დაგღალოთ და მელანქოლიურ განწყობაზე დაგაყენოთ. ინფორმაციის უკმარისობის გამო შესაძლოა, დაუშვათ შეცდომა პირად, საქორწინო ან სასიყვარულო ურთიერთობებში და აღმოჩნდეთ სხვა ადამიანებზე დამოკიდებული. მოერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას და მეტად გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგი იქნება, თუ სადმე გაემგზავრებით, დაისვენებთ და შეიცვლით გარემოს.

**თევზები** (19.02-20.03)
გაიზრდება მომავლისა და წარმატების რწმენა, თავდაჯერებულობა, შრომისუნარიანობა. თამამი ჩანაფიქრები თავის რეალიზებას პოვებს ახალ საპასუხისმგებლო საქმეში. ბევრი ადამიანი მოგმართავთ დახმარებისთვის და კარგი იქნება, თუ გამოიჩენთ გულისხმიერებას. ნაცნობებს ყველაფერში ნუ ენდობით, რადგან არსებობს მოტყუების ალბათობა. სასიყვარულო ურთიერთობებში თავშეკავება გმართებთ, რათა შეინარჩუნოთ არსებული კავშირი.




## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**15,18, 20 და 21 ივლისი**

**6 ივლისი – ახალმთვარეობა, პიკი – 02.59 საათზე;**
**21 ივლისი – სავსემთვარეობა, პიკი – 14.20 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 15 ივლისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.40 საათზე, ჩადის 19.34 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 13.59 საათზე, ჩადის 23.35 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 16.23 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია ცდუნებების, ილუზიების, სიცრუის ალბათობა. ურთიერთობისას გააკონტროლეთ ამპარტავნობა, თვითნებობა, უადგილო გამონათქვამები. **კარგი დღეა** უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლებისთვის, თვითშემეცნებისა და კომპეტენტურობის გამოსავლენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, გეგმების დასახვისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **არ არის სასურველი** ინტიმური კონტაქტები, მგზავრობა, სხივური თერაპია, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება. ეფექტურია ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ონიქსი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 16 ივლისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.41 საათზე, ჩადის 19.33 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 15.05 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 16.48 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** სიფრთხილე გმართებთ ელექტროგაყვანილობასა და ელექტროხელსაწყობის მიმართებით. **კარგი დღეა** დაცვის სასიგნალო მოწყობილობების დასამონტაჟებლად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, თვითშემეცნებისა და კომპეტენტურობის გამოსავლენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, გეგმის დასახვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, რეცხვისთვის, ცხოველების შესაძენად. **არ არის სასურველი** მგზავრობა, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის,

## 17 ივლისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.42 საათზე, ჩადის 19.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.34) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 16.14 საათზე, ჩადის 18 ივლისს 00.28 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 19.16 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.12 საათიდან 06.26 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ უარყოფითი ემოციები აკონტროლეთ. **ილოცეთ და ყველა დალოცეთ!** ოპტიმისტურად განეწყვეთ. ჩვენი ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისაკენ, ამიტომ საკვების რაოდენობა შეამცირეთ. **კარგი დღეა** მგზავრობისთვის, თანამშრომლობისთვის, სწავლისთვის, ინტელექტუალურ-სულიერი განვითარებისთვის, ახალი სამსახურის მოსაძიებლად. ეფექტურია კბილების, ბრონქების, მხრების, ხელების მკურნალობა. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, ზედმეტი პირდაპირობა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, იასპი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 18 ივლისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.42 საათზე, ჩადის 19.32 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 17.21 საათზე, ჩადის 19 ივლისს 01.05 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 20.39 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს აკონტროლეთ ბავშვები ქუჩაში გადაადგილებისას. ეფექტურია ფილტვების, მხრების, ხელების, მეტყველების დეფექტის მკურნალობა. **კარგი დღეა** სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, სპორტული ღონისძიებებისა და ვარჯიშებისთვის, იურიდიული კონსულტაციისა და საკითხთა გადასაწყვეტად, სამართლოში სარჩელის შესატანად, საზოგადოებრივი აქტიურობისთვის, ხელშეკრულების დასადებად. **არ არის სასურველი** სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, ამეთვისტო, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 19 ივლისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.43 საათზე, ჩადის 19.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.27) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 18.24 საათზე, ჩადის 20 ივლისს 01.53 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 21.45 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.45 საათიდან 12.45 საათამდე. **ტენდენციები: კარგი დღეა** მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სამშენებლო სამუშაოებისთვის, ავეჯის, საოფისე ნივთების, საათების შესაძენად, მანქანის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კოლექციის შესავსებად, პარტნიორულ ურთიერთობაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის მკურნალობა. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, ახალი კავშირების დამყარება, ვაჭრობა, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, სტომატოლოგიური პროცედურები, სიმძიმის აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კბილები, კანი, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 20 ივლისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.43 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 18.24 საათზე, ჩადის 21 ივლისს 02.03 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 22.27 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში (4 სექტემბრამდე), რაც გააძლიერებს ადამიანებში კომუნიკაბელურობას, შუამავლის ფუნქციას, ახალი იდეის განხორციელების შესაძლებლობას, მობილურობას და ასევე სულსწრაფობას, მერყეობასაც. დღეს **არ არის სასურველი** ხალხის მასაში ყოფნა, სიმძიმის აწევა, სტომატოლოგიური პროცედურები, ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, ახალი კავშირების დამყარება. **კარგი დღეა** მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, გიშერი, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 21 ივლისი , კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.44 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.49) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 19.38 საათზე, ჩადის 22 ივლისს 02.53 საათზე (**სავსემთვარეობაა, პიკი** — 14.20 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა. მთვარის მე-17 დღე იწყება 22.51 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.28 საათიდან 15.44 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა, რაც განაპირობებს კონფლიქტებს, ტრავმებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. მოერიდეთ ხალხის მასაში ყოფნას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას. აკონტროლეთ ემოციები, ილოცეთ და ყველა დალოცეთ! არ არის სასურველი ალკოჰოლის მიღება, დიდხანს ფეხზე დგომა (ჯობს, იაროთ), მკვეთრი მოძრაობები, სიმძიმის აწევა. **კარგი დღეა** მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, თვალები, კბილები, სახსრები. **ქვები:** გიშერი, ონიქსი, ქრიზოპრაზი, საფირონი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ 15 ივლისი. ორშაბათი. **დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლაქერნას;** იუბენალისა, იერუსალიმელი პატრიარქისა.

✝ 16 ივლისი. სამშაბათი. **ღირსისა გიორგი ღმერთშემოსილისა, დაყუდებულისა, ღირსი გიორგი მთაწმიდელის მოძღვრისა;** მოწამისა იაკინთესი; მოწამეთა: დიომიდესი, ენვლამპისა, ასკლიპიოდოტესი და გოლინდუხტისა; მოწამეთა მოკისა და მარკოზისა; ღირსისა ალექსანდრესი, „მღვიძარეთა“ სავანის დამაარსებელისა; ანატოლისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; **გერგეტის სამებობა.**

✝ 17 ივლისი. ოთხშაბათი. **ანდრიასი, კრიტელი მთავარეპისკოპოსისა, „დიდი კანონის“ შემქმნელისა, იერუსალიმელისა;** ღირსისა მართასი, დედისა სვიმეონ მესვეტისა, სასწაულმოქმედისა, რომელი დამკვიდრებულ იყო მთასა საკვირველსა; მოწამეთა თეოდოტესი და თეოდოტიასი; მღვდელმოწამისა თეოდორესი, კვირინელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ანდრია რუბლიოვისა, ხატმწერისა.



21 ივლისი - გამოცხადება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა ქალაქსა ყაზანს

✝ 18 ივლისი. ხუთშაბათი. **ღირსისა ათანასე ათონელისა, დედით კოლხისა და ექვსთა მოწაფეთა მისთა;** მოწამეთა ანასი და კვირილასი, რომელსა ეწოდების კიპრილაც; ღირსისა ლამპადი ირინოპოლელისა, სასწაულმოქმედისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსისა სერგისა, რადონეჟელი იღუმენისა, სასწაულმოქმედისა.

✝ 19 ივლისი. პარასკევი. **ღირსისა სისო დიდისა;** მოწამეთა: მარინისა, მართასი, ავდიფაქსისა, ამბაკუმისა, კვირინესი, ვალენტინე ხუცისა, ასტერისა და სხვათა მრავალთა, რომში მომწყდართა; მოწამეთა: ისავრო დიაკონისა, ინოკენტისა, ფილიქსისა, ერმოსისა, ბასილისა, პერეგრინესი და ორთა ქალაქის მთავართა რუფესი და რუფინესი; მოწამისა ლუკია ქალწულისა და მისთანა მოწამეთა: რიქსესი, ანტონისა, ლუკიანესი, ისიდორესი, დიონისა, დიოდორესი, ქუთონისა, არონისა, კაპიკესი და სატურისა; მოწამისა კოინტე ფრიგიელისა.

✝ 20 ივლისი. შაბათი. **ღირსისა თომა მალეინელისა; ღირსისა აკაკი მორჩილისა, „კლემაქსისა“ შინა მოხსენიებულისა;** მოწამეთა: პერეგრინესი, ლუკიანესი, პომპისა, ისვიქისა, პაპიანესი, სატორნინესი და გერმანოსი; ღირსმოწამეთა: ეპიქტიტე ხუცისა და ასტიონე მონაზონისა; მოწამისა ევანგელესი; მოწამისა კვირიაკიასი.

✝ 21 ივლისი. კვირა. **წმიდისა მეფისა მირდატ მესამისა;** დიდმოწამისა პროკოპი პალესტინელისა; გამოცხადება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა ქალაქსა ყაზანს.


## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს, „ტატუებს“ აცილებს უმტკივნეულოდ (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52**

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

## მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. სტეკა; 8. კაბარე; 11. პარაშუტი; 12. ლიოტა; 13. ბგერა; 14. ბალეტი; 15. კარამელი; 16. ბროლი; 17. ლუარა; 18. ნანტი; 19. კაროლინა; 23. მძიმე; 24. კი; 25. ჯიგა; 27. ტაიგა; 28. მოცარტი; 29. ხიდი; 32. კორდობა; 33. კირხე; 35. უნაგირი; 39. ლაქია; 40. კორიდა; 43. ნოკია; 44. ტრაგედია; 45. ჯიქი; 47. კანცონა; 48. სინაგოგა; 52. მარაკანა; 55. კივილი; 58. ჰიპოკრატე; 59. შივაკი; 60. ბონო; 61. რული; 62. კადრი; 63. ტოროლა; 64. ტრაპი; 65. ორთი.

შვეულად: 1. კაბალა; 2. მალამო; 3. ლუნეტი; 4. სიბილა; 5. ერევანი; 6. ალაბამა; 7. მონოლითი; 8. კაბინეტი; 9. ბალანსირი; 10. რიტმიკა; 19. კამიუ; 20. რაცია; 21. ლარსი; 22. ნაიკი; 25. ჯორკო; 26. გნოლი; 29. ხალა; 30. დიქტი; 31. მეტანია; 33. კანი; 34. რაკეტა; 36. ნარდი; 37. გაგრა; 38. რადიო; 40. კაკა; 41. რინგი; 42. დროგი; 45. ჯამი; 46. ქარაშოტი; 48. საჰარა; 49. ნაპოლი; 50. გეკო; 51. გრაცია; 53. კივერი; 54. ნიკელი; 55. კერკი; 56. ვერდი; 57. ლობიო.

**დარიალიკაპიტალინიკაპილარიქსილოლიტატრამალი**
**კერამიკადომინოტავრიავაზარიჩარდაშიკივილისი**

| ხეობა ყაზბეგის რაიონში | ქონება, ფული | სახის ნაწილი | ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე | ნაბოკოვის რომანი | ბალახით დაფარული ვრცელი ველი |
|---|---|---|---|---|---|

| კარგი ამინდი | ხის აღვირი | ესტონეთის დედაქალაქი | წვრილი სისხლძარღვი | ორგანული ნაერთი, გამხსნელი | ჩეხური ავტომობილი | ფრანგი რეჟისორი |
|---|---|---|---|---|---|---|



**თარაზულად:** 4. მოქანდაკეების ხის საჭრისი; 8. ფილმი ლ. მინელის მონაწილეობით; 11. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 12. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 13. მეტყველების უმცირესი ერთეული; 14. ხელოვნების დარგი; 15. ერთგვარი კანფეტი; 16. მაღალი ხარისხის მინა; 17. მდინარე საფრანგეთში; 18. ქალაქი საფრანგეთში; 19. აშშ-ის შტატი; 23. სასვენი ნიშანი; 24. დასტურის სიტყვა; 25. ირლანდიური ეროვნული ცეკვა; 27. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი; 28. ავსტრიელი კომპოზიტორი; 29. მდინარეზე გადასასვლელი ნაგებობა; 32. ნიკარაგუის ფულის ერთეული; 33. ლუთერანული ეკლესია; 35. ცხენის ზურგზე დასადგამი მოწყობილობა; 39. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 40. ხარების ბრძოლა; 43. მობილური ტელეფონების ფინური ფირმა; 44. დრამატული ნაწარმოები; 45. კატისებრთა ოჯახის დიდი ცხოველი; 47. ლირიკული სიმღერა; 48. ებრაელთა ტაძარი; 52. სტადიონი რიოში; 55. მუნკის ცნობილი ტილო; 58. ძველი ბერძენი ექიმი; 59. საყოფაცხოვრებო ელტექნიკის იაპონური ფირმა; 60. ჯგუფის 42 წევრი; 61. თვლემა; 62. ფილმის ცალკე სცენა; 63. მგალობელი ჩიტი; 64. თვითმფრინავის კიბე; 65. ერთეული ვექტორი.

**შვეულად:** 1. მონური დამოკიდებულება; 2. სალბუნი; 3. სამხედრო საველე სიმაგრე; 4. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთში; 5. სომხეთის დედაქალაქი; 6. აშშ-ის შტატი; 7. მთლიანი ქვის ლოდი; 8. სამუშაო ოთახი; 9. თოკზე მოსიარულე ჯამბაზის ჯოკი, რომლითაც წონასწორობას იცავს; 10. მოძღვრება რიტმის შესახებ; 19. ფრანგი მწერალი; 20. მცირე სიმძლავრის მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 21. საკონტროლო-გამშვები პუნქტი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე; 22. ამერიკული სპორტნაწარმის ფირმა; 25. დაბალ სკამად გათლილი მორი; 26. კაკბის მსგავსი ფრინველი; 29. კაკლის დასაბერტყი ჯოხი; 30. ფირფიცარი; 31. მუხლის მოდრეკა ლოცვისას; 33. კინოსაფესტივალო ქალაქი საფრანგეთში; 34. რეაქტიული ძრავის მქონე საფრენი აპარატი; 36. თამაში კამათლებით; 37. ქალაქი აფხაზეთში; 38. მაუწყებლობის ერთ-ერთი საშუალება; 40. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 41. კრივის მოედანი; 42. იგივეა, რაც ფორანი; 45. ჭურჭლის სახეობა; 46. უცებ ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 48. უდაბნო აფრიკაში; 49. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 50. ერთგვარი ცეცხლსასროლი იარაღი; 51. სინარნარე, მოხდენილობა; 53. ძველებური, მაღალი სამხედრო ქუდი; 54. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 55. გამხმარი წვრილნაყოფიანი ხილი; 56. იტალიელი კომპოზიტორი; 57. პარკოსანი მცენარე.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| გამომწვარი თიხის ნაკეთობანი | სამაგიდო თამაში | ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელი | ქულა ძიუდოში | უნგრული ცეკვა | ტროპიკული ხილი | ჭაობის მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|

| ცეცხლის დასანთები ადგილი მიწაზე | იაპონიის იმპერატორთა ტიტული | მინოსის ხარი (ბერძნ. მით.) | გარეული მტაცებელი ცხოველი | მსახიობი ... გირი | ნ. ლორთქიფანიძე – „სოფლის ...“ | მანქანის ტიპი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 15 – 21 ივლისი №30 (1548)
გამოდის ორშაბათობით
2 009882 637296

მეჲიაჰოჩჰოჩაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol